ენციკლოპედია მწერლობაზე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
ყოველთვიური ჟურნალი.

წელიწადი მეორე

რედაქტორი
ნიკოლოზ მიწიშვილი

ნოემბერი — დეკემბერი
ტფილისი — 1927

შ ი ნ ა ა რ ს ი.

პ რ ო ზ ა.

სტეფან ცვაიგ — კაპიტან სკოტტ. (თარმანი გერმანულიდან გრ. რობაქიძის).
სერ. კლდიაშვილი — ჭინკა.
როდიონ ქორქია — სამი ყვავილი.
ალ. ქუთათელი — გვალვა.
ნიკოლოზ მიწიშვილი — ეპოპეია.

ლექსები.

ვარლამ რუხაძე — საუბარი მიწასთან.
ბაჩანა — ლექსები.
ტიციან ტაბიძე — ციკლიდან „მოსკოვი“.
ვალ. გაფრინდაშვილი — შემოდგომა.
ილა მოსაშვილი — უცნობთან.
საფო მგელაძე — * * *
სიმონ წეველი — ნასაკირალი.

ხალხური ფეპირსიტყვიერება.

„თავფარავნელი ჭაბუკი“ — (ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ).

წერილები.

გეროლტი ქიქოძე — უსათაურო შენიშვნები.
ტიციან ტაბიძე — ალ. სუმბათაშვილი.
შალვა რადიანი — დემნა შენგელაიას შესახებ.
ქრისტ. რაჭველიშვილი — მესხეთ-ჯავახეთში.

დოკუმენტები.

ხომლელი — ცხოვრების მოედანზე.

ბიბლიოგრაფია.

გრ. გიორგაძე — სიმ. ხუნდაძე — სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში.

კოკი აბაშიძე — შ. დადიანი: „უბედური რუსი".

ვ. მ. — სილოვან ხუნდაძე: ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები.

ქრონიკა.

— : —

პროზა

F-669

სტეფან ცვაიგ

კაპიტანი სკოტი.

(თარგმანი გერმანულიდან გრიგოლ რობაქიძის).

გამოვიდა სტეფან ცვაიგის ახალი წიგნი. „ვარსკვლავთა ჟამნი კაცობრიობის" (ხუთი ისტორიული მინიატურა). „კაპიტანი სკოტ მათ შორის მეხუთეა.

ბრძოლა მიწისათვის.

მეოცე საუკუნე თავს დაჰყურებს უსაიდუმლო სამყაროს. გამოკვლეულია ყოველი მხარე, გადავლილია ყოველი ზღვა. ლაბ'მაფტები. რომლებიც ადამიანთა ერთი დგმის წინ კიდევ თვლემდენ ნეტარ თავისუფალნი უსახელოს წიაღში. დღეს უკვე მონურ ემსახურებიან ევროპას. ნილოსის დიდხანს ძიებულ ნაკადებამდე მისცურავენ გემები. ვიქტორიას ჩქერნი. ნახევარ საუკუნის წინ პირველ ევროპიელის მიერ პირველ ხილულნი. ჰქმნიან მორჩილებით ელექტროს ძალას. სარტყელი ერთადერთ ხელუხებელ მხარის. ტიბეტის. გაწყვეტილია. სიტყვა „Terra incognita" გადანიშნულია მცოდნე ხელით. მეოცე საუკუნის კაცმა იცის თავის სიცოცხლის ვარსკვლავი. მკვლეველი ნება ეძიებს უკვე ახალ გზას: უნდა ჩაეშვას იგი ზღვათა სიღრმეში ფანტასტიურ ფაუნისაკენ, ან და ავიდეს მაღლა დაუბოლოებელ ჰაერში. დარჩა მხოლოდ ცა— და ჰაეროპლანთა ფოლადის მეოცხლები. მის შემდეგ, როცა მიწის მკერდი გაიხსნა ახალის ხილვის ნდომის მიმართ და იქცა უსაიდუმლო, მიჰქრიან ჯიბრით მაღლა, რათა მიაღწიონ ახალ სიმაღლეს და ახალ სიშორეს.

საქართველოს
ეროვნული
გიბლიოთეკა

ხოლო ერთმა უკანასკნელმა გამოცანამ დაჰფარა ჩვენს დროამდე ადამიანთა მზერისაგან მიწის რცხვენა: ორი პატარა ადგილი მისი დაკეპილი და წამებული სხეულის გადააარჩინა მან მის საკუთარ შვილთა ხილვისაგან. სამხრეკიდური და ჩრდილოკიდური, ხერხემალი მისი სხეულის. ეს ორი თითქმის უარსო და უგზნეო წერტილი. საცა ათასწლობით ტრიალობს მისი ღერძი. სამხრეკიდური და ჩრდილოკიდური წმინდათ დამალა მიწამ და არ მისცა იგი ბილწს. ყინვის სარები ამართა მან ამ უკანასკნელ საიდუმლოს წინ, მარადი ქარი წამოუყენა წინ მის ხილვის მსურველთ. ყინვა და ბუქი ჰკედლავენ მთავრულად მისავალს. შიში და საფრხე სიკვდილით აფეთებენ გამბედავებს. თვითონ მზემაც გაკვრით უნდა იხილოს იგი მხოლოდ. ხოლო კაცის თვალმა არაოდეს.

რამოდენიმე ათი წელია. ექსპედიცია მისდევს ექსპედიციას. ვერც ერთი ვერ აღწევს მიზანს. ჯერ კიდევ უპოვნი, განისვენებს სადღაც ყინვის კუბოში ცხედარი უმამაცესის მამაცთა შორის. ცხედარი ანდრეესი. რომელსაც სწადდა ჰაერბურთით კიდურის გადაფრენა. ხოლო უკანაღარ დაბრუნებულა. ყოველი შემართება ტყდებოდა ყინულის თეთრლესილ ზვავებზე. ათასწლებიდან დღემდე აქ პირს იბურავს მიწა. ყოველთვის გამარჯვებული მის შვილთა ატეხილ ვნების პირისპირ. ქალწულურ და წმინდათ ინახავს იგი თავის რცხვენას ქვეყნის ახალის ხილვის ნდომისაგან.

მაგრამ ყრმა საუკუნე. მეოცე. ხელებს იშმუშნის უთმენელ. მან გასჭედა ახალი იარალი ლაბორატორიაში. მონახა ახალი ჯავშანი საფრხის ასაცდენი — და დაბრკოლებანი აღვივებენ მხოლოდ მის წადილს. მას ჰსურს იცოდეს ყოველი ჭეშმარიტება. მის პირველ ათწელს უკვე ჰსურს დაიუფლოს ის. რაც მანამდე არ შეეძლო არც ერთ ათასწელს. კერძო პირის შემართებას ერთვის ჯიბრი ერების. ამიერითგან იბრძვიან ისინი არა მარტო კიდურისათვის: ალამისათვისაც — რომელიც უნდა თავს დაჰფრიალებდეს ახალ მხარეს. ჯვაროსანთა დენა რასების და ხალხების მიიმართება ლტოლვით წმინდა-ქმნილ ადგილე-

ბისაკენ. ქვეყნის ყოველი კუთხიდან ახლდება შემართება. უთმენელ ელის უკვე კაცობრიობა: მან იცის — ეს არის კითხვა ჩვენი სიცოცხლის სივრცის საიდუმლოსი. ამერიკიდან მიდიან Peary და Cook ჩრდილოკიდურის მიმართ. სამხრეთისაკენ მისცურავენ გემები: ერთის მბრძანებელი ამუნდსენ არის. ნორვეგიელი. მეორის — კაპიტანი სკოტტ. ინგლისელი.

ს კ ო ტ ტ.

სკოტტ: რომელიმე კაპიტანი ბრიტანეთის საზღვაოსი. რომელიმე. მისი ბიოგრაფია იგივეა. რაც სამსახურის ფურცელი. იგი მსახურობდა მის უფროსთა საკმაოფილოდ. შემდეგ მონაწილეობა მიიღო შეკლტონის ექსპედიციაში. არავითარი განსაკუთრებული ქცევა არ ამხელს მის გმირობას. მისი სახე ისეთივეა. როგორც ათასი. ათიათასი ინგლისელის: ცივი. ენერგიული. კუნთებუძრავი. თითქო მკაცრ გაყინული შინაგან ქცეული ძალით. თვალები ფოლადრუხი. ქვავურ მოკუმული ბაგე. არსად რომანტიული ხაზი. არსად ციალი ხალისისა ამ სახეზე. რომელიც ნებაა და პრაქტიკული ალლო. მისი ნაწერი: რომელიმე ინგლისური ნაწერი. უჩრდილო და უხუჭუჭო მალი და მჯერი. მისი სტილი: ნათელი და რიგიერი. შემბოჭველი ფაქტიურის გადმოცემაში. ხოლო უფანტაზიო როგორც პატაკი. სკოტტ სწერს ინგლისურად. როგორც ტაციტი ლათინურად. თითქო დაუხვეწელ ქვებით. ეტყობა. იგი სრულიად უოცნებო კაცია. ფანატიკოსი საგნობრიობის. ნამდვილი შვილი ბრიტების რასის. საცა თვით გენიალობაც კი მოვალეობის ასრულების კრისტალურ ფორმაში იწურება. ეს სკოტტ ასჯერ იყო ინგლისის ისტორიაში: მან დაიპყრო ინდოეთი და უსახელო კუნძულები არქიპელში. მან აქცია აფრიკა კოლონიად. მან იმარჯვა ქვეყნის პირისპირ ომებით. ყოველთვის იმავ რკინეული ენერგიით. იმავ თემური შეცნებით. იმავ ცივად შეკავებული სახით.

რვალივით მაგარია ეს ნება: ეს ემჩნევა საქმის დაწყებამდე. სკოტს ჰსურს დაასრულოს ის, რაც დაიწყო შეკლტონმა. იგი მართავს ექსპედიციას. მაგრამ საშვალებარ ყოფნის. ხოლო ეს ვერ აბრკოლებს მას. მას მსხვერპლად მიაქვს თავისი ქონება. იგი ვალებს იღებს. დაჯერებული, რომ მიზანს მიაღწევს. ახალგაზრდა ცოლი აჩუქებს მას ძეს — იგი არ იროყევა, ახალი ჰეკტორ. მიატოვოს ადრომახა, მეგობრები და ტოლები მონახული არიან. არავითარ მიწიერს აღარ შეუძლია მოლუნოს ნება. „ტერრა ნოვა“ სახელია იმ იშვიათი გემის. რომელმაც უნდა მიიყვანოს ისინი ყინვის ზღვის კიდემდე. „იშვიათი“—რადგან ორმაგ ნაშენ-მორთულია იგი: ნახევრად ნოეს კიდობანი. სავსე ცოცხალი პირუტყვით. და თანვე თანადროული ლაბორატორია ათასი იარაღით და წიგნით. ყველაფერი უნდა იქნას მიტანილი იმ ცალიერ უდაბურ მხარეში. ყველაფერი, რაც კი ადამიანს სჭირდება სხეულისა და სულისათვის. უცნაურ ერთვიან აქ ერთიმეორეს: პრიმიტიული იარაღი პრეისტორიულ ადამიანის. ტყავეული და ბეწვეული. ცოცხალი პირუტყვი — ეს ერთი მხრით. მეორით: უკანასკნელი რაფინემანი ბოლო ხანების განვითარებულ ტექნიკის. და ფანტასტიურია. როგორც ეს გემი. აგრეთვე ორმაგი სახე მთელი შემართების: ავანტიურა. ხოლო ისეთი. რომელიც მონგარიშებულია როგორც გეშეფტი. გაბედულობა თუ თავაღებულობა სიფრთხილის ყოველი ხელობით. უბოლოება სწორად მოფიქრებულ ცალკე ანგარიშის წინაალმდეგ კიდევ უფრო ძლიერ შემთხვევის უბედურებისა.

ივნისის პირველს 1911 მიატოვეს მათ ინგლისი. ამ დღეებში ნათელია ანგლოსაქსური მხარე. რბილად და მწვანედ ჰყავიან ველები. თბილად და ბზიალით ეყუდება მზე უნისლო არეს. შიშით სცილდებიან მოგზაურნი ნაპირებს. რომლებიც ნელინელ ინთქებიან: იკიან ხომ მათ, რომ ისინი ემშვიდობებიან სითბოსა და მზეს წლობით, ზოგი. შესაძლოა. სამუდამოდ.

Universitas antarctica.

იანვარში, მცირე დასვენების შემდეგ ახალზელანდიში, მიადგენ მოგზაურნი ქიმს ევანსს მარადი ყინვის კიდესთან. აშენებენ სახლს საზამთროდ. დეკემბერი და იანვარი იქ ზაფხულის თვეებია: წელიწადში იქ ერთხელ ბრწყინავს მზე, ოთოოდე საათი, თეთრ ლითონის ცაზე. ხისაგან არიან ნაშენი კედლები ოთახის, სწორედ ისეროგორც წინანდელ ექსპედიციის დროს. მაგრამ შიგნით ამჩნევთ დროის წინსვლას. წინანი ისხდნენ აქ წინად მყრალი და მხრჩოლავი ჭრაქებით განათებულ ნახევარ სიბნელეში, დაღლილნი თავიანთ სახის დანახვით, მოქანცულნი უმზეო დღის ერთფეროვანებით. ამათ კი, მეოცე საუკუნის ხალხს, აქვთ აქ მთელი სამყარო. მთელი მეცნიერება შემოკლებით ოთხ კედელ შორის. აცეტინის მართი აფრქვევს თეთრ თბილ სინათლეს. კინოტილო ჰფენს ჯადოსნობით სურათებს შორეულისას. ტროპიკულ სცენებს დანელებულ ლანდშაფტებიდან. პიანოლას მოაქვს მუსიკა, გრამოფონს ადამიანის ხმა. წიგნთსაცავს ცოდნა. ერთ კუთხეში არაკუნებს საწერი მანქანა. მეორე კუთხე გამოყენებულია როგორც საკანე სიბნელის. საცა იკვეევიან კინემატოგრაფიული და ფერიანი გადაღებანი. გეოლოგი ცდის ქვებს რადიოძალის მხრით. ზოოლოგი ჰპოულობს ახალ პარაზიტებს დაჭერილ პინგვინებში. მეტეოროლოგიური ხილვა სცვლის ფიზიკურ ცდას. ყველას მიკუთვნილი აქვს სამუშაო ერთი თვის სიბნელის მანძილზე. და გონიერი წყობა აქცევს ცალკეულ ცოდნას საერთო სწავლად. ყოველ საღამოს მართავენ ისინი მოხსენებას, საუნივერსიტეტო კურსებს აწყობენ ყინვაში და სიცივეში. თვითეული ცდილობს გადასცეს მეორეს თავისი ცოდნა და საუბრის ცოცხალ გაცვლა-გამოცვლაში მათ წინ იკვეთება ძსოფლიოს ხილვა. გასპეციალება კვლევისა ჰკარგავს აქ თავის ბედიდურობას და ეძებს გაგებას ერთობილ ყოფაში.

ელემენტარულ პირველყოფილ მხარეში, განმარტოებით, იქ, საცა დრო არაა, უზიარებენ ისინი ერთიმეორეს მეოცე საუკუნის მიღწევებს. და აი აქ ამჩნევთ შინაგან არა მარტო საათს, არამედ წამსაც მსოფლიო საათისას. გულის შემრხევია კითხვა იმისა, თუ ეს სეირიოზული კაცები შიგადაშიგ როგორ შეჰხარიან შობის ხეს. ან და მცირე ოხუნჯობას „Couth Polar Times", საჰუმარო გაზეთისას, რომელსაც თვითონ სცემენ. თუ როგორ იქცევა პატარა რამ — ამოტივტივებული ლომთევზა თუ დაცემული პონი — განცდად. და მეორის მხრით, თუ როგორ გადადის დიდი რამ — აღვივებული ჩრდილოანათელი. შემზარავი ყინვა. გიგანტური მარტობა — ყოველდღიურში და ჩვეულში.

ხანდახან ჰბედავენ მცირე წინწაწევასაც. ცდიან მარხილებს, სწავლობენ თხილამურებით ვლას. წვრთნიან ძაღლებს. ამზადებენ დეპოს დიდი მგზავრობისათვის — ხოლო ხელა, შეტად ნელა ფურცლავს კალენდარი ზაფხულამდე (დეკემბრამდე). რომელსაც მოაქვს მათთვის დატეხილ ყინულებში. გემი ბარათებით სახლიდან. პატარა ჯგუფები ჰბედავენ ეხლაც. სასტიკი ზამთრის შუაგულში. გამამაგრებულ დღიურ მგზავრობას, სინჯავენ კარვებს. ამტკიცებენ ცდას. ყველაფერს ვერ ახერხებენ. ცხადია. მაგრამ სწორედ სიძნელენი ჰგვრიან მათ ახალ მხნეობას. როცა უკან ბრუნდებიან. გაცივებულნი და მოქანცულნი. მათ ილებს შინ სიხარული და თბილი კერას ციალი — და ეს საამო სახლი მიწის სიგანის 77 გრადუსზე ეჩვენებათ მათ სამყაროს ნეტარ სამყოფელად.

ხოლო ბრუნდება ერთხელ დასავლით ექსპედიცია უკან და ერთ ამბავს შეაქვს სახლში მდუმარება. მათ აღმოაჩენს ამუნდსენის საზამთრო ბინა: სკოტტმა იცის წამსავე. რომ ყინვისა და საფრთხის გარდა. ვილაც სხვა საეჭვოდ ხდის მის სახელს. სხვა ვინმე რომელიც. ვინ იცის. პირველი გამოგლეჯს უდრეკელ მიწას საიდუმლოს. ამუნდსენ. ნორვეგიელი. საშიშროება მოჰქროლავს სკოტტის სტრიქონებიდან. როცა იგი ოწმუდება. რომ ამუნდსენის ბინა ასათი კილომეტრით უფრო ახლოა კიდურთან ვიდრე მისი. შიში იპყრობს მას. მაგრამ იგი გულს მაინც

არ იტეხს. „წინ, ჩემი მამულის პატივისათვის!“ სწერს იგი ამაყად თავის დღიურში.

ძნელად ერთხელ. მარტო ერთხელ, თავსა ჰყოფს ამუნდსენის ეს სახელი სკოტის დღიურში. შემდეგ — აღარ. მაგრამ ამჩნევთ: იმ დღიდან შიშის ლანდი ევლება თავს სახლს, რომელიც იყინვება მარტვილი. და აღარ არის იმიერიდან წუთი. როს ეს სახელი მას ძილს არ უფრთხობდეს და ღვიძილს.

პოლიუსის მიმართ.

ქოხიდან ერთი მილის მანძილზე. ობსერვაციის ბორცვზე. მუდმივ იცვლება დარაჯი. აქ აპარატია ამართული, ფრიალო მალლობზე. განმარტოებით. თითქო ზარბაზანი უხილავი მტერის წინააღმდეგ: აპარატი — რომ მით ჰზომონ მოახლოვებულ მზის პირველი პირისჩვენებანი. დღითიდღე ელიან ისინი მზის გამოჩენას. დილის ცაზე რეფლექსები აჯადოებენ აღვივებულ ფერთა სასწაულს, ხოლო მრგვალი გრკალი ჯერ კიდევ ვერ აღწევს ჰორიზონტს. გარნა ეს ცა. ავსილი მზის სიახლოვის მაგიური სინათლით. ეს წინასწარი თამაში საოკულ-ასახულის, აცეცხლებს უკვე მოუთმენელ ვაჟკაცებს. ბოლოს, რეკავს ელსმენი კარვის თავანიდან გაბედნიერებულთა მომართ: გამოჩენილა მზე. პირველად, თვეების შემდეგ. ამოჰყო მან თავი ზამთრის ღამეში ერთი საათით. სუსტია ფრიად მისი ელვარება. მკრთალია იგი სრულიად, ძლივს შესძლო მან ყინვიან ჰაერის ოდენ გამოცოცხლება, ძლივს-ღა სახავენ მისი ფრქვეული ტალღები ცქრიალა ნიშნებს აპარატში. — ხოლო უბრალო გამოხედვაც იწვევს უკვე ბედნიერებას. ექსპედიცია ემზადება ციებცხელებით. რომ უკლებლივ გამოიყენოს პატარა მტკაველი სინათლე, რომელიც ერთსადაიმავე დროს გაზაფხულია. ზაფხული და შემოდგომა. — ჩვენი შუათანა სიცოცხლის მცნებებისათვის კი კიდევ საშინელი ზამთარია. წინ მისრიალებენ ავტომარხილები. მათ უკან: მარხილები სიბირის პონებით (პატარა ცხენებით) და ძაღლებით. გზა დაყოფილია ეტა-

ებად. ყოველ ორი დღის სავალზე მართავენ დეპოს: რომ უკან დაბრუნებისას ჰქონდეთ მათ ახალი საცმელი, საჭმელი, და უსაჭიროესი, ნავთი. შენახული სითბო დაუბოლოვებელ ყინვაში. რაზმი მიდის ერთობილ, განრიგებული, რომ შემდეგ დაბრუნდეს ცალცალკე ჯგუფებად: ისე, რომ უკანასკნელ მცირე ჯგუფს, რჩეულ დამპყრობთ კიდურისას, სხვა ჯგუფებმა დაუტოვონ მაქსიმუმი საგზურის, ახალი სახედარი და საუკეთესო მარხილები.

ოსტურად არის გეგმა გამართული. წინხილულია თვითონ უბედობაც რომელიმე შემთხვევაში. და უკანასკნელი არც აყოვნებს. ორი დღის სავალის ბოლოს ტყეებიან მოტორ-მარხილები. პონებიც ვერ იჩენენ სიმარჯვეს. როგორც იყო მოსალოდნელი. გარნა აქ იმარჯვებს ორგანიული იარაღი ტეხნიურზე: დავარდნილები. რომლებიც გზაში მოკლულ უნდა იქმნან, აძლევენ ძაღლებს თბილს, სისხლმაგარ საჭმელს და აღონიერებენ მათ ენერგიას.

ნოემბრის პირველს 1911 გაემართებიან ისინი ცალკე ჯგუფებად. ნახატებზე სჩანს ამ კაცთა სასწაულური ქარავანი: ჯერ ოცდაათი, შემდეგ ოცი, მერე ათი და ბოლოს ხუთი, რომელნიც მიილტვიან უსიცოცხლო სამყაროს თეთრ უდაბნოში. წინ ყოველთვის ერთი კაცია, მუმიად გამოწყობილი. ბეწვეულით და ტილოებით, ველურბარბაროსული არსი, რომელსაც ბურვილიდან უჩანს მხოლოდ წვერი და თვალები. ბეწვეულით მორთულ ხელს უჭირავს სადავეთი პონი, რომელიც მიათრევს მძიმედ დატვირთულ მარხილს. პირველ კაცს მიჰყვება უკან მეორე, იმნაირივე საცმელით და იმნაირივე თავდაჭერით. იმას კიდევ სხვა — და ასე: ოცი შავი წერტილი მზოზავ ხაზში ერთს დაუბოლოვებელ დამაბრმავებელ სითეთრეში. ლამით ისინი კარვებში ძვრებიან. აყენებენ თოვლის გორებს ქარის პირისპირ. რომ პონები დაჰფარონ და დილით იწყება კვლავ სვლა. ერთფეროვანი და უნუგეშო. სვლა ყინვიან ჰაერში. რომელსაც საუკუნეებიდან პირველად სვამს ადამიანის სუნთქვა.

ხოლო ზრუნვა მატულობს. ამიდი ცუდია ისევ. 40 კილომეტრის ალაგას ისინი ვლენ ხანდახან მხოლოდ 30, და იქცევა მათთვის ყოველი დღე საგანძურად, მას შემდეგ, რაც მათ იციან, რომ ამ სიმარტოეში მეორე მხრიდან ერთი ვინმე სწორედ იმავე მიზნის მიმართ ილტვის. ყოველი წვრილმანი აქ საფრხეთ იზრდება. ერთი ძალლი გაიქცა. ერთი პონი არარ სჭამს. ყოველი ეს მაშინებელია, რადგან ამ უდაბურში ფასურნი საოცრად იცვლებიან. აქ ყოველი საგანი ათასფასეული ხდება. თიქმის უმაგიერო. პონის ოთხ ფლოქზე თითქო უკვდავებაა დამოკიდებული. დაღრუბლულ ცას შეუძლია ბუქით წინ გადაელობოს საქმეს მარადისობისათვის. თანვე: ვაჟკაცების ჯანმრთელობას კარგი პირი არ უჩანს: ზოგს დაემართა აზმაითი თოვლის სიბრმავე. სხვებს დაეზროთ სხეული. პონები სულ უფრო და უფრო იქანცებიან, რომელთაც თანვე საკვები უნდა უკლიხ თანდათან. და ბოლოს, სწორედ ბერდმორის მყინვართან დავარდებიან საწყალნი. სამწუხარო მოვალეობა უნდა ასრულდეს: ეს მხნე ცხოველები, რომლებიც აქ, ამ მარტოობაში, ორი წლის ერთად ყოფნის გამო, ვაჟკაცების მეგობრები გახდენ, რომელთაც ყოველი მათგანი სახელით ცნობს და ათასჯერ მათთვის ალერსი უფრქვევია. ეს ცხოველები უნდა მოჰკლან. „სასაკლავ ბანაკს" არქმევენ ამ მწუხარე ადგილს. ერთი ნაწილი გამოეყოფა რაზმს ამ სისხლიან ალაგებთან და უკან ბრუნდება. სხვები იჭურვიან უკანასკნელ დაძაბისათვის, რომ განაგრძონ ეს საშინელი გზა მყინვარზე, ყინულის სახიფათო ზვავზე, რომელსაც კიდური სარტყელად ირტყამს, და რომლის გარღვევა შეუძლია მხოლოდ ვნებაატეხილ კაცის სიცხეს.

უფრო და უფრო კლებულობს ვლის ძალა, რადგან აქ თოვლი იხოეშება. და ამიერიდან მარხილები კი არარ უნდა სწიონ, არამედ უნდა ათრიონ. მკაცრი ყინული სჭრის ლართხებს. ფეხები წყლულდებიან ყინულის ფხვნილი სილით. მავალნი არ ნებდებიან. დეკემბრის 30 მიაღწიეს 87 სიგანის გრადუსს — შეკლტონის უკანასკნელ წერტილს. აქედან უნდა დაბრუნდეს უკან უკანასკნელი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამონაყოფი: მხოლოდ ორჩეულნი, ოიცხვით 5, უნდა გაე-
მართონ კიდურისაკენ. სკოტტ სინჯავს ტოლებს. მათ არ
ძალუძთ წინააღმდეგობა, ხოლო გული ემძიმებათ, რომ
მიზანთან ასე ახლო არიან და უკან უნდა დაბრუნდენ.
მეგობრებს სახელის მიღება დაუტოვონ, როგორც პირ-
ველ მხილველებს კიდურისას. წილი ყრილია. ერთხელ
კიდევ ართმევენ ისინი ხელს ერთიმეორეს. ვაჟკაცურ გა-
თანგულნი. რომ გულის აჩუყება დამალონ, და შემდეგ
გაიყოფის ჯგუფი. ორი მხრით იმართება მავალთა ხაზი.
ოიგი მიდის სამხრით უცნოისაკენ, ოიგი ჩრდილოით მშო-
ბელ მიწისაკენ. ერთიმეორეს მოხედვენ ხოლმე ხანდახან.
რომ კიდევ ერთხელ იხილონ უკანასკნელი სიახლოვე მე-
გობრულ სიცოცხლის. მალე ჰქრება უკანასკნელიც მათ-
განი. მიილტვიან მარტონი უცნოისაკენ. ხუთნი ორჩეულნი:
სკოტტ, ბოუერს, ოტს, ვილსონ, ევანს.

სამხრეთ პოლიუსი.

უსვენარნი ხდებიან შენიშვნანი ამ უკანასკნელ დღე-
ებში: როგორც ლურჯი ნემსი კომპასის, იწყებენ ისინი
ძაგძაგს კიდურთან მიახლოვებისას. „რა უბოლოდ გძელ-
დება ეს: სანამ ჩრდილები გარს გვერტყმიან, მარჯვენა
მხრით ჩვენგან იზნიქებიან და წინიდან კვლავ მარცხნით
მიზოზავენ!" ხოლო შიგადაშიგ კიაფობს იმედი უნათლეს.
ყოველთვის ვნებატეხილობით ნიშნავს სკოტტ ძლეულ
მანძილებს: „მხოლოდ 157 კილომეტრი კიდევ კიდურამ-
დე. მაგრამ უმძიმეს იქნებიან ოგინი ჩვენთვის". ხოლო შემ-
დეგ — უეცრად მარჯის კილო: „მხოლოდ 94 კილომეტ-
რი კიდევ კიდურის წინ: თუ ვერ მივალწიეთ, ხომ მივუ-
ახლოვდებით". იანვრის 14 იმედი გადადის დაჯერებაში.
„მხოლოდ 70 კილომეტრი კიდევ. მიზანი ჩვენ წინ დგას".
და მეორე დღეს შენიშვნებიდან მოლვივის სიხარული მე-
ტი გარკვევით, თითქმის სიხალისე: „მხოლოდ 50 მაჩან-
ჩალა კილომეტრი კიდევ, ჩვენ უნდა მივალწიოთ, რაც უნ-
და დაგივჯდეს". ამჩნევთ გულამდე, ფრთაასხმულ სტრი-
ქონებიდან, თუ რა მაგრად არის დაჭიმული იმედის მიერ

ძათი ლტოლვა. თუ როგორ ცახცახებს ყოველი მათი ნევრები მოლოდინისა და უთმენლობისაგან. დავლა ახლოა. უკვე წვდიან ისინი ხელებს მიწის უკანასკნელი საიდუმლოს მიმართ. ერთი უკანასკნელი ძრავი კიდევ — და მიზანი მიღწეულია.

იანვრის 16.

„ამალლებული გუნება": გვამცნევს დღიური. დილით გადიან ადრე ვიდრე ოდესმე: მოუთმენლობამ გამოაგდო ისინი საძინებელ ტომრებიდან. რომ მალე იხილონ საიდუმლო. საშიშარ ლამაზი. თოთხმეტ კილომეტრს სტოვებენ უკან უტეხნი ვაჟკაცნი ნასადილევამდე: ხალისიანად მიდიან ისინი თეთრ უსულო უდაბნოში. ეხლა აღარ ასცდებიან მიზანს, გადამწყვეტი საქმე კაცობრიობისათვის თითქმის გაკეთებულია. უეცრად აიმღვრევა ერთი მათგანი, ბოუერს. მისი თვალი იწვის მკვეთრად ამ უშვეელებელ თოვლის ველში ერთ ბნელ წერტილის მიმართ. იგი ვერ ჰბედავს. თავის გუმანი აცხადოს. ხოლო ყველას უცახცახებს გულში მსგავსი ფიქრი საშინელი: რომ აქ კაცის ხელს შესაძლოა გზის ნიშანი აემართოს. უგულოდ ცდილობენ ისინი, დაამშვიდონ ერთიმეორე. ისინი ჰფიქრობენ: — როგორც რობინზონ, რომელსაც უნდოდა თავისად გამოეცნო უცხო ნატერფალი კუნძულზე — ეს ყინულხეთქილი უნდა იყოს, ან და ერთგვარი ანარეკლი. აცახცახებული ნერვებით უახლოვდებიან ისინი წერტილს, კიდევ და კიდევ ცდილობენ. ერთიმეორე მოატყუონ, ისე კარგად ხვდებიან ისინი სინამდვილეს: რომ ნორვეგიელი, ამუნდსენ, მათ წინ მოსულა აქ.

უეცრად ტყდება იჭვი შავი ალამის დანახვაზე, რომელიც შარხილზე აუმართავთ მალლა: კვალი უცხო მიტოვებულ საბინადროსი — მარხილების ლართხები და ძალლების თათების ნატერფალნი: ამუნდსენ ყოფილა აქ დაბინავებული. გაუგონარი, წარმოუდგენელი კაცთა შორის მომხდარა: მიწის კიდური, ათასწლებიდან უცხოვარი, ათასწლებიდან და შესაძლოა ყოველ თაურიდან მიწიერი

თვალით უხილველი. ორჯერ არის აღმოჩენილი დროის ერთ მოლეკულში, რაღაც ორი კვირის მანძილზე. და ესენი, ახლად მისულნი, მეორენია — დააგვიანდათ ერთად ერთი თვით. ერთი თვით მილიონ თვეებიდან — მეორენია კაცობრიობაში, რომლისათვის პირველი ყველაფერია, მეორე კი არაფერი. ფუჭი იყო მაშ დაძაბულობა, სასაკილო იყო მაშ მოკლება ბევრი რამის. სიგიჟე იყო მაშ. იმედი კვირეების. თვეების. წლების. „ყოველი ჯაფა, ყოველი მოკლება. ყოველი წამება — რისთვის?“ სწერს სკოტ თავის დღიურში: „მხოლოდ ოცნებებისათვის. რომლებსაც ეხლა ბოლო მოელოთ“. თვალებზე ცრემლები მოსდით მეგობრებს. მოქანცულნი არიან. ხოლო ძილი მაინც არ შეუძლიათ. მოლუშულნი. უიმედონი, როგორც დასახვრეტნი. უკანასკნელი ვლით უახლოვდებიან ისინი კიდურს. რომელსაც. იგულვებდენ. თავს დაესხმოდენ ყიჟინით. არც ერთი არ ცდილობს. ანუგეშოს მეორე. უსიტყვოდ მიდიოდავენ ქვევით. იანვარის 16 კაპიტან სკოტ აღწევს კიდურს თავის მეგობრებით. პირველობა აღმოჩენისა მის თვალს ალარ აბრმავებს — ლენჩი მზერით ხედავს იგი არეს: „აქ არაფერია სახილველი. არაფერი. რაიც სხვავდებოდეს უკანასკნელი დღეების ერთფეროვნებისაგან“ — ეს არის მთელი აღწერა სამხრეკიდურის, რომელსაც. იძლევა რობერტ სკოტ. ერთად ერთი რამ იშვიათი. რაც მათ აღმოაჩინეს. ბუნებისაგან კი არ არის გაშლილი. არამედ ადამიანის მოქიშპე ხელისაგან: ამუნდსენის კარავი ნორვეგიის ალამით, რომელიც უდიერ და მარჯის ხალისით ფართქალობს კაცობრიობის იერიშით აღებულ ზვავზე. წერილი კონკვისკადორის უცდის აქ იმ უცნობ „მეორეს“. რომელიც მის შემდეგ მოვიდოდა ამ ალაგს. და თხოვს. ნაწერი გაუგზავნოს ჰაკონს. ნორვეგიის მეფეს. სკოტ იღებს თავის თავზე ამ მკაცრი ვალის შესრულებას: მოწმად იყო ქვეყნის წინაშე იმ საქმისა. რომელსაც ელტვოდი როგორც შენსას.

სევდით ჰკიდებენ ისინი გვიან მოსულ „Union Jack“ (ინგლისის) ალამს ამუნდსენის გამარჯვების ნიშნის გვერდით. შემდეგ სტოვებენ „მათი პატივმოყვარეობის მატ-

ყუარა ადგილს". ცივად მიჰყვებათ ქარი თან. წინასწარ-მეტყველური გზნებით (ცუდის) სწერს სკოტტ დლიუში: „მეშინის დაბრუნების".

დ ა ლ უ კ ვ ა.

დაბრუნება აათკეცებს საფრხეებს. კიდურის მიმართ კომპასი უკვლევდა მათ გზას. ეხლა ისიც უნდა ყურადღონ. კვალი არ დაჰკარგონ თავისი. არ დაჰკარგონ იგი ერთხელაც კვირეთა მანძილზე. არ გადასცდენ დეპოს, საცა საჭმელია მათი. საცმელი მათი და შენახული სითბო ნავთის ორიოდე ბალონში. სიმშვიდე ეროვევათ მათ ამიტომ ფეხის ყოველ გადადგმაზე. როცა ბუქი მათ უბლანდავს მზერას: რადგან ყოველი გადაცდენა ნამდვილ სიკვდილში გადადის პირდაპირ. თანვე: მათ სხეულებს აკლიათ დაუხარჯავი სინცხალე პირველი ვლისა: მაშინ ისინი იყვენ კიდევ გამთბრანი კარგი ჭამადის ქიმიურ ენერგიით. თბილი ბინით მათი ანტარკტული სამშობლოსი.

და შემდეგ: ნების ფოლადი ფხვნილია მათ მკერდში. იქითკენ მგზავრობისას. ზესთამიწიერი იმედი. რომ ისინი სხეულჰყოფენ მთელი კაცობრიობის ნდომას ახალის ხილვისას და ლტოლვას მის მიმართ. იმედი ზესთამიწიერი მოგვავდა მაგრად მათ ძალებს. უკვდავი საქმის შეცნევით ზესთადამიანური (ძალის მხრით) გახდა მათთვის მისაწდომი. ეხლა კი იბრძვიან ისინი მხოლოდ სალი კანისათვის, ხორციელი. მოკვდავი არსებისათვის, უსახელო დაბრუნებისათვის: უკანასკნელის უფრო ეშინის მათ შინაგან ნებას ვიდრე ესურვის იგი.

შემზარავია კითხვა შენიშვნების, რომლებიც ამ დღეებს ეხებიან. ამიდი უარესდება გამუდმებით. ზამთარი დადგა უფრო ადრე ვიდრე სხვა დროს. რბილი თოვლი იხრეშება მათ ფეხებ ქვეშ მახედ. საცა იფლობიან მათი ნაბიჯები. და ყინვა ქანცს ულევს მათ მოლილ სხეულებს სიხარულია ყოველთვის. როცა ისინი. დლიდან დღემდე გზის აცდენისა და ძარღვის შეშინების შემდეგ. კვლავ აღწევენ დეპოს. და მაშინ მათ სიტყვებს ედება ხოლმე გა-

კვრით ალი ნდობისა. და არაფერი ისე დიდათ არ ამოწმებს სულის სირაინდეს ამ ორიოდე კაცისას, როგორც ვილსონ, მკვლევარი, რომელიც აქაც კი, ბეწვის ახლო ხიკვდილთან, აგრძელებს მეცნიერულ ძიებას, და თავის საკუთარ მარხილით, ისედაც დატვირთულით საჭირო ბარგით, 16 კილოგრამ იშვიათ ქვებს მიათრევს კიდევ.

მაგრამ ადამიანის სიმხნე უთმობს ნელინელ ბუნების მძლეობას, რომელიც აქ ულმობელ, ათასწლებში გაფოლადებული სიმძლავრით თავს ატეხს ხუთ გაბედულებს ყველა ძალებს დალუპვისას: სიცივეს, ყინვას, თოვლს, ქარს. დიდი ხანია, ფეხები დახეთქილია. სხეული, უკმარ გამთბარი თბილი ჭამადით, რომელსაც იგი დღეში ერთხელ იღებს, დასუსტებული კერძების შეცოტავებით, სხეული იწყებს უარობას. შიშით ამჩნევენ მეგობრები ერთ დღეს, რომ ევანს, ყველაზე უფრო ლონიერი მათ შორის, რალაც ფანტასტიურს ეტანება ხოლმე. იგი რჩება უკან გზაზე და ვალალებს განუწყვეტელ ნამდვილსა და წარმოსახულ ტანჯვაზე. ზარნაკრავნი გამოიცნობენ მის უჩვეულო სიტყვებიდან მეგობრები, რომ, დაცემის თუ საშინელ ტკივილების გამო, უბედური გაგიჟებულა. რა უყონ მას? მიატოვონ იგი ყინვის უდაბნოში? გარნა, სხვა მხრით, მათ ჭოჭმანის გარეშე უნდა მიაღწიონ დეპოს, თორემ—სკოტ ირყევა თვითონ, აქ სიტყვა დაუმატოს, თებერვლის 17, ღამის 1 საათზე, კვდება უბედური აფიცერი, სწორედ ერთი დღის სავალის წინ „სასაკლაოს ადგილამდე“, საცა დანარჩენნი საჭმელად ჰპოულობენ ერთი თვის წინ მოკლულ პონების ხორცს.

ოთხნი-ღა მიდიან ეხლა, მაგრამ, დახე უბედურებას: შემდეგი დეპო მწარედ უმტყუნებს მათ, იქ ნაკლებადაა ზეთი — და ეს ნიშნავს: უსაჭიროესს, საწვავ მასალას, მომჭირნეობით უნდა მოექცენ, უნდა ჰზოგონ სითბო, ეს ერთადერთი ნამდვილი იარაღი ყინვის წინააღმდეგ. ცივი ქარბუქიანი ღამე და უმხნეო გამოღვიძება: ძლივს-ღა ჰყოფნით მათ ძალა, რომ ჩაიცვან ბეწვეული ფეხსაცმელები, გარნა, მაინც მიღოღავენ ისინი ქვევით, ერთს მათგანს, ოტსს, ფეხის თითები უკვე მოთოშილი აქვს, ქარი

უბერავს უმძაფრეს ვიდრე ოდესმე. და მარტის 2, შემდეგ დეპოსთან, მეორდება შემზარავი გატეხა იმედის: აქაც ნაკლებობა საწვავ მასალის.

ეხლა შიში სიტყვებშიაც გადადის. ემჩნევა, თუ რაგორ ცდილობს სკოტტ, რომ შიში დაშალოს. ხოლო ხშირად სჭრის შუაგულში მის ხელოვნურად მოგვრილ სიმშვიდეს მძაფრი კივილი სასოწარკვეთის. „ეს ასე არ უნდა გაგრძელდეს". ან: „ღმერთი იყოს ჩვენთან: ამ გათანგვას ჩვენ მეტს ველარ ვუძლებთ". ან: „ჩვენი თამაში ტრაგიულად მიდის". და ბოლოს შემაძრწუნებელი შეგონება. „განგება მაინც მოვიდოდეს ჩვენდა საშველად: კაცთაგან შველას ჩვენ ალარ ველით". ხოლო მიხოხავენ ისინი ქვევით და ქვევით, უიმედოთ, კრიჭაშეკრულნი. ოტს მიდის ძეგობრებთან ერთად, უფრო და უფრო დასუსტებული. იგი ბარგი ხდება მათთვის ვიდრე დახმარება. მათ უნდა შეაჩერონ ერთ ალაგს სვლა: შუადღის ტემპერატურა 42 გრადუსს აღწევს. და უბედური ოტს ამჩნევს (და იცის), რომ იგი მისი ძეგობრებისათვის ბარგია ზედმეტი. უკვე ემზადებიან მავალნი საშინელისათვის. ისინი ართმევენ ვილსონს, მკვლევარს, თვითეული 10 ტაბლეტ მორფისას, რომ საჭირო წამს დაარჩარონ თავიანთი ალსასრული. ერთი დღის სავალზე ცდიან კიდევ ისინი ავადმყოფთან ერთად სვლას. მაშინ მოითხოვს უბედური თვითონ: დასტოვონ იგი მის საძინებელ ტომარაში და გამოჰყონ თვისი ბედი მისი ხვედრისაგან. უკუაგდებენ მეგობრები ენერგიულ ამ მოთხოვნას, თუმცა ისიც კარგად იციან რომ იგი მათთვის შემსუბუქებას ნიშნავს. ოროდე კილომეტრი ბორძიკობს კიდევ ავადმყოფი დამზრალ ფეხებზე ღამის ახალ ბინამდე. მას სძინავს მეგობრებთან ერთად დილამდე. გაიხედავენ დილით: გარეთ მძვინვარებს გრიგალი.

უეცრად წამოვარდება ოტს: „მე მინდა იქითკენ გავიდე". ეუბნება იგი მეგობრებს: „შესაძლოა ცოტა ხანს დავრჩე გარეთ". დანარჩენნი ცახცახებენ. ყოველმა მათგანმა იცის, თუ რას ნიშნავს ეს. ხოლო ვერ ჰბედავს ვერც ერთი. დააკავოს საკოდავი. ვერ ჰბედავს ვერც ერთი, ხელი გაუწოდოს მას გამოთხოვების. რადგან ისინი

გრძნობენ ყველანი შიშნარევი რიდით, რომ რიტტმაისტერ ლავრენს ი. ე. ოტს. ინნისკილინგის დარაგონერი, ვით რაინდი მიდის სიკვდილის მიმართ.

სამნი-ღა მიდიან ეხლა. მიჩოჩავენ დაუძლურებულნი. ყინვარკინიან დაუბოლოებელ უდაბურში. მოქანცულნი უკვე, უიმედონი. მხოლოდ თავის-'მენახვის ჩლუნგი ალლო ბარბაცა ვლად ჰბოჭავს კიდევ მათ ლტოლვას. უარესდება ამიდი. ყოველ ახალ დეპოსთან თავს დასცინის მათ ახალი გატეხა იმედის. კიდევ და კიდევ: ნაკლებობა ზეთის. ნაკლებობა სითბოსი. მარტის 21 გასცილდენ ისინი დეპოს 20 კილომეტრზე შორს. მაგრამ ქარი უბერავს ისეთი მკვლელური ძალით. რომ მათ არ შეუძლიათ მიატოვონ კარავი. ყოველ საღამოს იმედობენ ისინი შემდეგი დილით, რომ მიზანს მიაღწიონ. გარნა. თავდება საკვები და მასთან ერთად იმედიც. საწვავი მასალა აღარ არის მეტი და სითბოს მზომავი უჩვ. 40° ნულის ქვეით. ქრება ყოველი იმედი: მათ წინ ეხლა არჩევანია უფრო—ან სიმშილით სიკვდილი ან ყინვა. რვა დღე იბრძვიან სამნი პატარა კარავში აუცდენ აღსასრულის წინააღმდეგ პირველყოფილ თეთრ სამყაროს შუაგულში. მარტის 29 იციან მათ. რომ ამიერიდან მათი ხსნა არავითარ სასწაულს აღარ შეუძლია. და გადასწყვეტენ: არავითარი ნაბიჯი არ გადადგან ბედისწერის წინააღმდეგ და სიკვდილი გადაიტანონ ამაყად როგორც ყოველი სხვა უბედურება. ისინი ძვრებიან თავიანთ საძინებელ ტომრებში. და მათი უკანასკნელი ტანჯისაგან ერთი კვნესაც არ გადავარდნილა სამყაროში.

წერილები მოგაკვდავის.

ამ წუთებში. მარტოდ მარტო ეხილავ და მაინც სუნთქვაახლო სიკვდილის მიმართ. როცა გარეთ ცოფიანი გრიგალი თავს ატყდება კარავის თხელ კედლებს. კაპიტან სკოტ იგონებს ყოველ ერთობილობას. რომელთანაც იგი დაკავშირებულია. უყინულეს სიჩუმეში. რომელიც არ ისუნთქავს არაოდეს ხმას ადამიანისას. გმირულ იცნევს იგი ძმობას თავის ერის მიმართ. მთელი კაცობრიობის

მიმართ. შინაგანი „ფატა მორგანა" სულსა იწვევს მის წინაშე ამ თეთრ უდაბნოში ყველა იმათ სახეებს, ვინც კი ოდესმე გადაბმულ იყო მასთან: სიყვარულით. ერთგულებით. მეგობრობით. და მიმართავს მათ იგი სიტყვით. გაშეშებული თითებით სწერს კაპიტან სკოტტ. სწერს წერილებს თავის სიკვდილის წუთიდან ყველა ცოცხლებს. ვინც მას უყვარს.

სასწაულურია ეს წერილები. ყოველი წვრილმანი უკუგდებულია მათში სიკვდილის მძლეველი სიახლოესაგან. კრისტალური ჰაერი ამ უცხოვარ ცის. სჩანს. გადასულია მათში. ადამიანებისადმია ეს წერილები მიმართული და მაინც კაცობრიობას ელაპარაკებიან ისინი. ერთი ხანისადმია ეს წერილები დაწერილი და მაინც მარადისობას ეუბნებიან ისინი.

სკოტტ სწერს თავის ცოლს. იგი აგონებს მას. მოუაროს განი. კრისტალური ჰაერი ამ უცხოვარ ცის. სჩანს. გადასუმას. დაიფაროს შვილი ყოველგვარ ლაჩრობისაგან. სკოტტ ამბობს თავის თავზე. მსოფლიო ისტორიის უმაღლეს მიღწევის ბოლოში: „შენ იცი. მე ძალა უნდა მეხმარა ჩემ თავზე. რომ ქცეულვიყავ ქმედი — მე მქონდა მუდამ მიდრეკილება უქმედობისადმი". ერთი მტკაველის სიგანეზეა სკოტტ სიკვდილთან. და. იმის მაგიერ რომ იჯავროს. იგი აქებს თავის გადაწყვეტილებას. „რამდენი რამ შემეძლო მომეთხრო შენთვის ამ მოგზაურობიდან. და მაინც. რამდენად უფრო უკეთესი იყო იგი. ვიდრე კმაყოფით სახლში ჯდომა!"

და სწერს იგი ერთგული არიფობით ცოლსა და დედას თავის სიკვდილის-მეგობრებისას. რომელთაც მასთან ერთად მიიღეს სიკვდილი. სწერს. რათა გადასცეს მათ უკანასკნელთა სიტაინდე. იგი ანუგეშებს. თვითონ მომაკვდავი. ცოცხალ-დარჩენილებს (სხვებს) თავის მაგარი და უკვე ზესთადამიანური გზნებით ამ წუთის სიდიდისა და ამ დალუპვის ლირსხსოვისა.

და სწერს იგი მეგობრებს. თავდაბალი თავის თავად. იგი ამაყია თავის ერისათვის: იგი გრძნობს ამ წუთში აღფრთოვანებით თავის თავს როგორც მის ძეს

და ღირსეულ ძეს. „მე არ ვიცი, ვიყავი თუ არა დიდი ალ-
ძრძჩეხი, — ალიარებს იგი: ხოლო ჩვენი ალსასრული მო-
წმობა იქნება იმისა, რომ ჩვენი რასსიდან ჯერ კიდევ არ
ამოფხვრილა სული სიმამაცის და ძალა თმენის". და ის.
რის თქმას მთელი სიცოცხლის განმავლობაში მას ნებას
არ აძლევდა ვაჟკაცური ქვაული. სულიერი სიქალწულე.
— ეს ალსარება მეგობრობისა გამოგლიჯა მას მხოლოდ
სიკვდილმა. „მე არ შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში ისე-
თი ადამიანი, — სწერს იგი თავის საუკეთესო მეგობარს.—
რომელსაც ავეფრთოვანებიე ისე როგორც თქვენ. და რო-
მელიც მყვარებოდა ისე როგორც თქვენ. მაგრამ მე არ
შემეძლო არაოდეს თქვენთვის მეჩვენებია ის. რასაც
ნიშნავდა ჩემთვის თქვენი მეგობრობა. რადგან თქვენ
გქონდათ ბევრი. რომ მოგეცათ. მე კი თქვენთვის არა-
ფერი".

და სწერს იგი უკანასკნელ წერილს. უმშვენიერესს
ყველასაგან, ინგლისელი ერის მიმართ. იგი იძულებულ
გრძნობს თავის თავს. რომ მისცეს ანგარიში: რომ იგი ამ
ბრძოლაში მისი საკუთარ ბრალით არ დაცემულა. იგი ჩა-
მოთვლის ცალკე შემთხვევებს. რომლებიც მის წინააღმდეგ
შეიფიცენ. და უხმობს იგი ყველა ინგლისელებს. — ამ ხმას
სიკვდილის გამოძახილი გასაოცარ პათოსს აძლევს. — ნუ
მიატოვებენ მის მეგობრებს უკან დარჩენილებს. მისი უკა-
ნასკნელი ფიქრი თავს გადაუარს მის საკუთარ ხვედრს. მი-
სი უკანასკნელი სიტყვა უბნობს არა საკუთარ სიკვდილზე.
არამედ სხვის სიცოცხლეზე: „ღვთის გულისთვის. იზრუ-
ნეთ ჩვენს უკან დარჩენილებისათვის!".

უკანასკნელ წუთამდე. თითების დაზრვამდე. ფანქრის
ხელიდან გადმოვარდნამდე. კაპიტან სკოტტ აგრძელებს
დღიურს. იმედი. რომ მის ცხედართან ნახავენ ამ ფურცე-
ლებს. რომლებსაც შეუძლიათ აცნაურონ მისი რასსის
მხნეობა. ეს იმედი აძლევს მას ძალას ზეკაცურ და-
ძაბვისას. ვითარ უკანასკნელს. აფრქვევენ მისი გა-
ყინული თითები მის სურვილს ცახცახით: „გაუგზავ-
ნეთ ეს. დღიური ჩემს ცოლს". ხოლო შემდეგ შლის მისი

ხელი სიტყვას „ჩემს ცოლს“ და აწერს თავზე შემზარავს: „ჩემს ქვრივს“.

პასუხი.

კვირეები იცადეს მეგობრებმა ქოხში, ჯერ იმედიანად, შემდეგ ნელი ზრუნვით, ბოლოს მატებული უსვენარობით. ორჯერ იყო გაგზავნილი ექსპედიცია საშველად, მაგრამ ორივეჯერ ამიდმა გამოცოცხა იგი უკან. მთელ გძელ ზამთარს ახანებენ უმეთაურონი ქოხში. უიმედოთ, დალუპვის ლანდი შავად ეცემათ გულში მათ. ამ თვეებში კაპიტანი რობერტ სკოტის ბედი და საქმე თოვლში და სიჩუმეშია შთანთქული. ყინვა იჭერს მათ შუშიან კუბოში დაბეჭდილთ. მხოლოდ ოქტომბრის 29, ჩრდილოეთის გაზაფხულზე, მიდის ექსპედიცია, რომ ცხედარნი მაინც ნახონ. ნოემბრის 12 აღწევენ კარავს. ისინი ნახულობენ ცხედრებს გმირებისას, საძინებელ ტომრებში გაყინულთ. სკოტ ძმურად ჩახვევია სიკვდილში ვილსონს. ნახულობენ წერილებს: საბუთებს. თხრიან ტრაგიულ გმირებისათვის საფლავს. ერთი სადა, შავი ჯვარი, თოვლის ბორცვის თავზე. გადაჭექრს მარტვილი თეთრ სამყაროს, რომელიც თავის ქვეშ სამუდამოდ ჰფარავს ოაინდულ საქმეს კაცობრიობისას.

—:—

სერგო კლდიაშვილი.

ჯინაჯ.

დღეები იყო ცხელი. ბუზები ეხვეოდენ დუქნებში ხილს და სამიკიტნოების ვიტრინებში დაყრილ სანოვაგეს.

ატუამ მიხუცა ფანჯრის დარაბა, გატიტვლდა და ტახტზე მიეგდო. მზე ადგებოდა ფანჯარას. შემოდიოდა დარაბის ჭუჭრუტანიდან და ტახტის პირდაპირ კედელზე ანათებდა. რამოდენიმე ბუზი ნათელ რგოლს არ სცილდებოდა. ატუა ხედავდა როგორ ეთამაშებოდენ ისინი ერთმანეთს. მზის სვეტში. რომელიც ფანჯრიდან კედლამდე მოდიოდა, ირეოდა მტვერი. მტვერი დაუსრულებლად ამოდიოდა ქვევიდან ზევით და მიყვებოდა სვეტს.

დღის განმავლობაში მზეს გაუხურებია ოთახი. ატუას უმძიმდა სუნთქვა. ვერ იძინებდა და გულმოდგინეთ იწმენდდა სახეს და ტანს, თითქო ოფლი ყოფილიყო დამნაშავე რომ ცხელოდა.

ატუა სახლში ყოველთვის უხასიათოთ იყო. სხვაგან მხიარულს და ხალისიანს, შინ სახე უმჭავდებოდა.

— ერთხელ მაინც გახსენი, შე კაი კაცო. წარბი! — საყვედურით ეტყოდა ცოლი, — ქამი ხომ არაა შენ სახლში, რა დაგემართა!

— შენი შეხედვით ასე რომ ვარ, არ გიკვირს? — ირონებოდა ატუა. შეჭამდა. დაწევდა და ძილათ მიეგდებოდა.

მაგრამ ეს დღეები მირონ ნაცხებივით დადიოდა და სახლში გაღიმებულიც ნახეს.

დიდი ხანია დაპირდა ნათლი-მამა კარგი ჯიშის სანადირო ძაღლს. დაპირების დღეს ატუამ ნათლი-მამას სანაქებო პატივი სცა. როცა ძაღლის გამოგზავნა დაგვიანდა,

შესახსენებლად რამდენიმეჯერ დუქნის თუთუნიც გაუგზავნა თავისი ქალალდით.

— ლეკვს არ დავეძებ, იმ კაცს მაინც არ დავეკარგე! იმედი აღარ ჰქონდა ატუას და როცა ნაცნობები მოაგონებდნენ, სწყინდა, რადგან დაკინვათ მიაჩნდა.

იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ერთ დილას, როცა ატუას არც ძაღლი გახსენებია და არც კაცი, მიიღო დაპირებული საჩუქარი.

რამდენიმე დღე ძაღლი სალაპარაკოთ იყო მთელ ქალაქში. ნაცნობებს გარდა, სანახავად მოდიოდენ უცნობებიც.

იმავე დღეს, ცოლის რჩევით, ატუამ შეაბა ლეკვს პატარა, ნაპირმომტვრეული ქარვა.

— რამდენი ვინმე ცხოვრობს ქალაქში! რამდენი ოხერია, ყველას ამბავი ხომ არ იცი. თვალი ეცემა, დაგლუპავს კაცს!

ლეკვის სანახავად მრავალი მოვიდა და ყველა ერთსადა იმავეს ამბობდა: ჯიში საუკეთესოა, მსგავსი არავის ყოლია, ნადირობაში ძაღლი ვერ აჯობებს. მხოლოდ ერთ რამეში ედავებოდენ: ატუა არასოდეს ყოფილა მონადირე, უსარგებლოა მისთვის ასეთი ძაღლი, ვერ გაწვრთნის და გააწუწკებს.

— თოფსაც ვიყიდი, მაგაზე ადვილი რაა! — თავს იმართლებდა ატუა.

სხვა დროს შეიძლება ყურადღებაც არ მიექცია ჭუჭრუტანიდან შემოპარულ მზეზე მოთამაშე ბუზებისათვის. მაგრამ ეხლა ისინი თავისი დაუსრულებელი ცელქობით აგონებდენ საყვარელ ლეკვს და ატუაც სიამოვნებით ეყურებდა მათ.

— ატუა! — ეზოდან ხმა მოესმა უეცრად.

ატუა ზანტად წამოდგა, ტიტველ ტანზე ზეწარი მოიხურა და ფანჯარა გააღო.

ცხელი მზე ოთახში შემოიჭრა.

— რომელი ხარ? — იკითხა ატუამ, რომელსაც მზე არ ახედვინებდა თვალებში.

სარიდანმა პასუხიც არ გასცა, ხელი მოავლო ფანრის ჩარჩოს და ოთახში ისკუპა.

ატუამ წელზე შემოიხვია მხრებზე მოფარებული ზეწარი და გაკვირვებით შეხედა დაუპატიჟებლად შემოსულს.

— რამ მოგიარა, ვაჟო?

ოთახში მეტი არავინ იყო. მეორე ოთახიდან ცოლის ლონიერი ხვრინვა ისმოდა.

სარდიონმა კუთხეში გაიხმო ატუა და ხმა დაბლა დაუწყო ლაპარაკი.

— დიდი ხანია ასეთი ამბავი არ გამიგონია. წინად რომ იტყოდენ, დაეჭვებული ვიყავი. ეხლა კი ჩვენ მეზობლად მოხდა ისეთი, რომ...

— რა მოხდა? მოკლეს ვინმე თუ?

— უარესი! კაცი რომ მოკვდება, გათავდება და ის იქნება. აქ კი არ ვიცი რა ვიფიქროთ...

— სთქვი ბარემ, რას გაჭიმე! — მიაძახა ატუამ.

— შენც გაიგებდი, სამი დღის წინ მოულოდნელად დაბრუნდა დავითი. გუშინ ღამე კი, ისეთი რამ მოხდა მის სახლში, რომ ყველა გაკვირვებულია.

როცა ატუა გამოვიდა ქალაქში, დარწმუნდა, რომ მთელი ქალაქი ლაპარაკობდა უცნაურ ამბავზე.

სახლი, სადაც მოხდა ის, თუმცა ყველას ჰქონდა ნახული და ზოგიერთი დღეში რამოდენიმეჯერ ჩაუვლიდა, ეხლა გახდა საერთო ყურადღების საგნათ.

როცა მზე დაცხრა, მრავალი მოქალაქე მოადგა დავითის ეზოს და, თუმცა ვერაფერს ხედავდენ იმის გარდა, რომ სახურავი იყო კრამიტის, კედლები ალაგ თეთრად შეღებილი, ალაგ შავი — რადგან წვიმას ჩამოერეცხა, — მაინც იდგენ და უყურებდენ. ზოგი სახლს, ზოგი მალალ ხეს, ზოგი არაფერს უყურებდა.

სახლი გასაკვირველი არათრით იყო და კიდეც რომ ყოფილიყო, ვერავინ შეამჩნევდა. რადგან მრავალი წლების განმავლობაში ასსოვდათ ასეთი, ხედავდენ ყოველ დღე და თვალი შეჩვეული იყო.

სახლი ოდესლაც იდგა ქალაქის მოშორებით.

ქალაქი იყო პატარა. იწყებოდა აღმოსავლეთით და თავდებოდა სადგურთან. მას შემდეგ, რაც ქვიტკირის სადგური აშენდა და მატარებელმა დაჰკივლა ხევში, სახლების რიცხვი გამრავლდა. სახლები დალაგდა რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარეს. გაიყო ორ ნაწილად და გაიზარდა დასავლეთისაკენ. ქუჩა გაგრძელდა, სახლებმა იჩოჩეს, მოვიდენ დავითის სახლთან, რომელიც წინად ქალაქ გარეედ იდგა და გაუსწრეს კიდეც.

ქალაქი იყო ძველი და თამცა იშვიათად მოიძებნებოდა ეხლა კაცი ისეთი, რომელიც მოსწრებოდა მას რკინის გზამდე, მაგრამ გადმონაცემი ყველას ახსოვდა.

ძველები ამბობდენ — ქალაქში შეიცვალა მხოლოდ ის, რომ გამრავლდენ დუქნები და სახლები. ქალაქს რომ ახალი შენობები მოაკლო, დაინახავ — ცვლილება სულ არ მომხდარა.

სერიდან ქალაქი სჩანდა ჩამხობილი. გახუნებული ყავრით დახურული ხის პატარა კოლოფები მიკრიდენ ერთმანეთს და ეძინათ. გარშემო იყო მზე, ცხელი და გულსავსე. დუქნებში იდგა ნოტიო და ბნელოდა. ზოგიერთს, ძუნწი რომ არ ყოფილიყო, დღითაც სჭირდებოდა ლამფის ანთება.

წინად მოედანი იყო ქალაქის შუაგულში. როცა ქალაქი გაიწია დასავლეთისაკენ, ბაზარი იქვე დარჩა, მაგრამ შუაგული ალარ იყო. ამით ბაზარს არაფერი მოკლებია, და იყო ისეთივე, როგორც წარსულში.

პარასკევობით რგვალი მოედანი, მისი მიმყოლი შესახვევები და ჩიხები ივსებოდა სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებით, ურმებით, გასაყიდათ ჩამოტეკილ ოთხფეხით, მხარზე ყაბალახ გადაგდებულ აზნაურებით, თავსაფრიან დედაკაცებით და ადგილობრივ მოქალაქეებით, რომელნიც ამ დღეს იცვამდენ ახალ ტანისამოსს და ფეხსაცმელს. ფეხსაცმელი ისვრებოდა დათლილ საზამთროების, ნესვების კანში და იფლებოდა საქონლის ნეხვში.

მახლობელ ეზოებში ჭიხვინებდენ აზნაურთა ცხენები, პატარა მჭლე ცხენები. მაგრამ მიმინოსავით სწრაფი და მოქნილი, როცა მოხვდებოდათ მხედრის მათრახი.

მოედანზე, დუქნების წინ, ქვაფენილზე ქუჩის პირად. ყველგან ისხდენ დედაკაცები, ხნიერი გლეხები და წინ ეწყოთ კალათები. სოფლიდან მოქონდათ თხილი, კვერცხი, აბრეშუმის ძაფი, ყაჭი, ქლიავი, პატარა დოქებით ღვინო — ცოტა მოჭვანკული და წყალნარევი. ქალაქიდან მიჰქონდათ მარილი, ნავთი, ფერ-უმარილი, სასაქმებელი ზეთი. ტყეების სიჩუმეს მიჩვეული სოფლელები რეტდასხმული დადიოდენ აჭრელებულ და ახმაურებულ მოედანზე და ქუჩებზე, ჩერდებოდენ დუქნების წინ სრულიად უმიზნოთ, მიშტერებოდენ ვიტრინებს, გროვდებოდენ კუთხეში მდგარ ლატარიასთან.

ლატარიას კალათში ეწყო მოვარაყებული საშაქრეები, ვაზები და ათასგვარი აჭრელებული ჭურჭელი. ლატარიის პატრონი ოხუნჯობდა და ბედის ცდას ურჩევდა ყველას. ზოგიერთი გაბრიყვდებოდა, გაიმეტებდა ფულს, დაატრიალებდა სინის რგოლს, მაგრამ შეხვდებოდა შპილკები ან ისეთი უმნიშვნელო, რომ მიცემულ ფულად არ ღირდა. ლატარიის გარშემო შეგროვილნი უყურებდენ და უცდიდენ ვის შეხვდებოდა საშაქრე, ვაზა, ან საინი, მაგრამ ასეთი არავინ იყო. ყველას ერთიდაიგივე ხვდებოდა.

სიცხისაგან დაღალული, თავსაფარ მოფუთნული დედაკაცები დაათრევდენ კალათებით ნეშოდაფარებულ ყველს და თუ არ კითხავდი რა ჰქონდა გასაყიდი, არ გადახდიდა კალათს. მაშინაც კი, როცა მუშტარი სინჯავდა ყველს და კალათში ხელებს უფათურებდა, გამყიდველი თავის მეზობლად მდგომ დედაკაცს ელაპარაკებოდა.

მოედნის გვერდით, საგანგებოთ მიჩენილ ადგილზე, ყიდდენ ხარებს და ცხენებს.

პარასკევამდე რამოდენიმე დღით გამყიდავი ასვენებდა ხარს, წინა დღით კი იმდენს აჭმევდა, რომ პირუტყვი დაწოლასაც ვერ ახერხებდა: პარასკევ დილით ისევ ამოუვსებდა ფერდებს, რომ მუშტარისთვის სუქნათ მოეჩვენებია.

გამყიდავი მხოლოდ მოიყვანდა გასასყიდელს. მას არ სჭირდებოდა მუშტრის ძებნა და გასაღებაზე ფიქრი, რადგან ამაზე ზრუნავდენ დახელოვნებული დალალები.

ლალალობა კი ყველას არ შეეძლო. დალალობისთვის ბევრი რამ იყო საჭირო: მოქნილი ლაპარაკი, ფეხის სიმარდე, ტყუილის თქმა, თვალის დაპაჭუნება და სხვა მრავალი, რაც მხოლოდ მათ იციან.

ამოიღებდა თუ არა ნიშანში დალალი რომელიმე ხარს, დატრიალებდა მას თავზე, ხან ერთ მუშტარს მოიყვანდა, ხან მეორეს. პატრონს არაფერი ეკითხებოდა. დალალი, რომელსაც მუდამ ხელში ჰქონდა შოლტი, გამოართმევდა პატრონს ხარებს, შემოატრიალებდა, მარდათ გააროხიებდა, კბილებს უსინჯავდა და ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებია მყიდველი, რომ ასეთი საქონელი არსად მოიძებნება.

ძალიან ხშირად დალალს წინად არასოდეს ყავდა ნახული არც პატრონი, არც მისი ხარი, მაგრამ იმდენ ამბებს უყვებოდა მყიდველს პირუტყვის ღირსებაზე, რომ ვინმეს შეეძლო ეფიქრა, თითქო შეზრდილი ყოფილიყო ხართან. დალალისთვის საჭიროა ავრეთვე ერთი თვისება—დალალი უნდა იყვეს მომთმენი. ხან პატრონი გაჯიუტდება და ფასზე არ დათანხმდება, ან მყიდველი დააპირებს ხელიდან დაძრომას. პატრონს უნდა შეუწყრე და ჩუმად უთხრა, რომ მისი საქონელი იმის ნახევარიც არ ღირს, რაც აძლიეს, — მყიდველი კი უნდა მოაბრუნო და იმასაც ჩუმათ უთხრა, რომ უკეთესს ვერ იშოვის და მისი ხათრისთვის რამენაირად დაითანხმებს პატრონს.

ბოლოს, როცა ხარი გაიყიდებოდა, ჩვეულების თანახმად, მყიდველი ჩოხის კალთაში გახვეული ხელით ჩამოართმევდა ხარის რქებში ჩაბმულ ბაწარს. მიაბამდენ პირუტყვს ღობეზე და ამის შმდეგ ღვინის დასალევად მიდიოდენ.

შუა დღიდან სამიკიტნოები იავსებოდა. სადაც ადგილი აღარ იყო, ეზოებსთან დგებოდენ.

დოქის პატრონისთვის ომთავრული საზრუნავი იყო ღვინის მიტანა. რადგან კერძებზე მუშტრები დახარბებულ-

ლი არ იყვენ და ხშირად მარტო ღვინოზე გადადიოდენ.

მყიდველი და გამყიდავი თავის მოვალეობად სთვლიდენ პატივი ეცათ დალალისათვის. დალალს დუქნამდე ერთი ორი სხვაც აეტოროლიალებოდა. ერთხანს ისინი კიდევ ლაპარაკობდენ გაყიდულ ხარის ღირსებაზე, მაგრამ ჩქარა ივიწყებდენ, როდგან მშიერ სტომაქზე ღვინო მალე აბრუებდათ.

სამიკიტნოებში ისე ხმაურობდა და იროდა ხალხი, როგორც ფუტკარი სკაში. ფხიზლობდა მხოლოდ მიკიტანი, რომელიც ერთსადაიმავე დროს განკარგულებას აძლევდა მოსამსახურე ბიჭებს, რომელ სუფრაზე რამდენი კვარტი მიეტანათ, უნდა ეანგარიშნა დანახარჯი მიმავალთათვის, რომელნიც ყოველთვის ჭინჭყლობდენ, რომ ამდენი არ იყო დალეული და ხან ერთ, ხან მეორე სუფრასთან უნდა მისულიყო ღვინის დასალევათ. მიკიტანს თუმცა ღვინის დალევა სულ არ უნდოდა, მაგრამ ამას მოითხოვდენ მუშტრები და ისიც იძულებული იყო დაელია და მათი გულის მოსაგებად ეჩვენებია სმის ერთი ხერხი, რომელიც ყოველთვის სიცილს იწვევდა მუშტრებში.

ბაზრობაზე ჩამოდიოდენ ისეთებიც, რომელთაც არც საყიდელი და არც გასაყიდი ჰქონდათ, მაგრამ ყოველ პარასკევს უსათუოდ გაჩნდებოდენ.

თუმცა მათ სოფლებში ღვინოც ბევრი ჰქონდათ და საკლავიც, მაგრამ მოვალეობათ სთვლიდენ ამ დღეს ბაზრის სამიკიტნოში გაეტარებიათ დრო.

ამ დღეს ისინი იცვამდენ ახალ ტანსაცმელს, ფეიროებს, ჩაიცვლიდენ მოედნის მიმყოლ ქუჩას, ერთმანეთს მოსძებნიდენ და შემდეგ სამიკიტნოში ათავებდენ დღეს.

განიერ მხრებზე ყაბალახ გადაგდებულნი, ვიწრო წელზე ღონჯ შემორტყმულნი დინჯათ შედიოდენ დუქანში, მიკიტანს თავაზიანი სალამით მოიკითხავდენ და მალე იმგვარადვე მლეროდენ და ითვრებოდენ, როგორც სხვები.

დიდი ხნიდან მოედანი ასე ხვდებოდა ყოველ მზიან პარასკევს.

ხანდახან შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოედანზე დაყრილი ქვები, ძიწა, მოედნის ძიძყოლი დუქნები და ყველაფერი ის, რაც მოედანს ეკრა, უხსოვარ დროიდან ისე იყო გაჟღენთილი ხალხის ყაყანით, ფეხზე მოვაჭრეთა ყვირილით, ხარების ზმუილით, ცხენების ჭიხვიხით და დუქნებიდან გამოსულ სიმღერით, რომ შესაძლებელია ერთ დღეს, როცა შემთხვევით პარასკევი პარასკევს არ დამსგავსებოდა, ან და, წარმოვიდგინოთ, პარასკევი დღე დაკარგულიყო, თითონ მოედანი გაიმეორებდა პარასკევის ყველა თვისებებს.

და შეიძლება ამიტომაც იყო, რომ მოედანი არ ივიწყებდა უკვე დიდი ხნის წინედ გარდაცვლილ რომელიმე გამოჩენილ დალალს, მოქეიფეს და მოქეიფეთა შორის ერთ ძალიან, შავ-წვერა აზნაურს, რომელსაც ახირებული ჩვეულება ჰქონდა: ჩამოუვლიდა მოედანზე ყველა მედუქნეს, გაუწევდა ფეხს და მედუქნეს უნდა ეკოცნა მესტზე. მედუქნეები ყოველთვის უყოყმანოთ უსრულებდენ სურვილს, თითქო მოვალეხი ყოფილიყვნენ, რადგან იცოდენ, რომ ამის მეტი მალალს, შავ-წვერა აზნაურს არაფერი უნდოდა.

* * *

სხვანაირი იყო ქალაქი, და განსაკუთრებით მოედანი, ჩვეულებრივ დღეებში.

რამოდენიმე დღე კიდევ ეყარა დუქნების წინ, მოედანზე, ქუჩებში გატეხილი კვერცხები, საზამთროების კანი, ცალკეგან გაფანტული საქონლის ხეხვი. პარასკევის ნაკვალევი ხშირად რამოდენიმე დღე რჩებოდა და თუ წვიმა არ ჩამოეცხავდა, ან ქარი არ მიახვეტდა, ორი ნაპარასკევი ერთად ეყარა. მოედანი ღებულობდა ისეთ სახეს, როგორც სუფრა ქორწილის შემდეგ, როცა დაღლილი მასპინძელი მეორე დღემდი გადადებს ალაგებას.

შაბათ დილიდან მედუქნეები მოწყენით იჯდენ დახლთან, ან ეძინათ სკამზე დუქანში შესავალ კარებთან.

დიდი ხნიდან ისე იყვნენ ერთმანეთთან შეჩვეული, რომ სალამის მიცემა დავიწყებოდათ და ორი დღეც რომ არ ენახათ ერთი მეორე, ისე შეხვდებოდნ, თითქო რამოდენიმე წუთის წინ ერთად იყვენ.

დილით გამოდიოდენ თავის ბნელ დუქნებიდან, სადაც ლამეებსაც ითევდენ, მალარიისაგან გაყვითლებული კაცები, დგებოდენ მზის ქვეშ და თბებოდენ. ზოგიერთი გავდა იმ ფარგას, რომელიც დუქნის წინ ეკიდა რკინის კაკვზე, ზოგში დაბერებული იყო ციება და ტანი იყო გაბერილი როგორც სათესლე კიტრი.

გაღვიძების შემდეგ რამოდენიმე წუთით ხვდებოდენ ერთმანეთს სამიკიტნოში, სადაც ჭაჭის არაყს სვამდენ და შემდეგ ისევ შორდებოდენ.

მოედნის ერთ კუთხეში დიდიხნიდან იდგა ოთხკუთხიანი ბუდკა, რომელზედაც აფიშებს აკრავდენ.

რადგან ქალაქში ხშირად არ იმართებოდა წარმოდგენა, ხანდახან თვეობით რჩებოდა ძველი აფიშა და მიაყვითლდებოდა ფიცარს.

ყოველი ახალი აფიშის გაკვრა დიდ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. შორიდგან თვალს მოკრავდენ თუ არა აფიშების გამკვრელს, რომელსაც ერთ ხელში ვედრო მიქონდა წებოს სითხით, მეორე იღლიაში კი გრძელი ქალალდების შეკვრა, ბრბო თავს იყრიდა ბუდკის გარშემო ზოგი ელოდა აფიშას, ზოგი შეყურებდა ბუდკას, რომლის საძირკველი გამონგრეული იყო და იდგა მხოლოდ ნამუსზე, ზოგი კიდევ მათ, ვინც გაჩერებულიყო.

რამდენიმე ხნით, როცა გათავდებოდა აფიშის გაკვრა, ყველა მას მიაჩერდებოდა. ზოგი ხმამაღლა კითხულობდა, ზოგმა რამდენიმეჯერ წაიკითხა და მაინც ეყურებდა. ხირომანტი, გიპნოტიზიორი, რომელსაც მრავალი საჩუქრები და მედლები მიუღია სპარსეთის შაჰისაგან და ბუხარელ ემირებისაგან, პირდებოდათ საკვირველ სანახაობას: დააძინებდა ყველას, დარბაზიდან შეუმჩნევლად გააქრობდა რამოდენიმე კაცს, გამოიცნობდა სხვის აზრებს და ბოლოს, თუ ვინმე მოისურვებდა, თავს მოკვეთდა და შემდეგ ისევ გააცოცხლებდა.

აფიშაზე ამ საზღაპრო ადამიანის სურათიც იყო. კაცი ისეთი, როგორც ყველა-გაკრახმალებული საყელოთი და თვალები... თუმცა თვალებს რას გაუგებ, ქალალდზე ყველა ერთფერი გამოდის.

აფიშები ჩიგდებოდა შემდეგ დუქნებში და თუ რამეს არ გახვევდენ, ეკიდა კუთხეში სხვა ძველ აფიშებთან ერთად.

მაგრამ ასეთი რამ ხდებოდა იშვიათად და ამიტომ დღეები უფრო ხმირად იყო მოწყენილი.

უმნიშვნელო რამეც, რისთვისაც სხვა მდგომარეობაში შესაძლოა არავის მიექცია ყურადღება, ყველას გამოაცოცხლებდა. ქალაქში ბევრი იყო ძაღლი და როდგან მოედანზე ხშირად ეყარა კბილგასაკრავი, ძაღლებს უყვარდათ იქ ყოფნა.

ხანდახან ორი ძაღლი გადაებმებოდა ერთმანეთ. ამის დანახვაზე ქვაფენილებიდან გადმოდგებოდენ გამვლელები, აღვიძებდენ მედუქნეები ერთი-მეორეს და სიამოვნებით უყურებდენ — როგორ ცდილობდენ ძაღლები დაშორებას და ვერ ახერხებდენ.

მაყურებლები ჯერ იცინოდენ, უყვიროდენ, ბოლოს კი დაურთებდენ ქვებს და ველარ იკავებდენ ხარხარს, როცა ძუკნა გაიქცეოდა და თან წაათრევდა გამწარებულ ხვადს. გამხიარულებული მედუქნეები ამის შემდეგ ფარდულის ქვეშ ნარდის სათამაშოთ დაჯდებოდენ.

წინად, სანამ შეეჩვეოდენ, ართობდათ კიდევ გიჟი მიხაც, რომელზედაც ამბობდენ რომ ნეკნების მაგიერ ერთიანი ძვლის ფეხი აქვს და ხიშტიც ვერ უვნებს შიგნეულს.

მიხამ იცოდა მრავალი ლექსი, გრძელი პოემები და ვინც ლვინოს შეპირდებოდა, მისთვის დაიწყებდა დეკლამაციას:

ართობდათ კიდევ რუსი დედაბერი, რომელიც მუდამ თან ატარებდა კალათში მამალს და ხელით კრუხს.

ხანდახან, თითქო იმისთვის, რომ დასიცხული მედუქნეები ნირვანიდან გამოეყვანათ, ვინმე მოიტანდა საკვირველ ამბავს:

— ახალი ამბავი არ იცით? ეგერ ვიყავი ახლა ონისიმეს დუქანში. ვერძი დაკლეს და მაკე გამოდგა.

— არ შეიძლება ეგ ამბავი... ვერძი მაკეთ არ იქნებოდა! არ იჯვრებდენ მედუქნეები.

— ჩემი თუ არ გჯერათ, მიდით და ნახეთ.

— არ მომხდარა არასოდეს... ვერძი არ დამაკდება. არ ყოფილა ასეთი შემთხვევა!

— მიდით და ნახეთ! იარწმუნებოდა ამბის მომტანი. საჩქაროთ შორდებოდა მათ და ჩაუვლიდა დანარჩენებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაეგოთ ეს საოცარი შემთხვევა.

ვაჭრებზე მეტი ჩვეულებრივი მოქალაქე ცხოვრობდა. რომ ადამიანები ერთმანეთისაგან არ გახირჩოდენ, არც სახელები ექნებოდათ სხვადასხვა და ამიტომ ამ ქალაქის მცხოვრებნიც, თუ ყველაფერით არა, სახელით და სახით მაინც არ გავდენ ერთი მეორეს.

იყვენ ისეთებიც, რომლითაც ამაყობდა ქალაქი. ერთ წარჩინებულ მოქალაქეს იუბილეც გადაუხადეს და ქალაქმა მიართვა ეტლი.

თუმცა ამ ეტლით მხოლოდ ორჯერ გაისეირნა წარჩინებულმა მოქალაქემ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ეტლს გაუტყდა ღერძი და გოგრებიც დაემსხვრა.

მიზეზათ ამბობდენ, რომ ქუჩებში ორორ-ჩოლოებია და რესორებმა ვერ გაუძლეს.

ჩუმად ლაპარაკობდენ იმასაც, რომ ეტლი გაიმეტეს, რადგან სახმარათ აღარ ვარგოდა და მაინც უსაქმოთ ეგდო.

თუმცა უმრავლესობა ისეთი იყო, რომ ცუღლუტობით და ტყუილებით გაჰქონდათ დღეები და ზოგი თავის გასართობათ თავისთავსაც კი ატყუებდა, მაგრამ საერთოდ ყველა იყვენ გულკეთილი და თუგინდ უცნობი ყოფილიყო, მაინც ყველა მიდიოდა მის გასვენებაზე.

საღამოობით ახალგაზრდებს უყვარდათ სეირნობა ქვაფენილზე, მოხუცებს კი სიკვდილის ეშინოდათ და ადრე იკეტებოდენ ოთახებში.

შაბათიდან პარასკევამდე ქალაქი იყო მშვიდი, თითქო იკრეფდა ძალას, რომ იმ დღეს ისევ დაეხარჯა დაუ-

* * *

ზოგველად.

— სისულელეა! — სთქვა ატუამ. — ყურადღება არ უნდა მიაქციო. თითონ იზამდა დავითი. გამოყერყეტებუ-

ლი მოხუცია და დაავიწყდებოდა. რაც იმას წიგნები უკითხავს თავის სიცოცხლეში, აბა რა სიკეთე დაეყრებოდა!

დიდიხანია დავითი მოშორებული იყო ამ სახლს და ცხოვრობდა ქალაქში. ქალაქის ძველ მკვიდრებსაც დავიწყებული ყავდათ და არ მოელოდენ მის დაბრუნებას.

დავითის უეცარმა ჩამოსვლამ შორეულ დიდ ქალაქიდან, საიდანაც მას მრავალი წლების განმავლობაში წერილიც არ გამოუგზავნია, გააკვირა ყველა. და ყველაზე უფრო ნიკა, რომელიც დავითის წასვლის შემდეგ, სრული ბატონი გახდა სახლის.

ძველმა ნაცნობებმა ინახულეს დავითი და გაიგეს, რომ მას დიდ ქალაქში ყველაფერი წაართვეს და ამიტომ დაუბრუნდა ძველ ბუდეს.

ცოტა დარჩა ქალაქში ისეთი, რომელსაც ახსოვდა დავითის წარსული, მაგრამ ბევრს ჰქონდა გაგონილი, რომ იყო პირი წარჩინებული ფრიად, უყვარდა წიგნების კითხვა და როცა წავიდა, დასტოვა ერთი ოთახი, სადაც თაროები სავსე იყო ტომებით.

როცა დაბრუნდა, თაროები ნახა ხელუხლებელი, მხოლოდ ზოგიერთ წიგნში აღარ იყო სურათებზე მიკრული თხელი ქაღალდის ფურცლები, რომელიც გასაჭირის დროს თუთუნის გასახვევად ეხმარა ნიკას.

სახლი დახვდა ცოტათი დაბერებული და ფერმეცვლილი, მაგრამ უარესიც რომ ყოფილიყო, მის იქით მაინც არსად წავიდოდა.

ნიკამ მიიღო დავითი სიხარულით, პირდებოდა უფრო უკეთ მოაწყობდა და ზრუნვას არ მოაკლებდა.

ყველაფერი დაიწყო კარგათ. დავითიც კმაყოფილი იყო ეხლა, რომ დანგრეული არ იყო ძველი ბუდე. მაგრამ ერთ დილას, როცა ჩვეულებრივად გათენდა, ნიკა, რომელიც ბუზსაც არ აკარებდა დავითის ოთახის კარებს, დაეჩქარებლად და დაუკითხავად შევიდა მასთან.

— ხომ არაფერი მომხდარა წუხელი? შემპარავი ხმით იკითხა ნიკამ.

დავითმა შეხედა და არაფერი უპასუხა.

— ხომ არ გაგიგონიათ ხმა... კარები ხომ არ გაუღიათ? ისეთი ოხერი ძილი ვიცი, ყურთან ზარბაზანიც რომ დამიცალო, გვერდზე არ გაღაებრუნდები.

— რა მოხდა? აგერ როდისღაც იკითხა დავითმა.

ნიკამ მხრები აჩეჩა, ცელი წარბი ასწია და ერთხანს ასე იდგა.

თქვენ არ ყოფილხართ გუშინ საღამოს ოთახში, სადაც წიგნები აწყვია?

— ვიყავი...

— წიგნებს ხომ არ ეძებდით?

— აი ეს წიგნი ჩამოვიღე...

საწოლის თავთან სკამზე იდგა შავყდიანი წიგნი და ზედ სათვალეები.

— იატაკზე ხომ არ გადმოგიწყვიათ?

— იატაკზე? არა...

— მაშ ალარ ვიცი რა ვიფიქრო!..

დავითი წამოჯდა ლოგინზე და ნიკას მიაცქერდა.

— ხომ არ გაუქურდავთ?

— ქურდის ხელი არ უნდა იყოს. ვინ ქნა, ეს მაკვირვებს. თქვენსა და ჩემს მეტი სახლში არავინ ყოფილა. თქვენ არ გიქნიათ. მე მეძინა. წიგნები კი იატაკზეა დაყრილი...

დავითმა საჩქაროთ ჩაიცვა და ორივენი წიგნთსაცავში შევიდენ. თაროები დაცლილი იყო. წიგნები მწყობრად გალაგებული იატაკზე. გადაარჩიეს და ნახეს — არაფერი აკლდა.

ბევრი იფიქრეს, ითათბირეს. გამოკითხეს მეზობლებს და ორცა ვერაფერი გამოარკვიეს. წიგნები ისევ შეაწყვეს თაროებზე.

ორი დღის შემდეგ იგივე განმეორდა. წიგნები ისევ გადმოლაგებული და იატაკზე დაწყობილი ნახეს. თანჯარა შიგნიდან დაკეტილი. დამე ხმა არ გაუგონიათ.

ვერც შემოეღოდა ვინმე. რადგან კარებს ურდულები ჰქონდა გაყრილი.

ნიკამ ამის შემდეგ ჩამოიარა ნაცნობები და ყველას გააგებინა ეს საკვირველი ამბავი.

— ალარც ვიცი რა ვიფიქრო, — სთქვა საოიდანმა, — აქ რალაც მამაძალლობა უნდა იყოს!..

მაგრამ ზოგიერთები იმ აზრს დაადგენ, რომ სახლს მავნე სული შეეჩვია.

იმავე დღეს ქალაქში უცნაური ხმები გავრცელდა.

გახშირდა ლაპარაკი, რომ ეს ადგილი ძველადაც იყო ნაძრახი. ზოგმა დავიწყებული ამბავი გაიხსენა: წინად დაგითის სახლის ახლო პატარა ღელე ჩამოდიოდა. ღელის პირად იდგა პატარა სახლი, რომელსაც შეეჩვია ჭინკა. ერთ დღეს, როცა სახლის პატრონმა ღვდელი მოიყვანა საწირავად, ეშმაკეული აოც მას დაერია. ცეცხლთან ძჯდარ ღვდელს ლოცვის დროს გადაშლილ სახარებაზე დაეცა კვერცხი ბუხრიდან და შეშინებულმა ლოცვა ვერ განაგრძო. ზოგი თუმცა ამბობდა, რომ ჭინკა აღმოჩნდა ძეზობლის ბიჭი, რომელიც სახლის გვერდით მდგარ ხიდან იპოდა კვერცხებს ბუხარში და შეისწრეს კიდეც, როცა კვერცხებით უბე ავსილი ზედა ტოტზე გადიოდა. მაგრამ ყველას არ სჯეროდა ეს და ამიტომ ადგილი დარჩა ნაძრახათ.

ამ დღის შემდეგ დავითის სახლი სხვანაირი ეჩვენებოდათ მოქალაქეებს. კედელიც ისეთი არ იყო, როგორც საზოგადოთ სახლებს აქვს, სახურავიც ისეთი, თითქო გაფრენაზე იყოს გამზადებული და ხის კიბეზე რალაც კვალი სჩანდა. ახალგაზრდები ეცინოდენ შეშინებულ დედაბერს, ლამით კი თითონაც შორიდან უვლიდენ სახლს. მოხუცები აფორიაქდენ და ერთმანეთს ხშირად დაუწყეს ნახვა.

ქალაქში ვილაცამ ეჭვი გამოსთქვა საკრახარდაზე და თავდაპირველად ბევრი ჩააფიქრა იმან.

— სახით შავია, ლამე ვერც კი დაინახავ... ჩვენებური არ ეცმის, და ვინ იცის რომელ ქვეყნიდანაა!..

* * *

პატარა ქალაქი, სადაც ერთმანეთს ისე ხშირად ხედავდენ, რომ მობეზრებული ყავდათ ერთი მეორე, ყოველ უცნობის ჩამოსვლა საერთო ყურადღებას იქცევდა. განსაკუთრებით დიდი ეჭვი ქონდა უცხოელს. ერთი, ორი დღე დაურიდებლად დაყვებოდენ, გაჰყოლებოდენ მის წინ და მეყურებდენ სახეში. ზოგიერთი ცნობისმოყვარე

ყველგან დასდევდა და აინტერესებდა გაეგო-რას სჭამდა ოსტორანში. რას ყიდულობდა დუქანში.

საერთაშორისო დიდი ხანია გადააცილა ამ საზღვარს. მისი სახე მოსაწყენი გახდა.

ყველასაგის უცხო დადიოდა ქუჩებში, ჩაივლიდა დუქნებს და როცა იშოვიდა განმარტოებულ ადგილს, ჩამოჯდებოდა და პატარა ჯოხით ჩუჩქნიდა მიწას და ეთამაშებოდა კენჭებს.

საერთაშორისო ისწავლა რამოდენიმე სიტყვა და ამბობდა მათ მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელი ხდებოდა.

ის იყო იხდოელი, ინგლისის ჯარის კაცი, თავისიანებს ჩამორჩენილი.

მრავალი ვაჟკაცი წავიდა იმ წლებში ამ ქალაქიდანაც და ბევრი წინ აღარ დაბრუნებულა. იმ წლებში ომი იყო შორეულ ქვეყნებში და საერთაშორისოც წაიყვანეს თავის თბილ ქვეყნიდან.

თუმცა პატარა ქალაქი არავის არაფერს უშავებდა და მით უფრო გერმანელებს და ინგლისელებს, რომელთა ლამპალ ძაფსაც კი ეხარბებოდენ მოქალაქენი, მაგრამ ისინი აქაც შეებენ ერთმანეთს.

შორს იყო ეს ქალაქი იმ ადგილებიდან, სადაც რამოდენიმე წელიწადი იბრძოდა საერთაშორისო. მაგრამ მისთვის სულერთი იყო, რადგან ყველა ქვეყანა მაინც შორს იყო სამშობლოდან.

საერთაშორისო კი, ისე როგორც მისი დანარჩენი ამხანაგები, იყო გამგონე, მორჩილი და მიეჩვია იმას, რომ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ათრევდენ.

ჯარის ნაწილი, სადაც მსახურობდა საერთაშორისო, შესდგებოდა იხდოელებისაგან.

როცა თეთრკანიანები ხედავდა მათ, ასე ეგონა-რომ ყველა ერთმანეთს გავდა.

ზოგიერთს შესაძლოა ისიც უკვირდა, თუ რატომ აქვს თითოეულ მათგანს ცალკე სახელი, როცა შეიძლება, ყველას ერთხაირად ერქვას, რადგან, სულერთია, მათი გარჩევა ძალიან ძნელია და ჰგავან ერთმანეთს. როგორც კამეჩები.

საკრახარდა იყო შავი, როგორც კამეჩი. მისი დიდი შავი თვალები იყო ისეთივე ლმობიერი, ალერსიანი და უცოდველი, როგორც ზაქის.

როცა ქალაქში შემოვიდენ უცხოელი ჯარის კაცები, საფეხურის გვერდით მათ აუგეს თეთრი კარვები და იქ დააბანაკეს.

პირველ ხანებში მოქალაქენი ესეოდენ იმ ადგილს, სადაც კარვები იყო.

ზოგიერთი მთელი დღე იდგა ქვიტკირის დაბალ ღობესთან და მისჩერებოდა უცხო ხალხს ჯარის კაცის ტანსაცმელში.

ინდოელებიც მიეჩვიენ, ალარ ბრაზდებოდენ მოუშორებელ მოქალაქეებზე და ყველაფერს მათ თვალწინ აკეთებდენ.

დილით ადრინ დიდხანს ლოცვილობდენ, დაურიდებლად გატიტვლდებოდენ, იბანდენ ტანს და შემდეგ ეყარენ მიწაზე და იფიცხებოდენ მზეზე, რომელიც მოაგონებდათ თავისი ქვეყნის ცხელ მზეს.

რამოდენიმე თვის შემდეგ ინდოელებმა დაკეტეს კარვები და წავიდენ ზღვისაკენ.

საკრახარდა კი ვერ წაყვა მათ.

საკრახარდა ჩამორჩა, რადგან ძლიერ ავად იყო და წაყვანა არ შეიძლებოდა.

დიდხანს იავადმყოფა საკრახარდამ. დიდხანს იწვა საავადმყოფოში. იმდენ ხანს, რომ ყველა მისი ნაცნობები და მეგობრები შავ ზღვას გაშორებოდენ.

და როცა იმდენათ გამორჩა, რომ სიარული შეიძლო, ალარ იყო საშუალება და გზა დაწეოდა მათ.

საკრახარდას შერჩა მხოლოდ რუხი ტანსაცმელი, რომელიც ჯარში ყოფნის დროს ჰქონდა, ფოლაქები ლომით, ლურსმებით მოჭედილი ფეხსაცმელები, თავსაკრავი და ქარგასი-დანა შესაწირავისათვის, — რომელიც ყველა მის ამხანაგს ჰქონდა სახლიდან წამოღებული.

საკრახარდა დარჩა ქალაქში, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ დაბრუნდებოდა ინდოეთში. სადაც ჩასული იქ-

ნებოდენ ყველა ისინი, ვინც გადაურჩა ომს და გზაში არ დაიმარხა.

პირველ ხანებში საგრახარდას ყველა თანაგრძნობით ხვდებოდა და წყალობდა. მაგრამ როდესაც შეაჩვიეს თვალი ისე, რომ აღარ ეუცხოვებოდათ მისი შავი კანი, საგრახარდას გაუძნელდა ცხოვრება.

მთელი დღეები დადიოდა მარტო, გაიარდა ბაზარს, ჩაივლიდა მთავარ ქუჩას, ჩაათავებდა დუქნებს და როცა მოივლიდა მთელ ქალაქს, წავიდოდა სადგურზე და უცდიდა მატარებლის მოსვლას.

მატარებლის მოსვლისას საგრახარდა გამოიცოცხლებოდა, უხაროდა როცა მგზავრი გაკვირვებით შეხედავდა.

სადგურში შესასვლელთან საგრახარდას მეგობარი ყავდა. რომელთანაც თუმცა ლაპარაკს ვერ ახერხებდა, მაგრამ საათობით იჯდა. ეს იყო ფეხსაცმელების მწმენდავი აისორი კოსტა. მუდამ მხიარული შავგვრემანი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ყველას ეძახოდა დოსტის.

კოსტა გრძნობდა, რომ საგრახარდას უხაროდა მის ახლო ყოფნა. საგრახარდა იღიმებოდა, როცა კოსტა მუშტრისაგან გადმოგდებულ ფულს მარდათ ჩააგდებდა პატარა ყუთში. კოსტას სწამდა, რომ საგრახარდა ნამსიანი არ არის, კარგი თვალი აქვს და სასარგებლოთაც მიაჩნდა ინდოელის მოსვლა.

საგრახარდა იჯდა შორი ახლო და თუ არ ულიმოდა კოსტას, თლიდა ჯოხს, ან ეთამაშებოდა ძაღლებს, რომელნიც ყოველთვის ბლომად არიან სადგურთან.

ხანდახან საგრახარდა იყო სევდიანი. ასეთ დღეებში საგრახარდა ამჯობინებდა მარტო ყოფნას. გავიდოდა ქალაქის გარეთ, წამოწვებოდა მიწაზე და მთელი დღეები რჩებოდა იქ. აზვავდებოდა მოგონებები, სტანჯავდა სიშორე თავის ქვეყნიდან და თვალწინ ეხატებოდა შორეული სამშობლო.

აგონდებოდა სოფელი, დიდი მდინარე, ოქმლის გარშემო მუდამ მწვანობდენ ხშირი ლეწვამის ტყეები. აგონდებოდა მეზობლები, ოქმლებიც შესაძლოა ამ წუთში

სადმე ყოფილიყვნ სანადიროთ წასული, ან ნავტიკებით მიემგზავრებოდენ.

ასეთ წუთებში საკრახარდა ყნოსავდა კიდეც იმ დამათრობელ სურნელებას, რომელიც აქვს ველურ ყლორტებს ტყეებში. ეს სურნელი აღიზიანებდა მას და ისე ცოცხლად გრძნობდა მათ, რომ ხანდახან სიზმარი ეგონა უცხო ქვეყანაში ყოფნა. დახუჭავდა თვალებს იმისათვის, რომ როცა ისევ გამოახელდა დაენახა — ყველაფერი იყო ცუდი სიზმარი და სხვა არაფერი.

მაგრამ როდესაც გაახელდა თვალებს, ხედავდა ისევ გადატრუსულ ველს და ცას, რომელიც აქ არასოდეს იჭნება ისე წმინდა და უძიერო, როგორც შორეულ სამშობლოში.

საღამოთი საკრახარდა ნელი ნაბიჯით ბრუნდებოდა ქალაქში. ლანდათ გაივლიდა ქუჩებს, რომლებსაც აქაიქ დანათოდა გაჭვარტული სანათი.

სანამ შერჩენილი ჰქონდა ძველი ტანსაცმელი, რომლის ფოლაქებზე ინგლისის ლომი იყო გამოჭრილი, საკრახარდას კიდევ ჰქონდა დაბრუნების იმედი. მაგრამ დრო ჯავშანსაც ცვეთავს. საკრახარდას შემოაცვდა ტანსაცმელი.

როდესაც ფეხსაცმელიც ისე დაეხა, რომ გაუტიტვლდა ფეხი, საკრახარდა იძულებული გახდა გადაეყარა ესინი.

ერთხანს ფეხშიშველი დადიოდა, მაგრამ ვილაც მადლიანმა აჩუქა ძველი წულამესტი, მეორემ ხონური შალის ბლუზა იდაყვებზე გახეული. საკრახარდამ დიდი სიხარულით მიიღო საჩუქარი და ბედნიერათ იგრძნო თავი. მერე სადგურზე ბარგს აზიდვინებდენ და საკრახარდა კმაყოფილი იყო, რომ მათხოვრობა არ სჭირდებოდა.

* * *

ნიკა დადიოდა მეზობლებში, შედიოდა დუქნებში და ყველას თავის გაკვირვებას უზიარებდა.

დავით თუმცა დიდ ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბავს, ყველას ეუბნებოდა რომ ჭინკები არ არიან და ამიტომ ადამიანის შეტი ვერავინ იზამდა. მაგრამ დაძინების

წინ ყოველთვის კეტავდა ოთახის კარებს და სკამსაც მიადგამდა.

რამდენიმე დღე არაფერი მომხდარა. წიგნებისთვის არავის უხლია ხელი. მაგრამ ერთ დილას უფრო უარესი ნახეს: სამზარეულოს თაროები დაცარიელი იყო. საინები, კასრები, ქოთნები ელაგა მიწაზე. კერიაზე გადებულ ძელებზე იდგა უნაგირი და მოსართავები ხეებზე იყო შემოტყმული.

— ვილუპებით ხალხი! სასოწარკვეთით იძახდა ნიკა, ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას და გაბოროტებული დადიოდა ქუჩებში.

— შემოგვიჩდა ვილაცა... ალარ გვაყენებს. ალბად ის უნდა, რომ ავიყაროთ აქედან. წავალთ ბატონო, მეტი რა ჯანია... აბა ეშმაკს ხომ არ ჩაუვარდებით ხელში!

ამის შემდეგ ის მოქალაქენიც, რომელნიც აქამდე ყურადღებას არ აქცევდენ დავითის სახლში მომხდარს, ჩაჩაფიქრდენ და ალარ იცოდენ რა ეთქვათ.

ქუდი რომ ყოფილიყო, წაიღებდა რამეს, მოპარული არაფერია. უნაგირი ისე იყო მოკაზმული ხეებზე, რომ კაცის ხელი ვერ შესძლებდა ამას. ნიკა მთელ დღეს ეწვალა რომ, გაეხსნა მოსართავები. დავითი თუმცა კიდევ ამბობდა, რომ ჭინკები არ ასებობენ, მაგრამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ხანდახან მთვარეულები სჩადიან საკვირველს.

— გინდა მთვარეული დაარქვი და გინდა ქაჯი. ეს კი ვიცი, რომ გლახათ შემოგვიჩდა რალაცაა... ცუდათ არ გათავდეს ეს ამბავი! ამბობდა ნიკა.

— ჩემს ჩამოსვლამდი არაფერი მოხდარა? იკითხა დავითმა.

— არაფერი. მხოლოდ ერთხელ, რამოდენიმე წლის წინად, როცა წერილი გამოგიგზავნეთ და გთხოვეთ ერთხელ მაინც დაგეხედათ თქვენი კარ-მიდამოსათვის, შუალამე იქნებოდა რალაცამ დაიღმუილა ამ ოთახში. არ გავიგეთ არც ძაღლის, არც კატის, არც ტურის ხმას. გავბედე. შემოვედი ოთახში, მაგრამ ვერაფერი დავინახე.

— საკვირველია! — ოდნავ გასაგონათ ჩაილაპარაკა დავითმა.

— დაუდარაჯდები ერთი-ორი ღამე — სთქვა ნიკამ, — ვნახავ მაინც ვინ არის რა არის!

ეს აზრი მოეწონა დავითს.

— მხოლოდ არავის გაუმხილო. თუ კაცია, გაიგებს და ალარ მოვა!

იმ ღამეს გადარაჯებული იყო ნიკა. მთელ ღამეს ხესთან ამოფარებული იდგა.

არავინ მოსულა, ალბათ დილით ნახეს ჭორჭლეული მიწაზე დალაგებული და უნაგირი ისევ ისე შეკაზმული.

— შეიძლება ჭაგელინა და ამ დროს მოვიდა ვიხმე? კითხა დავითმა ნიკას, რომელიც ასე შეშინებული არასოდეს ენახა.

— თვალიც არ დამიპაჭუნებია. მიშტერებული ვიყავი სამზარეულოს... ერთხელ ქათმები შეინძრენ ხეებზე, თორემ მეტი ხმაც არ გამიგონია.

— ძაშ რა ვქნათ? იკითხა დავითმა.

— ალარ ვიცი. თქვენ როგორც გენებოს, მე კი უნდა უტირო აქაურობას. კაცი ოჯახს ვეკიდები, ქალიც ამორჩეული მყავს და ამ დროს ეშმაკს რად უნდა შევეწირო?!

— მეც გადავალ!

— კარგს იზამთ, — მოუწონა ნიკამ, — დროებით მაინც გავეცალოთ. ვნახოთ, გამეორდება თუ არა. საშიშიც არის თქვენი მარტო დარჩენა.

დავითმა და ნიკამ გადასწყვიტეს სახლის დატოვება, როგორც კი ახალ ბინას მოიძებნიდენ.

ალაკა ისევ დარაჯობდა ეზოში. დავითს, ყოველშემთხვევისათვის, ეძინა გაუხდელათ. უხილავი კი ყოველ მეორე ღამეს შედიოდა სამზარეულოში და იქაურობას აფორიაქებდა.

ქალაქში ბევრს ლაპარაკობდენ ამ უცნაურ ამბავზე და ღამით ეროდებოდენ ქუჩაზე გავლას. დღით კი მიდიოდენ დავითთან, სხვადასხვა რჩევას აძლევდენ: ზოგი დარწმუნებული იყო, რომ ამის ჩამდენი იქნებოდა ირდოელი და ერთი მეორისაგან დაფარულად საჩუქრებსაც იმეტებდენ საგრძნობლადასთვის, რადგან ეშინოდათ მისი.

დილიდანვე ხევში ჩანდა ნისლი. ნისლი ეკიდა ხეებზე სახურავებზე, აივნებზე. ჰაერი იყო დაგუბებული და თბილი.

ატუამ ძაღლი გააძრო და ეზოდან გავიდა.

ქალაქი იყო როგორც მიძინებული, თითქოს ჯერ არც გათენებულა. ნისლი, ქვა, მიწა, სახლი, ადამიანის სახე — იყო ერთი ფერის.

ატუამ ჩაიარა ქუჩა, ვერავინ ნახა და ერთ დუქანში შევიდა.

— მარტო ხარ, სარდიონ?

ატუამ პასუხს არ დაუცადა. დაზგის წინ სკამზე ჩამოჯდა. თამბაქო ქალალდის ნახევში დაგრიხა.

— ნაწყენი ხომ არაფერზე ხარ?

სარდიონმა სახე მიუბრუნა და თვალები გამოქაჩა.

— ნაწყენი კი არა, ბრაზი მალრჩობს კაცს. არ იქნა, ვერაფერი ვასწავლე იმ ჩემს გამოჩერჩეტებულ დედაკაცს... ვეუბნები, დილაზე ნუ ჩამოხვალ დუქანში, გლახა ფეხის ხარ...

— ნავსიანია?

— საკმარისია დილას დუქანში მოვიდეს, რომ იმ დღეს უკულმა წავიდეს ჩემი საქმე. ამ დილაზე ოალაცაზე მოწანწალდა და ძას აქეთ არავის ფეხი შემოდგმულა დუქანში.

სარდიონი გაძღა ცოლის გინებით. როცა დამშვიდდა, ატუამ ჯიბიდან ამოიღო კარტი და „კონჩინკას“ თამაშს შეუდგენ.

გარეთ ნისლი იყო. შორიდან წვიმის ხმა ისმოდა. დუქანში არავინ შემოდიოდა.

ატუა და სარდიონი გულდასმით თამაშობდენ. მხოლოდ ხახდახან ეშლებოდათ. ოადგან კარტი იყო გაქონილი და ვერ ცნობდენ-ბაბუა იყო, თუ ვალეტი.

როცა ატუა შინ დაბრუნდა, ძაღლი არ დახვდა.

უგემურად დაღეჭა სადილი და ტახტზე მიეგდო. ძილი არ ეკარებოდა. გამახვილებულ ყურს ესმოდა როგორ ეცემოდენ სახურავზე წვიმის პირველი. ლონიერი წვეთები.

ატუა ვერ ისვენებდა. მრავალჯერ იკითხა ძაღლი. შემდეგ მოიარა მეზობლები, ქუჩები, გამოკითხა მედუქნეებს და მაინც ვერაფერი გაიგო.

საღამომდე კიდევ ჰქონდა იმედი. მაგრამ არც დაღამების შემდეგ მოვიდა ძაღლი.

ატუა ხშირად გადიოდა ეზოში. უძახდა, უსტვენდა. ძაღლი არ სჩანდა.

— მომპარა ვილაც ოხერმა... ყველას თვალი ჰქონდა იმაზე გამოჭყეტილი. ან შეიძლება თვალი ეცა იმ უბედურს და აგდია სადმე!

გარედ ქარი იყო და წვიმა. ბეღლის დიდი ხე ურტყამდა ტოტებს აივნის რიკულებს. წვიმა რეცხდა სახურავს, კედლებს, ქუჩებს, ღელეები ჩამორბოდნენ დალმართებზე. ძოყდახზე, დაბლობ ქუჩებზე წყალი დგებოდა ტბათ.

ქარს ჩაექრო სანათურები დაკიდებული დუქნების დარაბებზე.

— რა გადაყევი ამ ძაღლს! წყენით უთხრა ატუას ცოლმა. — ძაღლებს გაჰყვებოდა დილით ძუკნას მისდევდა, თითონ დავინახე. დაწექი. დაიძინე. მაგის მეტი სადარდებელი ნუ მოგცეს ღმერთმა. გირჩევნია ცოლ-შვილზე იფიქრო. ვის გაუგონია, ჭალარა შერეული კაცი ქოპაკისთვის თავს იკლავდეს!

ატუას ბრაზით აენთო თვალები.

— ქოფაკი თითონ ხარ! ის ძაღლი ყველას მერჩია!

— მეც?

—შენ რა წითელი კვერცხი ხარ?!

ცოლმა რაღაც წაიბურტყუნა, გაიხადა და ლოგინში ჩაგორდა.

ატუამ ერთხანს კიდევ უცადა. გარედ გამოდიოდა, ქარს და წვიმას არ ერიდებოდა. უძახდა. უსტვენდა. ძაღლი არსად იყო.

არ დაერიდა ავდარს და გავიდა ქუჩაში.

ქარი ატრიალებდა წვიმას. ქარი ხრიდა ხეებს. წვიმა მდიბარედ მიექანებოდა დალმართებზე და ქვაფენილებზე გუბეთ იდგა.

გაიარა კაცმა სანათურით ხელში. მქრთალ სინათლეზე ატუამ დაინახა: ქუჩა დაეფარა წყალს და წვიმის წვეთები ტყვიებივით ეცემოდენ ტბათ დამდგარ წყალს. სანათურით და პლაშჩით ატუამ იცნო, რომ უცნობი კონდუქტორი უნდა ყოფილიყო. არუა გაუკვირდა მას. ქუჩაში არც ერთი ძალი არ სჩანდა. მთელ ქალაქში ძალი არ ყოფილა.

ვის შეეძლო მოეპარა? ცოტა საეჭვო კაცია ბიქტორა. მისი თვალები სულ საეშმაკოთ იყურება, სიარულიც შემპარავი აქვს. სიტყვასაც ისეთს გეტყვის, ვერ გაიგებ რაშია საქმე. ოჯახებში მაინცადამაინც არ ენდობიან. ეშინიათ ხელი არაფერზე წაცდეს... მაგრამ ძალზე არ გაბრიყვებოდა.

ანტონიც ისეთია, რომ სულ პატიოსნათ ვერ ჩათვლი. მაგალითად, სხვისი წერილების გახსნა და წაკითხვა უყვარს: კაცს ერთმანეთზე გადაგკიდებს, თითონ კი დაიძვრენს თავს. მაგრამ ძალების მოყვარული არასოდეს ყოფილა.

ვალოდიას, მართალია, ერთი ცუდი ჩვეულება აქვს — რესტორანში დაგპატიჟებს, მოითხოვს რაც კარგია, არაფერს დაიკლებს და მერე, როცა გამოსისტიკინდება და შეთვრება-ჩხუბს ასტეხს, მიგატოვებს და შენ მოგიხდება ნახარჯის გასტუმრება, მაგრამ ნადირობა იმას არ უყვარს და ეითხელაც არ უთქვამს, რომ ძალი ენატრებოდა. როცა ატუას ძალი ნახა, ყურადღებაც არ მიუქცევია.

ძალი ვილაცას ყავს ამ ქალაქში. ყავს მაგრამ ვის? კოლია, ევნატე, ლენტორი ავარია ხალხია, ძალლის სუფთა იმათ არასოდეს ჰქონიათ.

მედუქნეებში? შეიძლება მათ შორის ყავდეს ვინმეს.

როცა იქნება ძალი ინახება, გამოჩნდება ვინ არის ქურდი, მაგრამ მანამდე დამჭლევდება, შიმშილისაგან მსუნაგობას მიეჩვევა, ან შეიძლება მუნი დემართოს.

ვინ შეიწუხებს თავს, ვინ დაბანს!

წვიმა სცემდა ატუას სახეში. ქარი უფრიალებდა გრძელ პალტოს კოჭებამდე დაშვებულს.

როდესაც კონდუქტორმა სადგურისაკენ გადაუხვია, ატუა ბნელში დარჩა.

კიდევ გაიარა რამოდენიმე შესახვევი. ღამეში ძლივს იცნო საოიდანის სახლი და კარებს მუშტები დაუტოლა. არავინ აღებდა. ატუამ უფრო ლონიერად მიარტყა, მიაძახა რამდენიმეჯერ. მაგრამ ვერ აგონებდა. ქარის ხმა გრგვინვასაც ფარავდა.

— რამ დააყრუა ეს მამაძაღლი! იგინებოდა ატუა. ის იყო დააპირა დაბრუნება. რომ კარები გაიღო.

ატუა შევიდა ოთახში.

წყალი წუწუტით ჩამოსდიოდა პალტოდან. ქუდიდან. სახიდან.

საოიდანი გააკვირვა მოულოდნელმა სტუმრობამ ასეთ ღამეში. დაავიწყდა რომ კარებთან მხოლოდ თეთრეულში იდგა. გაოცებული მიშტერებოდა და ითხანდა ბანლით დაფარულ მუცელს... მერე თვეხი წაუყარა ქუსლ შათელილ წულებში და ჩამოჯდა მაგიდაზე.

— გაიხადე. ბიძია. ეგ პალტო. ვერ ხედავ ტბა დაადგენე?!

ატუამ პალტო მიაგდო კუთხეში.

— რამ აგატრუა ამ წარღვნაში.

ატუამ უამბო თავისი გასაჭირი

— ძალი მოგპარეს? მერე მაგას დარდობ?

— ჩემს თავს მერჩია საოიდან! სასახელოდ მყავდა. იმაზე ვიყოლიებდი თავს. დილას ჩემთან იყო. გულიც ლამაზებული მქონდა. არაფერს მოველოდი. ცუდი ამიდი იყო. დუქანში წავედი, ცოლს დავუტოვე. იმ ოჯახდასაქცევს გარეულ გაეშვა და მას შემდეგ აღარ მოსულა. არ ვიცი ვიზე მივიტანო ეჭვი, ვინ მიზამდა ამას...

საოიდანს გააზმორა.

— მე რა გიშველო?

— შენს იქით გასაქანი არ მაქვს. თუ მიშველი, შენ მიშველი!

მეორე ოთახში ჯერ არ აპირებდენ ძილს. მეორე ოთახიდგან ორი ახალგაზრდა ხმა ისმოდა. ერთი იყო საოიდანის და არიადნა. არიადნა გიტარაზე აყოლებდა ხმას. მეორე ხანდახან აჰყვებოდა.

— ეჭვი არავიზე გაქვს?

— არა.

— არავის გამოუგზავნია მოციქული მომყიდე ძაღლიო?

— არავის.

— საგანგებოთ არავინ მოსულა შენთან ძაღლის სანახავათ? ან ხომ არ უთქვამს ვინმეს, ძაღლს გიქებენ და უნდა მაჩვენოო?

— არ მახსოვს.

— სანადიროთ ხომ არ უთხოვნია ვინმეს?

— სანადიროთ?!

ატუა ჩაფიქრდა. საოიდანმა თითქო ციხის გასაღებს მიაგნო, დაუტრიალდა ამ აზრს, ჩამოთვალა ყველა მონადირე ქალაქში, ვის როგორი ძაღლი ყავს, ვინ რაზე ნადირობს, ვინ როგორი კაცია.

— გელაძეს მეძებარი არ ყოლია! სთქვა ატუამ.

— არ ყოლია! გაიმეორა საოიდანმა. ხელი მაგრად ჩაჭიდა თეთრეულს ძირს, რომ არ ჩამოვარდნოდა და გაიარა ოთახში.

მთელ ქალაქში ყველა მონადირეზე უფრო გელაძეს იცნობენ მონადირედ.

თუმცა მისი ნანადირევი არავის არასოდეს უნახავს. მაგრამ მონადირეს თუ ვინმეს დაუძახებდენ, უპირველესათ მას. გელაძის მამა, გელაძის ბიძა, გელაძის ბაბუა მონადირენი იყვენ. ასე ახსოვდათ ძველ მოქალაქეებს, ასე ახსოვდათ მოხუც მედუქნეებს და ამიტომ არავის უკვირდა, რომ ეს გელაძეც მათ კვალს გაჰყვა.

დილით, არც ისე ადრე, როცა იღებოდა დუქნები, ეროთ დანიშნულ დროს, მაღალი, ხმელი, თვალებზე ჩამოწეულ შალის ქუდით, კაჟიანი თოფით მხარზე, დინჯად ჩაუვლიდა დუქნებს. გვერდით მისდევდა პატარა ყავისფერი მწევარი, რომელიც შეიძლება მხოლოდ იმიტომ ეგონათ მწევარი, რომ ძალიან გამხდარი იყო.

გელაძე ჩაივლიდა მთავარ ქუჩას. სალამს არავის მისცემდა, თითქო ნაცნობი არავინ ყოლოდა. ჩაათავებდა დუქნებს, ქუჩის ბოლოს წყაროზე პეშვით წყალს დალევდა, სახეზე შეისხამდა. დაუცდიდა ძაღლს, სანამ ისიც დალევდა, გადაივლიდა ოკინის გზის ლიანდაგს, გაყვებოდა მა-

ზუთით გაშავებულ ბილიკს ლიანდაგის გვერდით და ქალაქ-გარეთ გავიდოდა.

ზაფხულის დღეებში გორაკის გადალმა ველი იყო ცხელი და ბალახები დამწვარი მზისაგან. მწვანე იყო მხოლოდ იქ, სადაც იდგა ნოყო, დაუმშრალი და შმორიანი.

ნაშუადღევს გელაძე ბრუნდებოდა ქალაქში. ისევ დინჯათ და მდუმარეთ მიაბიჯებდა ქუჩაში, ჩაუვლიდა დუქნებს. არავის შეხედავდა არც მარცხნით, არც მარჯვნით. გვერდით კი ძუნძულით მიჰყვებოდა პატარა, ყავისფერი მწევარი.

გელაძის შინაური ამბავი არავინ იცოდა. ჯერ არავის ეთქვა, რომ იყო მასთან. ზოგს წარმოდგენაც ჰქონდა, რომ ეს კაცი დილით აღმოსავლეთიდან დასავლეთით ჩავიდოდა, ნაშუადღევს დასავლეთიდან აღმოსავლეთში ბრუნდებოდა. მაგრამ სად იყო გზის ბოლო, არავინ იცოდა. ის თითქო დაუსვენებლად და შეუჩერებლად ზომავდა მანძილს ქვევით და ზევით.

ყველა ვინც ცოტა რამეთი განირჩეოდა ქალაქში, იცვამდა წკიპათ, დიდ სახლში უყვარდა გავლა გამობერილ პორტფელით იღლიაში, უკადრისობდა ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ან დადიოდა იკლიკანტურად. მას მთელი ქალაქი აუხირდებოდა, უკანიდან დაუწრუპუნებდენ, დუქნებიდან გულმოსაკლავ სიტყვას მიაძახებდენ.

გელაძესთვის კი ჯერ არავის გაუცია ხმა. მას თითქო არც ხედავდენ. ის მხოლოდ მოშინაურებული მოჩვენება იყო ქალაქში, სადაც ძალსაც არ აუვლიდენ გვერდს, რომ არ მოეალერსათ, ან ქვა არ ესროლათ.

— არ ყოლია, არც ახლა ეყოლება! წამოიძახა სარიდანმა.

ამაში ორივენი შეთანხმდენ.

სარიდანმა ჩამოთვალა ყველა მეზობლები, გზადაგზა გახსენებისას ზოგს ლანძღავდა, ზოგს დასცინოდა და ხანდახან ისე გაიტაცებდა რომელიმე მოგონება, რომ თავდაყოფილებით და გატაცებით ლაპარაკობდა. მაშინ ატუას მოა-

გონებდა რატომ მოვიდა ამ წვიმიან ღამეში, რა დიდი მწუხარებაა ეს მისთვის და რაზე აჯობებდა ეფიქრათ.

— რა გამიჭირვე საქმე მუნიანი ძაღლით! ძაღლი კი არა, მამაჩემი არ მიტირია! წყენით ჩაილაპარაკებდა საროიდანი. მაგრამ ისევ ძაღლის ქურდის გამოძიებას დაუბრუნდებოდა.

საროიდანი უეცრად დაკვიწიალდა, ხელები მოიფშვნიტა და გაჩერდა ატუას წინ.

— კაცი არ ვიყო, თუ არ მოგაძებნიო!

ატუას, რომელიც აქამდე თითქმის უიმედოთ იყო და შეიძლება მხოლოდ იმიტომ მივიდა საროიდანთან, რომ გაეზიარებია მწუხარება, ეხლა იმედი მიეცა.

შეიძლება ეს ბედნიერი დღე ხვალ გათენდეს. საროიდანი რომ შეიწუხებდეს თავს, ამაღამაც ინახება ძაღლი. ხვალ კი, ბედნიერი დღე იქნება: ძაღლი ისევ შემოვა ოთახში, თვალებით ეტყვის უბედური ღამის თავგადასავალს, შემდეგში კი გარეთ არსად გაუშვებს. იყიდის ძეწკვს და ატარებს თან.

ატუა წამოდგა.

— რა გაგიყვანს ამ სხმაში! დარჩი და დაიძინე. ხვალ ერთად ავდგებით და საქმესაც შეუდგებით. არიადნა!

მეზობელ ოთახში შეწყდა გიტარის ხმა.

— დაუგე იმ ტახტზე! უთხრა საროიდანმა.

რადგან ატუა უარზე იდგა, არიადნაც არ შეპატიჟებია.

არიადნა ზრდილობას იჩენდა მხოლოდ უცოლო მამაკაცებთან, ცოლიანები მისთვის კაცებში არ ითვლებოდნენ. არიადნა ყოველ ცოლიან ვაჟს გამოტირებულად სთვლიდა. მასთან ლაპარაკი დროის დაკარგვათ მიაჩნდა.

შეიძლება ასე მოქცევა ხანდახან ჭკუაზე შოს არ იყოს. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ახალგაზრდა ვაჟებში არიადნას სახელი ყველაზე უფრო ხშირად იცვითებოდა.

პატარა ქალაქში ყველაზე უფრო ძნელია შეყვარება. შეყვარებულს ენატრება მარტო ყოფნა სატრფოსთან, წასვლა ისეთ ადგილას, სადაც არავინ არის. პატარა ქალაქში კი, თუმცა ბევრი ყუდრო ადგილია, მაგრამ თავზე

ხელალებული უნდა იქნე, რომ გაბედო განმარტოება ქალთან. მეორე დღეს მთელმა ქალაქმა იცის, მედუქნეებიც ლაპარაკობენ და თუ ბედმა გაგიღიმა და გაულახავი გადაეურჩი ქალის ნათესავ ბიჭებს, იმაში დარწმუნებული უნდა იყო, რომ სატრფო თმით ათრიეს სახლში.

არიადნა არც თმით უთრევიათ, არც განმარტოებულა ვინმესთან, მაგრამ ქუჩაში კი მატარებლის ჩამოვლის დროს ბაქანზე მუდან ვაჟებში დადიოდა ფარშავანგივით კუდგაშლილი.

არიადნას მსუქანი, წითელი სახე ბევს სახეზე უარესი იყო ქალაქში. მაგრამ, თურმე მარტო სახე არაფერს ნიშნავს.

არავინ იცის საიდან დაიწყო ეს ამბავი, მაგრამ მთელ ქალაქში ვნებიან ქალის სახელი ჰქონდა.

— როცა ქალი გამკრავია, სახეზე თეთრი ბზუკები იცის! ამბობდენ ქალაქში და რადგან არიანდას ლოყები, შუბლი და ხანდახან ნიკაპიც პატარა თეთრთავიანი მუწუკებით ჰქონდა დაყრილი, არიანდა ყველას თვალში დაუშრეტელი ვნება იყო.

ქალს ახარებდა ყურადღება, რომელსაც იჩენდენ ვაჟები და თუმცა არასოდეს გაბრიყვებულა და განმარტოებულ ადგილას არავის წაყოლია, მაგრამ სამაგიეროდ დუქნების წინ ტკეპნიდა ქვაფენილს ისევე გულმოდგინეთ, როგორც სხვა მრავალი.

არიადნა უფრთხილდებოდა თავს და ამწუხრებდა მხოლოდ ის, რომ ვერაფრით მოიშორა მუწუკები.

ნაცნობებში გაიგო, რომ შველოდა გამხმარი ლამურას შიგნეული, ზოგმა ოფოფის ნაღველაც ურჩია, მაგრამ არაფერმა უშველა.

ბოლოს ბედს შეურიგდა და იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ სანამ ქუჩაში გავიდოდა, დიდიხნობით იდგა სარკესთან და ფრჩხილებით სრესდა თეთრთავიან დამწიფებულ ფერისმჭამელას.

მხოლოდ ერთი რამ ძალიან უკვირდა ქალს: მას წმინდა სიყვარული უნდოდა, ვაჟები კი ყოველთვის ქარაგმებით ელაპარაკებოდენ.

— სახში რომ არ მივიდე, გადაირეკიან! უარზე იდგა ატუა.

მეტი არავინ შეპატიჟებია. ატუამ სოველი პალტო ჩაიცვა. აროიადნამ ალარ დაუცადა მის წასვლას. მეორე ოთახში გაბრუნდა. კარები მიახალა. გიტარა ისევ ატირდა სიყვარულზე, საწამლავზე, მთვარეზე.

— ხვალ მოდი იცოდე დილიდანვე... ისე არ შემიძლია. დამგეშე იმ შენი ძალლით. მეც შემაცოდე. ძებნის ხასიათი მომეცი. ისე ვერაფერს გავაკეთებ!

მიდიოდა ატუა ლამეში და იწყევლებოდა.

ღელეები მოდიდებულიყო. ნარვალები ავსილიყო და წყალი ნაპირებიდან გადმოდიოდა. სადღაც დარაბას შერჩენოდა სანათი. შუქზე ძლივს მოსჩანდა პატარა მოედანი და მოედანზე თეთრი ძეგლი, რომელსაც წვიმა რეცხდა.

უეცრად ქუჩა გადაირბინა ძალმა. ატუამ იცნო ვისი იყო ეს ნაგაზი და თავისი გაახსენდა.

ქარის ხმაურში და ღელეების ჩხრიალში ხანდახან ყურს ესმოდა, თითქო სადღაც ყეფდა ნაცნობი ხმა. არა, კი არ ყეფდა, ყმუოდა.

შესახვევში სამიკიტნოდან სიმღერა მოესმა. შეჩერდა, ჭუჭრუტანაში შეიხედა. მაგიდას შემოსხდომოდა რამოდენიმე კაცი. მაგიდაზე ორი საინი იდგა. ერთი პურით. მეორეზე ვერ გაარჩია რა იყო. რამოდენიმე კვარტი ღვინით და ჩაის ჭიქები.

დუქნის პატრონს გაუხდელად დასძინებოდა დაზგაზე. მუშტრების შორიახლოს სკამზე ყვინთავდა პატარა ბიჭი წინსაფარით. ქალალდით აწებებული ლამპა ჩხოლავდა ოთახს.

მოქეიფეებში ატუამ იცნო სცენის მოყვარე ჟან ჟანიძე. ჟანი იჯდა სუფრის თავში და. სჩანდა, სუფრას დიროიჟორობდა.

— აბა. მაგარი ბანი. ბიჭებო! მაგარი ბანი!

* * *

ახალი ბინა იპოვეს. დავითი და ნიკა მხოლოდ გამოდარებას უცდიდენ. წვიმიანი დღეები ერთმანეთს წაება. ტა-

ლახში ეფლებოდენ ეტლები. სახლებში ჩადგა ნოტიო.

დაბინდების შემდეგ ადრე იძინებდენ. ღამით კიოდა მატარებელი.

დავითის სამზარეულოში უცნობი ისევ ხშირად სტუმრობდა და დილით მიწაზე გადმოლაგებული ხვდებოდათ ჭურჭელი და უნაგირი ხეზე მიკრული.

დალამებამდე დავითის ოთახი ყოველთვის სავსე იყო ნაცნობებით.

— ბოლო არ უნდა მოელოს ამ ამბავს? სასოწარკვეთილებით კითხულობდა დავითი.

— გავეცლები და ბოლოც მაშინ იქნება! თავს ხომ არ შევაკლავთ ამ სახლს! ბედისადმი მორჩილი იყო ნიკა.

— წასვლა ადვილი საქმეა, მაგრამ არც ეგ ივარგებს! — სხვა აზრის იყო საროიდანი, — ვცადოთ რამე... შეიძლება გამოვარკვიოთ.

— მთელ ღამეებს ვუდარაჯებ.. ღამე დღეთ გადავაქცევ. უძილობით თვალებში სინათლე აღარ მაქვს... ვერაფერი გავიგე... მაგის მქმნელი რომ ადამიანი იყვეს, კვალს მაინც დატოვებდა სადმე. ამ ტალახში ადამიანის ფეხი კი არა, ჩიტის დაცხიკვებაც სტოვებს ნაკვალევს...

— ერთი ჩინებული აზრი დამებადა! — სთქვა საროიდანმა. მთელ სამზარეულოში ნაცარი მოვაყაროთ... თუ რამე ცხოველია, არ შეიძლება კვალი არ დატოვოს. კვალის საშუალებით კი გავიგებთ. რა არის, ვინ არის.

საროიდანის რჩევა მოეწონათ. იმავე დღეს ნიკამ სამზარეულოში მთელი მიწა ნაცრით დაფარა.

მეორე დილით, როცა სამზარეულოს კარები შეაღეს, თაროები ისევ გადმოლაგებული ნახეს და უნაგირი ხეზე მიკრული.

— მოიცა რაღაც კვალია! მიაძახა საროიდანმა ნიკას, რომელიც სამზარეულოში გადაბიჯებას აპირებდა.

ნაცარზე რამოდენიმე კვალი იყო. დააკვირდენ, დიდხანს უცქირეს, მაგრამ ვერ გამოარკვიეს. ნაკვალევი იყო რგვალი, თითქო ბურთი დავარდნილიყო. არ სჩანდა არც ქუსლი, არც თითები, სხვა ისეთი, რომელიც შეიძლებოდა რამეს მიმსგავსებოდა.

— კაცი არ უნდა იყოს! შეშინებული ხმით სთქვა სარიდანმა.

ალარც ახლა გჯერათ?! ამდენ ხანს კიდევ მქონდა იმედი, ახლა კი ცხადათ ვხედავ ვილუპებით. დღესვე მივდივარ აქედან, მეტი ალარ შემიძლია! ვერ ისვენებდა ნიკა.

თითქმის ყველას სჯეროდა ადამიანისაგან არ იქნებოდა ეს, მაგრამ ზოგიერთმა მაინც გამოსთქვა ის აზრი, რომ შესაძლებელია საგრახარდა ყოფილიყო. რამოდენიმე მოქალაქემ ის აზრი გამოსთქვა, რომ შავი კაცის კვალი არ დაეჩნდებოდა ნაცარს. ფეხი გახდილი ექნებოდა და შავი ხორცი კვალს ვერ დასტოვებდა.

სარიდანმა, რომელიც სამზარეულოში დაფორიათობდა და სათითაოდ უკვირდებოდა ნაკვალევს, უნაგირის ახლო რალაც მძივი იპოვა.

— ეს შენ დააგდე? მიმართა მან ნიკას.

— ჩემი ძალლის ქარვა! უეცრად დაიყვირა ატუამ.

* * *

იმავე დღეს მთელ ქალაქს მოედო ქარვის პოვნის ამბავი. დაკარგულ ძალლზე ყველა ალაპარაკდა.

— საკვირველია, — სთქვა სარიდანმა — შენი ძალლის კისერზე ჩამოკიდებულ ქარვას რა უნდოდა იქ?

ატუა თითონაც გაოცებული იყო.

— ხომ არ ატყობდი რამეს, სხვანაირი ხომ არ იყო შენი ძალლი?

— რა ვიცი. მე არაფერი შემიჭნევია ისეთი... მიყვარდა კი, ძალიან ჭკვიანი იყო. ხანდახან ისეთი თვალებით შემომხედავდა, თითქო რალაცას მეუბნებოდა. თითქო მიცინოდა კიდეც:

— გიცინოდა?

— ალერსიანი იყო... არასოდეს დაუყეფია.

— არ დაუყეფია?

სარიდანი გაკვირვებული შეყურებდა ატუას.

— რალაცას გეუბნებოდა... გიცინოდა... არ დაუყეფია ლამე გაპარვა იცოდა... ქარვა უნაგირთან ვნახეთ..

— ღვთის წინაშე, რალაც სხვანაირი კი იყო, სხვა ძალლებს არ გავდა!

საოიდანს სახე აენთო.

— აქამდი ვერ მითხარი ეს ამბავი? შე მამაცხონებულო, ავსულს გაძებნინებდი ეს სამი დღე?

ქალაქში მალე გავარდა ხმა. ოომ დავითის სახლის ამფოორიაქებელი იყო ძალი. ოომელსაც კისერზე ჰქონდა შებმული ქაოვა. სთქვეს ისიც, ოომ ქაოვა ატუას ძალის კი აო იყო, აოამედ ჭინკას ოქის ნატეხია. ოადგან ჭინკას აქვს ყვითელი ოქა.

ამას ამბობენ მოხუცები, მაგრამ ამის შემდეგ ახალგაზოდებიც ეოიდებოდენ ლამით ატუას სახლთან ახლო გავლას.

თითქო პიოველად შეხედეს ატუას სახლს უკვიოდებოდენ კიბეს, კედლებს, სახუოავს. თითქო ჩვეულებრივი იყო და თითქო სხვანაიოიც. ატუაც სხვანაიოი გახდა, მისი ცოლიც. ატუა ყველაფვერ ამას ამჩნევდა და თითონაც ეოიდებოდა ხალხის.

— ესლა მაკლდა! გამწაოებული იყო ის — ოათ აო დაიქცა ის დღე. ოოცა ლეკვი გამომიგზავნეს! ოა ოხოათ მინდოდა, ოომელი მონადიოე ძე ვიყავი!

*
* *

დილით, ოოცა გაიღვიძეს, მზე დაყუოებდა ქალაქს. მზე იყო მხიაოული, მზე დასცინოდა ატალახებულ ქუჩებს, ლაფში ამოსვრილ მოქალაქეებს.

ყავრის სახუოავებიდან მზე იწოვდა სისოვლეს. სინესტეს. სინესტე ამყოალდა დუქნებში.

დასილულ ქვაფენილებზე ეგდო სახლებიდან გადმოყოილი ჩვრები, დაგლეჯილი წაღები, დამღვრჩვალი წიწილები.

მზე აო უხაოოდა მხოლოდ ატუას. მისთვის სულ ეოთი იყო, გამოდაოებას მხოლოდ იმით იმჩნევდა, ოომ ტანსაცმელი აო უსოვლდებოდა.

თუ შინ აო იჯდა, მაოტო დადიოდა ქუჩაში. ნაცნობები, ოომელნიც წინად ხალისით ხვდებოდენ, ახლა ისე უყუოებდენ, თითქო მის სახლში მიცველებული ესვენა და ნუგეშის თქმა ეძნელებოდათ.

ისინიც კი, რომელნიც წინად ბოდიშსაც არ მოითხოვდენ ისე ამოუღებდენ ჯიბიდან სათუთუნეს, ეხლა ისეთი ზრდილობით უკრავდენ თავს, რომ ატუას აწუხებდა ეს გადაჭარბებული თავაზიანობა.

— როდის გავხდი ასეთი პატივსაცემი კაცი! ფიქრობდა ატუა და თითონაც უკვირდებოდა თავის სიარულს, ხმას. — რომ გაეგო მართლა ხომ არაფერი ცვლილება მომხდარა მასში.

შინ მისვლა ეზარებოდა. მოქალაქეთა მორიდება აბრაზებდა.

შეუმჩნევლად საროიდანის ფანჯარას მიადგა.

საროიდანს არ გახარებია ეს მოულოდნელი სტუმრობა.

— საროიდან! — ბოდიშით მიმართა ატუამ — არ მიხდოდა შენი შეწუხება... შენი შემაწუხებელი ღმერთმა დალუპოს... მაგრამ მეტი ვერ მოვითმენია! რას გავს ეს ამბავი? ყველა ისე მოკრძალებით მესალმება, თითქო ატუა კი არა, თამარ დედოფალი ვიყვე..

— პატივსაცემი კაცი არ ხარ, თუ?

— მე კაი კაცო, აქამდი სამასხაროთ თუ ვინმე დაძიკავდა დაბლა თავს, თორემ სალამის მოცემაც დავიწყებული ჰქონდათ. ეხლა კი ნაცნობი და უცნობი წელში ორად იღუნება და ისე მხვდებიან, როგორც ყეენს...

— პატივს გცემენ და შენც შეიშვნე.

საროიდანმა მეტი არაფერი უთხრა. ატუას გული ატკინა მეგობარის პასუხმა.

— საროიდან! — თითქმის დაიყვირა ატუამ,—ჩემს ჭკუაზე ალარ ვარ.. ვერ გამიგია, რამ გადარია ეს ხალხი? ვაჟკაცები მგონიხართ. დედაბრები ხომ არა ხართ! ვილაც მუდრეგი დაფოთარობს სამზარეულოში, მე კი რა შუაში ვარ?! ჭკვიან კაცად გთვლი და მითხარი, განა დასაჯერებელია უგონო ძალმა ჩაიდინოს ის, რაც დავითის სახლში ხდება?

— ქარვა... წამოცდა საროიდანს — ეს მაკვირვებს ჭხოლოდ!

— შენზე ნაკლებ არც მე ვარ გაკვირვებული... ერთი კი ვიცი, ჩემი ძალის კვალი იმ სახლიდან უნდა ვეძიო.

ატუას თანდათან ემატებოდა ბრაზი. საჩიდანი ისევ გულგრილად იდგა და ატუას წასვლას ელოდა.

— ერთი მეგობრობა უნდა გამიწიო! ხმა დაბლა დაიწყო ატუამ, — ბოლო უნდა მოელოს ამ ამბავს... რათაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავიგო... ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე: გაუდარაჯდები. ვნახავ ვინაა.. შენც უნდა წამომყვე.

— შენ რაც გინდა ის ქენი, — სიტყვის გათავებაც არ აცალა საჩიდანმა, — მე კი ნუ გამრევ... ტკბილად ვცხოვრობ ჩემთვის, არავის ვაწუხებ, არავინ მაწუხებს... რათ გავიხადო საქმე სახლთან!

* * *

ცა იყო მოწმენდილი და ღამე ნათელი. მთვარე დახარბებოდა ხევში ჩაძინებულ ქალაქს. სახლებში დიდი ხანია ჩაქრა სინათლე. სანთელს ეკიდა მხოლოდ დავითის ოთახში — როგორც გატყობთ, გეძნელებათ აქედან გადასვლა თქვენი ნება იყვეს, დარჩით... მე კი, ნუ დამემდურებით, ხვალ უნდა მოვშორდე აქაურობას!

დავითი დალონებული შეყურებდა ლოგინზე ჩამომჯდარ ნიკას.

— მაინცა და მაინც არაფერს გვიშავებს ის სულიერი. ერთი კოვზიც არ მოუპარავს. თუ ასე ახარებს ქოთნების გადმოლაგება მიწაზე, ალაგოს სანამ არ მოსწყინდება. თუ თავი მოგაბეზრა იატაკიდან ალაგებამ, მაშინ ყველაფერი გადმოვიტანოთ სამზარეულოდან და რომელიმე ოთახში დავაწყოთ.

ნიკა გაბრაზებული წამოვარდა.

— ძლივს მოშორდა ოთახებს და გინდათ ისევე შემოაჩვიოთ? როგორც გნებავდეთ ისე ქენით, მე კი უკანასკნელ ღამეს ვათევ აქ..

მარტო დარჩენილ დავითს კიდევ დიდხანს არ დაუძინია.

აგონდებოდა შორეული ქალაქი, წარსული დღეები. ყველაფერი სიზმარივით გაქრა..

წარსულ ნეტარებიდან ხსოვნაში დარჩა მხოლოდ სიმწარე.

და ეხლაც. როცა დაბრუნდა დაიწყებულ ქოხში, რომელიც თითქო კუბო იყო მისთვის. უკანასკნელი თავშესაფარი. არ უსვენებდა ვიღაც და აქედანაც ერეკებოდა.

დავითმა სცადა კითხვა. გადაფურცლა წიგნი... თვალები დადიოდა სტრიქონებზე. მაგრამ ვერ იმახსოვრებდა ვერც ერთ სიტყვას. რადგან ფიქრი სხვაგან იყო.

სანთელი თავისით ჩაქრა.

მთვარემ შემოიხედა ფანჯარიდან.

შეზობელ ოთახში ჭრიჭინობდა ტახტი.

ნიკას არ ეძინა. ბორგავდა. ვერ ისვენებდა.

— ვნახოთ როგორ გაჩერდება! — ფიქრობდა ნიკა — ასეთი ჯიუტი მოხუცებულიც არ მინახავს. არაფერი მაგას არ აშინებს. რას მოეთრეოდა. რა უნდოდა! არ მიჯერის და არ მიდის? ვნახოთ თუ არ წავა!..

* * *

სახლებში დიდი ხანია ხვრინავდენ. ქუჩებში არავინ იყო. დარაბებზე დაკიდებული სანათებიც ჩამქრალიყო. სადგურიდან ისმოდა ოთქლმავალის ქშენა. ადიდებული მდინარე ღრიალებდა ვიწრო კალაპოტში.

ატუა ფრთხილად მიიპარებოდა ქუჩაში. ღამე იყო ნათელი და თვალი ადვილად ხედავდა შორიდგან.

ერთი მთვარე იყო ცაზე, ქუჩაში დაგუბებულ ყველა ტბორიდან კი თითო მთვარე იხედებოდა კიდევ.

არ ერიდებოდა ტალახს, გუბეში მუხლამდე ეფლებოდა. ფეხასცმელს დაჰკიდებოდა მძიმე მიწა ხანდახან მთვარე თვალთმაქცობდა, ქვათ მოაჩვენებდა წყალს და ფეხს ჩაითრევდა შიდ.

შეუმჩნევლად გაუარა სადგურს. შესახვევში ძაღლსაც არ დაუყეფია. გადაირბინა პატარა ეზო და დავითის სამზარეულოს უკან ყორეს ამოეფარა. ყორე იყო დაბალი მთვარე ხეებზე მაღალი და დანათოდა ატუას.

— რავა დამბლა დაცემული დედაბერივით გასივებულა! ბრაზობდა ატუა. — მაინცა და მაინც ახლა მოუნდა ჩემთან არშიყობა..

უეცრად ატუამ ლანდს მოჰკრა თვალი. ლანდი მიიმართებოდა საშზარეულოსკენ.

ატუა გაეკრა სოველ მიწას.

სიჩუმეში მკაფიოდ გაიგონა კარების ჭრიჭინი.

ადგილზე ვერ ისვენებდა. მიწა ეჩვენებოდა ცხელი და ყრუ გამჭვირვალი.

— გიგდე ხელში, ვერსად წამიხვალ თვით ბელზებელიც რომ იყვე, არ შემეშინდება!

ატუა ფოლთხვით გაყვა ყორეს, დაუარა თავი და დიდი სიფრთხილით მივიდა საშზარეულოსთან.

შიგნიდან ისმოდა კოვზების ჩხრიალი, საინების ხმა, გაბუდული სიარული.

— როგორ გათამამებულა! მორიდებაც ალარ აქვს! ბრაზობდა ატუა.

უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა, მოსძებნა კედელში ჭურჭუტანა და შეიხედა.

ოდნავ გაღებულ კარებში შემოსულიყო მთვარის ნათელი. ატუამ გაარჩია კაცის ლანდი, რომელიც იატაკზე ალაგებდა ქოთნებს, საინებს, დოქებს.

როდესაც ჭურჭელის გადმოლაგება დაამთავრა, ლანდმა გადმოიღო უნაგირი და კერიაზე გადადებულ ხეებზე დასდო.

მთვარის შუქზე ატუამ გარკვევით დაინახა, რომ უცნობი იყო მართლა კაცი და არავინ სხვა.

— მაგრად მოუჭირე მოსართავს, შეკოჭე ნუ გეშინია, ცხენი წიხლს არ გესვრის! — ბრაზი და სითამამე ემატებოდა ატუას და თავისთვის შეუმჩნევლად კარებისაკენ მიიწეოდა.

სჩანდა უცნობი წვალობდა მოსართავების გადაბმაზე, რადგან რამოდენიმეჯერ დაიხვნეშა კიდეც.

ატუამ უეცრად კატასავით ისკუპა და შეაღო კარები.

— არ დაიძრე ადგილიდან! დაიყვირა მან.

ატუა სწრაფად დაახტა უცნობს და სწვდა კისერში.

უცნობი შეეცადა შებრძოლებას, მოუქნია მოულოდნელ თავდამსხმელს ხის ნაპობი, მაგრამ ატუამ მოასწრო, გაუკავა მკლავები და კედელს მიაკრა.

— ატუა! როგორც მუდარა გაისმა უცნობის ხმა.

ატუამ იცნო მოწინააღმდეგე.

— ეს შენ ბრძანდები ყმაწვილო, ამ ამბებში?! კარგი ხელობა დაგიწყია, ამფერუმ შენს ვაჟკაცობას!

კაცი ჯვარცმულივით მიკრულა კედელს და არ იძროდა.

— მართლა ნიკა ხარ, თუ ეშმაკმა მიიღო მისი სახე? სთქვი, თორემ გაგათავე! გააფთრდა ატუა.

— მე ვარ!

— ვინ შენ, სთქვი!

— ნიკა...

ატუა თითქო ეხლა გამოირკვა. ნიკა ისევ კედელს იყო მიკრული და განძრევა ვერ მოეხერხებია.

— ეშმაკი და კუდიანი თითონ ყოფილხარ და რალას აფორიაქებდი ქვეყანას?

ნიკა ხმას არ იღებდა.

— დამუნჯდი? თუ ბიჭი ვარ, ამოგადგმევინებ ენას! აქამდე რომ დაქაქანობდი და ყველას თავს გვაცოდებდი, ეხლა ლაპარაკი დაგავიწყდა?

— ატუა.. როგორც ძმას... თითქმის კნავილით დაიწყო ნიკამ.

— ხმა! — შევარცხვინე შენი ძმობა... ქვეყანაში თავი მომჭერი, კაცი არ მეკარება, კელამ თითონ მეგონა ჩემი თავი დაკუდიანებული... რალა მე ამითვალთვალე, რა დაგიშავე, რას მერჩოდი?

ახლოვდებოდა დილა. მამლები ყიოდენ. მთელს ქალაქში მხოლოდ ორს არ ეძინა.

ნიკამ როგორც იქნა შესძლო კედლისაგან მოშორება და მძიმედ ჩამოჯდა უნაგირზე.

ატუა თავზე ადგა.

— მერე და, მაგისათვის სხვა საშუალება ვერ ნახე?

ნიკამ ამოიოხრა.

— შევცდი. სისულელე მოიმივიდა. ასე მეგონა, შეეშინდებოდა და წავიდოდა აქედან. ოცი წელიწადი კაცი აქ არ ყოფილა. სახლი და ყვილაფერი ჩემს ხელში იყო. სრულ ბატონ-პატრონად მიმაჩნდა თავი.

— ახლა გაართმევდა, თუ?

— მეკარგებოდა ყველაფერი... საღსარი აღარ აქვს და გაყიდვას უპირებდა. მე კი ოჯახს ვეკიდები და უსახლკაროდ ვრჩებოდი. ვიფიქრე, ისეთ საქმეს ვიზამ, რომ მაგასაც შევაშინებ, აქედან ვავაქცევ და ხალხსაც დავაშინებ, რომ სახლის ყიდვა არავინ გაბედოს.

— შენთვის საქმეს იკეთებდი, მე რაღას გამწირე მე უსინდისო?!

ნიკამ დარცხვენით ახედა ატუას.

— ნუ იტყვი, ნუ გამამხელ! გამოგადგები რამეში... კაცი კაცისთვის არ დაიკარგება!

— მერე მე რაღათი გამოვიწმინდო ნამუსი? გინდა ცეცხლი წაუკიდონ ჩემს სახლს? მაგ ჭკუაზე არ ვახლავარ... ჩემი ძალლი სადაა? — უეცრად კითხა ატუამ.

— მაგაში დამნაშავე ვარ შენთან, — წაიბუტბუტა ნიკამ და თავი დაბლა დახარა.

ატუამ მუშტი აჰკრა ნიკაპში და აუწია სახე.

— სად გყავს? სთქვი, თორემ სული გაგაცხებიე ეხლავე!..

ატუა დააფრინდა მხრებზე, მაგრამ მალე უშვა ხელი, რადგან ნიკა არ შებრძოლებია.

— ერთ ჩემ ნათესავს ვაჩუქე. იმან შემიდგინა დავითის შეშინების და გამოსახლების პლანი... ჯილდოთ მაინც და მაინც შენი ძალლი მთხოვა... ვიცოდი ნებით არ მომცემდი... მეტი ღონე არ მქონდა... წვიმები რომ დაიწყო, მაშინ მოვიპარე. იმავე ღამეს მივგვარე გალმა სოფელში. აბა სხვათ რათ მინდოდა შენი ძალლი... რომელი მონადირე მე მნახე!. იმაში კი დამნაშავე არა ვარ, რომ შენი ძალლი ავი სულათ მონათლეს. შენც იცი, ქალაქში ბლომათაა ბითურა ხალხი.. ამაში, ღმერთმა იცოდეს, დამნაშავე არ ვარ..

დილა გათენდა უფრო ცხელი ვიდრე წინა დღეს. ფეხი სტოვებდა მშრალ ნაკვალევს. ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე თამამად გადადიოდენ დატკეპნილ ბილიკზე.

შუადღისას მთელმა მოედანმა იცოდა რაც ღამით მოხდა.

აკვირვებდათ მხოლოდ ატუას გამბედაობა და სწუხდენ, რომ ნიკა იძულებული ხდებოდა დავითის სახლიდან სამუდამოთ წასულიყო.

— : —

რიდლიონ ქორქია.

ხეთი ყვავილი.

წარსულის გრძნობა.

I

თაშუნას დიდი, ფართე, ოდნავ მოგრძო თვალები აქვს. ეს თვალები შემოუგარსავს ქუთუთოებს, ქუთუთოები დაუცხრილავს წამწამებს. განსაკუთრებით ზევითა ქუთუთო და წამწამები მიყვარს; ქუთუთოები ხშირია და გრძელი, შუაში ჩაღუნული და ბოლო ზევით აწეული. როცა მე თაშუნას ვუყურებ, ვგრძნობ: უძირო, უსაზღვრო, უნაპირო ვნება თითქოს ამძიმებს ამ ქუთუთოებს და სურს ამოსჩქეფოს უნაპირო სილრმიდან. და მაგონდება ბიბლიური ევდითი. ევდითსაც ასეთი ვნებით დატვირთული ქუთუთოები ექნებოდა, ასეთი ქუთუთოები რომ არა ჰქონოდა ევდითს, ოლოფერნეს ვერ მოაჯადოვებდა, ვერ დაათრობდა და თავისს სამშობლოს განსაცდელისაგან ვერ იხსნიდა.

თაშუნას უყვარს სალამო. მეც მიყვარს სალამო. მივალ თაშუნასთან სალამოთი, დავჯდებით ტახტზე, ტახტი ოთახის სილრმეშია, ფანჯრის პირდაპირ. მე ვუყურებ, როგორ აქანავებს ქარი ფანჯრის გასწვრივ მდგომ აკაციას, აკაციის ტოტებიდან უცნაური ლანდები თრთიან, ხტიან, თამაშობენ კედელზე. ხან და ხან ეს ლანდები თაშუნას ნერვებს უშლის და მაშინ თაშუნა მეუბნება:

— შეშინია პაატა!

შეშინებული ქალი ყოველთვის ლამაზია, რადგან შიშს განსაკუთრებული თვისება აქვს: შიში ვერ ითმენს იმას, რაც ეტევა მილებულისა და დაშვებულის ჩარჩოში. შიში

გარდა სიყვარულისა ადამიანის ყველა გრძნობებზე ძლიერია და ფართეა. ამიტომაა, შიში და სიყვარული მუდამ ერთად დადიან. როდესაც გიყვარს, გეშინიან სიყვარულის დაკარგვისა. როდესაც სიყვარული ყვავილებს ჰკრეფს ტუჩებზე, შიშის აჩრდილი თვალებს წაეპარება, ან გულში შეიჭვრიტინებს.

ჰო, როდესაც შეშინებული თაშუნა თავის თბილსა და რბილს ხელებს მუხლებზე დამიწყობს. თვალებში მთვარესავით ჩამანათებს და მეტყვის:

„მეშინია პაატა!"

მე ვიცი, თუ როგორ და რითი უნდა გავართო თაშუნა. მე მაშინ თაშუნას ისეთირამ უნდა ვუამბო, სადაც ბევრია სიყვარული, სითბო, ალერსი.

აი, ახლაც, ამ საღამოს, თაშუნა ზის პიანინოსთან და უკრავს „თავო ჩემო"-ს.

თაშუნა ადგა, ტახტთან მიმიყვანა, დამაჯინა, თვითონ გვერდით მომიჯდა, ხელები ხელებზე დამაფარა და გარინდდა.

გარეთ ქარი ჰქროდა, კედელზე ავი ლანდები თამაშობდნენ, ვიცოდი, ეშინოდა თაშუნას ამ ლანდებისა. ვიცოდი ისიც, თუ რას მეტყოდა.

და მითხრა.

— „მეშინია პაატა!"

ასეთ შემთხვევაში მე თაშუნას რამე უნდა ვუამბო. უნდა დაუფერთხო ავი ლანდები.

— პაატა, — მეუბნება თაშუნა, — მიამბე შენს წარსულიდან საში რამ: ყველაზე ლამაზი, ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გმირული შემთხვევა, რომლითაც ამაყობ შენ.

და მე ვუამბე:

II

ყველაზე ლამაზი.

ეს ამბავი სამარაში მოხდა, თაშუნა, ვოლგის ნაპირას. შენ საქართველოს არ გაშორებულხარ, სამწუხაროდ, შენთვის ძნელი იქნება ამ ქალაქის წარმოდგენა. რამე რომ

წარმოიდგინო შესადარებელი ობიექტი უნდა გქონდეს. შენ ეს არა გაქვს. შენ რად გაგამტყუეო, ქალი ხარ ვაჟებიც რომ ლაობნი არიან ამ მხრით ქართველი ვაჟებიც! აბა მითხარი, თაშუნა, შენ იცდა ათი წლის ქალი ხარ და ქუთაისი გინახავს? ტფილისში დაიბადე, ტფილისში აღიზარდე. ქუთაისი კი შეხთვის შორია, უცხო. საერთოდ. ქართველების უბედურება და სირცხვილი იმაშია, რომ ჩვენ, ქართველები ჩვენს საკუთარს ქვეყანას არ ვიცნობთ. როდესაც ადგილას დავიბადებით იმ ადგილას იწყება და თავდება ჩვენი გეოგრაფია. მე ვიცნობ ერთ ქართველ მწერალს: წისი აღმოსავლეთი ნავთლუღით იწყება და დასავლეთი ავჭალით თავდება. მაგრამ ეს სხვათა შორის. მე ამითი ის მიხდოდა მეთქვა, რომ ყოველი აძბავი მჭიდროდ დაკავშირებულია იმ გეოგრაფიულ ადგილთან, სადაც იშლება ეს აძბავი. მაგალითად, ტარიელის მიერ ნესტან-დარეჯანის აძბავის თხრობა შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ საშინელ განმარტოებაში, გამოქვაბულის სიჩუმეში. მდინარის ნაპირი, ზღვის ღელვა, ან მთვარიანი ღამე ამ თხრობისათვის წარმოუდგენელია.

— მესმის. — მეუბნება თაშუნა.

— ჰო. ეს აძბავი სამარაში მოხდა — განვაგრძობ მე. სამარა არც ისე დიდი ქალაქია, მაგრამ ვოლგის ნაპირად დმებარეობა ალამაზებს მას. ვოლგა აქ ვერსის სიფართეა, რაღაც ზღაპრული ძალით მოღელავს. უყურებ და გგონია: დინჯი, დარბაისელი და ლამაზი სეფექალი მიბრძანდებაო. ქალაქის მდინარეს ბალით ეხუტება. იმ ბალში რესტორანი იყო. ბალში უკრავდა სამხედრო მუსიკა და აუარებელი ხალხი სეირნობდა. მე სამარაში დროებით ვიყავი ჩამოძხტარი. მე მაშინ აფიცერი ვიყავი და სამსახურის საქმეების გამო ვიყავი სამარაში. საქმეები მოულოდნელად ჩქარა დავასრულე და ორი დღე რომ დამრჩა თავისუფალი ძნიდოდა მესარგებლა იმ ორი დღით. ხომ იცი, როცა ადამიანი სიკვდილის გზაზეა დამდგარი, ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი წაიღოს ამ ქვეყნიდან. მეტით დასტკბეს, მეტი იცინოს. მაშინ მსოფლიო ომი მძვინვარებდა და გერმანეთის ფრონტზე აფიცრის სიცოცხლის ღღენი სტატის-

ტიკურად გამოანგარიშებული იყო ჩვიდმეტი დღე. ამით აიხსნებოდა ის გაქანებული ცხოვრება, რომელსაც ვეწეოდით ჩვენ, სამხედრო პირები. მე გადავსწყვიტე ეს ორი დღე ამომეგლიჯა ცხოვრებიდან, ამომეგლიჯა ისე, რომ თან ამოყოლოდა რაც შეიძლება მეტი განცდები.

საღამო იყო. მე გამოველი ბაღში სასეირნოდ და დავიწყე მოსეირნე ქალების ზვერვა და შერჩევა. მე მინდოდა ალერსი.

— ნაყიდი ალერსი! — გულის ტკენით შემეკითხა თაშუნა.

— დიახ, თაშუნა! როცა ცხოვრება ზურგით მოგიბრუნდება, ნაყიდი ალერსიც დაგაკმაყოფილებს. როცა ხვალინდელი დღე შენ არ გეკუთვნის, დღევანდელ დღეს ბევრს მოთხოვნილებას არ წაუყენებ ხოლმე. ჰო, დავუწყე ზვერვა ქალებსა. ყურადღება მივაქციე ერთ ქალსა. რესტორანში წყლის ნაპირს. მაგიდასთან იჯდა და ყავას შეექცეოდა. თეთრი იყო, ქარვის ფერი თმები ჰქონდა, მაღალი და ოდნავ მსუქანი კისერი და კისერზე ოქროს ჯვარი ეკიდა.

— რუსი არაა, არც ებრაელი. — ვიფიქრე მე. — ვინ უნდა იყოს?

მინდოდა მივსულიყავი, გავცნობოდი, მაგრამ რადგან უცხოელობა შევატყვე, რაღაცამ შეშაჩერა. მხოლოდ იქვე ახლოს მაგიდასთან დავჯექი და მეც ყავა მოვითხოვე.

როდესაც კარგად შემოღამდა, ბაღში გახშირდნენ შეზარხოშებულთა ჯგუფები. იმ ხანებში რუსეთში სიმთვრალე აკრძალული იყო. მაგრამ ცხოვრებას მაინც თავისი გაჰქონდა. განსაკუთრებით არ ეიდებოდნენ აკრძალვის დარღვევას სამხედრო პირები: სიცოცხლის შეტს რას კარგავდნენ?..

მე შევამჩნიე: ქალს შიში დაეტყო. ავდექი, სამხედრო სალამი მივეცი, მფარველობა შევსთავაზე.

— გმადლობთ, გმადლობთ! — მიპასუხა მან. — წავიდეთ აქედან.

ხელი ხელში გამიყარა და წავედით. ლაპარაკით შევატყვე გერმანელი უნდა ყოფილიყო. მართლაც ჩემი ახალი ნაცნობი გერმანელი აღმოჩნდა. გრეტა ერქვა სახელად.

— თქვენ გეწყინათ, ალბათ, ბატონო აფიცერო! — მე უბნება გრეტა. თქვენ ჩემს ქვეყანას ეომებით და ჩემთან კი სეირნობთ.

— მე ქართველი ვარ, — ვუპასუხე მე.

— მართლა? — ბავშვივით გაეხარდა გრეტას. — გამიგონია ქართველების შესახებ. თქვენ საუცხოო ხალხი უნდა იყოთ.

არ მახსოვს რაზე ვილაპარაკეთ, სად ვიყავით, მხოლოდ ბოლოს, როცა უკვე შუალამე იყო, ჩვენ ვიჯექით ისევ იმ რესტორანის ბაღში, წყლის პირად. გრეტამ ოფიციანტს შამპანიური შეუკვეთა. ოფიციანტმა მე შემომხედა.

— მოიტანე! — ვუბრძანე მე.

როდესაც მაგიდა დაიტვირთა ვახშმითა და სურვილით, გრეტამ უბრძანა ოფიციანტს არ მოსულიყო სანამ არ დავუძახებდით. შემდეგ ელექტრონის ნათურას ლურჯი ქაღალდი შემოახვია. სინათლე გახდა მტრედის ფერი მბჟუტავი. ვოლგა მოგორავდა, რაღაცას მიდუდუნებდა ჰქროდა ნელთბილი ქარი. ბაღის ხეები ნელა ქანაობდნენ, თითქოს ეთხოვებოდნენ ერთმანეთს ძილის წინ და თანდათან ეუფლებოდა სიჩუმე ბაღის კუთხეებს.

— თქვენი სიცოცხლე, ქალბატონო გრეტა! — ვუთხარი მე და ავსწიე მაღალ ფეხიანი და ფართე პირიანი თასი.

— თქვენი სიცოცხლე, ბატონო პაატა! — შეუბნება გრეტა და თან ეტყობა, ძალიან ეძნელება ჩემი სახელის გამოთქმა.

პირველ თას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. — მესამე თასის შემდეგ მე ქალის ხელებს ხელები მოვკიდე. ქალმა დამანება თავისი ლბილი, ნაზი, ფაფუკი ხელები. შემდეგ ჩავხედე თვალებში. თვალები იყო (კასავით ლურჯი, ღრმა, სადღაც მიწვევდა. მაგრამ იმავე დროს ეს თვალები გამოუცნობი სევდით იყო სავსე.

— გახსოვთ თქვნი პოეტის „ლორელეი! — "შეკითხე მე

— მახსოვს, — მიპასუხა გრეტამ. — მე არა მაქვს ლოგიკის გრძნეულობა.

მიხვდა. გამიკვირდა: როგორ იგრძნო? ვინ არის ეგ ქალი?

კოკეტა თუ ბაკხანტი? პირველად ვხედავ და ფამილარულად რატომ ვეპყრობი? რად მაძლევს ამის ნებას? ან კიდევ: რატომ მაჩერებს ფალაცა? რა არის ის ფალაცა?

არა, უნდა ვსინჯო კიდევ, და მე ვეუბნები:

— გიყვართ თუ არა „ფაუსტიდან" თქვენი სეხნია გრეტხენ?

— მიყვარს, — ამოიოხრა გრეტამ.— საცოდავი გრეტა.

და ვიგრძენი: ხელზე ხელი გადამისვა.

გამიკვირდა: რატომ არ ვიხუტებ ამ ქალს? რატომ არ ვკოცნი? რატომ?...

— დედა გყავთ? — მეკითხება ქალი.

— კი.

— თქვენი დედის სადღეგრძელო! — მეუბნება ქალი და ასწია თასი.

მიკვირს: რა შუაში იყო დედა ჩემი, რატომ მოაგონდა.

დედის მოგონებამ შორეული ბავშობა გადამიშალა თვალწინ. დადგნენ თვალწინ ბავშობის სურათები, მინდორი, ყვავილები, პეპლები, თევზაობა, ბანაობა და იმავე დროს, როცა ჩემს მეხსიერებაში მკვდრეთით სდგებოდნენ ეს სურათები, გრეტა მიამბობდა თავისს ბავშობას, თავის ოჯახის ამბავს.

და ამ ამბავიდან მე ხსოვნაში ჩამრჩა აი რა: გრეტას ყავდა სამი ძმა. და-ძმებს ძალიან უყვარდათ დედა. მათი დედა სრულიად მოულოდნელად, უაქიმოდ გარდაიცვალა ისხდნენ ერთხელ ოთახში, დედა თამაშობდა პიანინოზე გრეტა მღეროდა, ძმები ყურს უგდებდნენ. უცბად დედამ წყალი მოითხოვა. დალია. გადახედა შვილებს. ოთხივეს თავი ჩაიდო კალთაში, ყველას თმებში ჩააცლო ხელი, შემდეგ ყველას გადაეფარა მკერდით. მოხვია ხელები და განუტევა სული.

— მაშინ, — დაამთავრა ამბავი გრეტამ — ჩვენ, დაძმებმა, მივეცით ერთმანეთს სიტყვა: ყოველ წლის იმ ღა-

მეს. როდესაც მოკვდა დედა ჩვენი, სადაც არ უნდა ვიყოთ, არ დავიძინოთ და მოვიგონოთ დედა. ჩემი ძმებიდან ერთი ომშია, გერმანეთში. მეორე ტყვეთაა, საფრანგეთში. მესამე ინგლისშია. მე ომის გამოცხადებისას რუსეთში მოვხვდი შემთხვევით და პეტერბურგიდან სამარაში გადმომასახლეს. მაგრამ მე ვიცი: აი, ამ ღამეს, ჩემს ძმებს არ სძინავთ. ისინიც სხვადან მარტონი, ან ვინმესთან ისე, როგორც მე თქვენთან, და იგონებენ დედა ჩვენს....

უკვე გარიჟრაჟდა, როცა გრეტამ გაათავა თავისი ამბავი. მან უკანასკნელი თასი ასწია და სთქვა:

— ეს ქართველ ერის სადღეგრძელო იყოს. მადლობა იმ ერს, რომელმაც ასეთი ლამაზი სულის შვილი გაზარდა. თქვენ თვითონ დაფიქრდით: ბალში მთელი ღამე, მბჟუტავ სინათლესთან, უცხო ქალი უცხო კაცთან და მერე კიდევ როგორ კაცთან: აფიცერთან. და თქვენ კი არამც თუ დასაბყრობად, საკოცნელადაც არ გამოწეულხართ.

— რომ გამოვწეულიყავი? — ღიმილით შევეკითხე მე.

ქალის ხელებში ბრაუნინგმა იელვა:

— ბაერში ასროლილ პფენინგს არ ვაცდენ...

და შემდეგ დაუმატა:

— გამიგონია ქართველების შესახებ. მართლაც. საუცხოო ხალხი ყოფილხართ.

III

ყველაზე სასიხარულო.

ეს ამბავი შავზღვაზე დაიწყო, ხმელეთზე გათავდა. მე ნოვოროსიიდან მოვდიოდი. იმ ხანებში სტუდენტი ვიყავი, ახლად გამოცხობილი სტუდენტი. ნოვოროსიაში მუდამ ძვინვარეს ერთნაირი ძლიერი ქარი ნორდოსტი. ხანის ისეთი სიძლიერით ამოვარდება, რომ მხოლოდ დიდი გემები თუ გაბედავენ ზღვაში გასვლას და ისიც იშვიათად. მე ვუცადე. სანამ ნორდოსტი დაწყნარდებოდა, ოთხი დღე გასტანა საშინელმა ღელვამ და ამ ოთხი დღის განმავლობაში მე ფულის მარგი სულ შემომელია. რა მექნა? გემი

კი, დიდი გემი „მარია" შუადღისას უნდა გასულიყო. მე წავედ ქალაქში და გავყიდე ჩემი პალტო. სანამ პალტოს გავყიდდი და დავბრუნდებოდი გემი უკვე წასულა. დავრჩი და დავიწყე ხანდაგზე სიარული.

— ხანდაგი რა არის! — შემეკითხა თაშუნა.

— ნავთსადგურებში ზღვა შემოლობილია დიდი ქვებით, ეს ქვები დუღაბით ჩაკირულია ერთიმეორეთან, ხვდება ზღვის ტალღებსა და იცავს ნავთსადგურს ღელვისაგან. აი ამ ქვის ჯებირებს ეწოდება ქართულად ხანდაგი. ჰო დავდივარ ხანდაგზე. ერთ მოტორთან პატარა გემს დავაკვირდი. რალაც ფაცა-ფუცი იყო გემზე. მივედი, ვიკითხე ალბრჩნდა გემი სოხუმს მიდიოდა. მეც ეს მინდოდა. გემი ვილაცა ბერძნისა იყო. ბერძენს ერთი ლამაზი ქალი და რამოდენიმე კაცი ევაჭრებოდა, ზოგი სოჭას მიდიოდა, ზოგი სოხუმსა. მეც შევევაჭრე. მოვრიგდით. გემი საღამოთი გადიოდა ზღვაში. საღამომდე რალაც ორი საათი დარჩა. ქალაქში წასვლის მეშინოდა, დამაგვიანდება მეთქი, ამიტომ გემს არ ვშორდებოდი მომშივდა, ორი პური ვიყიდე და ოთხი კვერცხი. ვიფიქრე: ერთ პურსა და ორ კვერცხს აქ შევსჭამ, ერთ პურსა და ორს კვერცხს დილით გემზე შევსჭამ. საღამოთი არასფერს არ შევსჭამ. მესამე დღეს კი ნაპირზე ვიქნები მეთქი. დავჯექი ხანდაგზე, დავიწყე ჭამა. ერთი კვერცხი ლაყე აღმოჩნდა. იცი როგორ მეწყინა? თითქოს რალაცა იმედი დამემსხვრა, ისე მეწყინა.

საღამოთი ჩვენი გემი ზღვაში გავიდა. როცა გემი ღუზას სწევდა მოვიდა ის ლამაზი ქალიც.. ყველამ ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ. გემში იყო მხოლოდ ერთი განყოფილება, ისეთი პატარა იყო გემი.

ჩვენი პატარა გემი სწრაფულ-მავალი აღმოჩნდა. გაქანებით მივდიოდით. ღამე ოდნავ ბნელი იყო, მაგრამ წყლის ზედა პირი მბჟუტავ ნათურასავით ნათლდებოდა. ჩვენი გემი ვიწრო და გრძელი ცხვირით სჭრიდა წყალს, ხოლო გვერდებზე აქაფებული ტალღების ორი არშია მიყვებოდა და თითქოს ორივე არშიას ცეცხლი ეკიდებოდა. გემის ბოლოს კი. სადაც ბორბალი ბღლვინავდა. ეს ორი არშია

ულრთდებოდა მესამეს. რომელსაც სტოვებდა ზღვაზე გემის ბოლო.

ვიმგზავრეთ მთელი ღამე. დილას მე ყველაზე ადრე გავიღვიძე და ჩემი პური და კვერცხი მივირთვი. შემდეგ სხვებმაც გაიღვიძეს და ლაზათიანად გაძღენ.

— იქნება ქარი. — სთქვა ბერძენმა, როცა თუაპსეს მივუახლოვდით და ჩიბუხი გააბოლა.

ქალი შეკრთა, გაფითრდა, გადაგვხედა ყველას და შემდეგ ზღვის სივრცეს დაუწყო ყურება.

ჩვენ სული ნაპირთან ახლოს მივსცურაკდით. ღამით ხმელეთიდან ჰქროდა ნელი ქარი, ახლა კი ხმელეთისაკენ ჰქროდა. ცა მოიღუშა. უცბად უცნაურად დაწყნარდა ზღვა და სიჩუმე ჩამოვარდა. ბერძენმა გემი ზღვის სიღრმისაკენ მოაბრუნა. უცნაურია ადამიანის ბუნება: მე ზღვის ნაპირას ვარ გაზრდილი და ვიცოდი, რომ ღელვის დროს ასე სჯობიან, მაგრამ ნაპირთან დაშორებამ მაინც შემაშინა. ქალი კი საკოდავად იშმუშნებოდა და რეზინის ბურთივით იკუმშებოდა.

ხმაურით მოვარდა ქარი. აგორდა ტალღა. აიტაცა გემი ზევით და უცბად, თითქო ხელი უშვაო, დააქანა დაბლა. მეორე და მესამე დაქანებაზე ქარი ეცა ანძას და დაუწყო ნძრევა. ბოლოს დასწყვიტა ბაწრები და დახია იალქანი.

გემი ბურთივით ხტოდა ზღვის ტალღებზე. მგზავრები კი ეყარნენ გემის იატაკზე და, მუცელ აშლილნი, ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ არამც თუ სირცხვილი, არამედ ერთმანეთი არ ახსოვდათ. მხოლოდ ბერძენი, ორი მეზღვაური და მე ვიდექით ფეხზე.

განსაკუთრებით წვალობდა ქალი. საწყალი, როდესაც გული აემღვრა, უნდოდა ჩვენ არ დაგვენახა და გემზე გადაიხარა. ქარმა კინალამ გადაახდო. მე რომ დროზე ხელი არ მეტაცნა უეჭველად ტალღა წაიღებდა, შემდეგ ბავშვივით ატირდა. მე მქონდა პატარა ბალიში ქალთან ახლოს დავჯექი, ავიღე ის ბალიში. მუხლზე დავიდევი, და ქალის თავი ბალიშზე დავდე. ბერძენმა შეიცოდა ქალი და ლიმონი მომცა. მე ქალს ლიმონი ჩავაწოვე პირში. ქალმა გააღილა თვალი და ისე მადლიანად შემომხედა. რომ სიტყვით ვერ მეტყოდა იმას. რაც მითხრა თვალებით.

თუაპსეს ვერ მივადექით და სოჭისაკენ წავიდა გემი. სოჭასთან ქარი სულ გადაირია. გვეგონა დადგა უკანსაკნელი წუთები. როცა გემის კედლებმა ჭრიჭინი დაიწყეს. მე ვამხნევებდი, მაგრამ თვითონ არა მჯერდა გადარჩენისა. ქალი კვნესოდა. პირს აღებინებდა. სულ დაიღლიტა მკერდი, კბილებს კბილებზე ამტვრევდა. ბოლოს მოქანცა, მოტყდა, არაქათი გამოელია ისე, როგორც სახადით შეპყრობილ ბავშვსა.

საზარელ სურათს წარმოადგენდა გემის იატაკი. გაგრაშიც ვერ შევიდა გემი. ბერძენმა გასწია სოხუმისაკენ. და როცა მოვშორდით გაგრას, ისევ ზღვისაკენ იბრუნა გემმა პირი, იკლო ქარმა. სოხუმის გამოჩენისთანავე სულ ჩავარდა. მაგრამ წვიმა წამოვიდა. ამოვისუნთქეთ, ყველამ ზმორება დაიწყო და კუნთების დაჭიმვა. უკვე ღამდებოდა, გემი რომ მიადგა ნაპირს.

მე ამოვიყვანე ქალი გემიდან. ძლივს მოდიოდა. ლასლასით მივადექით სასტუმროს. სასტუმრო „სან-რემო" იქვეა, ნაპირთან. დავიქირავეთ ნომერი. დავიბანეთ ხელპირი. ქალმა მთხოვა დერეფანში გავსულიყავი. როცა შემოვბრუნდი მას ტანისამოსი გამოეცვალა. მეც დავასუფთავე ჩემი ტანისამოსი. ლიმონიანი ჩაი დავლიეთ. შემდეგ თითო ჭიქა კონიაკი დავლიეთ. უკვე ღამე იყო და მე ავდექი, წასვლა დავაპირე. გაღიღეთ წვიმდა. თითქოს წარღვნა მოდისო და ისევ ჰქროდა ქარი.

— სად მიდიხართ? — შემეკითხა ქალი.

— მე აქ ნათესავები მყავს — ვუპასუხე მე.

— აბა რას ამბობთ. — მეუბნება ქალი. — თქვენ მე სიკვდილისაგან მიხსენით და ამ საშინელ წვიმაში გაგიშვებთ!

— ცოტა სიჩუმის შემდეგ მეკითხება:

— თქვენ ვინა ხართ?

— ქართველი ვარ. თქვენა?

— მე ებრაელ ქალი ვარ. სოჭაში ქორწილზე მივდიოდი. ჩემი მოსამსახურე გოგო ბარგით დიდ გემზე გაემგზავრა. მე ქალაქში დავრჩი. ვერ მოვუსწარი და ამ წყეული პატარა გემით წამოვედი. მე იმიტომ ვეჩქაროდი, რომ ჩემი ლა თხოვდება სოჭაში და მინდოდა ჩამესწრო. კიდევ კარ-

გი, რომ ეს კალაბა ბუფეტში დავიწყებია მოსამსახურეს, თორემ კაბასაც ვერ გამოვიცვლიდი ახლა.

დავაკვირდი ქალსა. თვრამეტი წლის თუ იქნებოდა. შავი თვალები, შავი ხუჭუჭა თმები, მოგრძო ოდნავ აქედებული ცხვირი, სქელი ტუჩები, ოდნავ სქელი ტანისა, თეთრი სავსე მკერდი და მკლავები. არა ეს ქალი არა გავდა ლორელეის.

— თქვენი სახელი? — ვეკითხები ურიის ქალსა.

— სულამით!

— უცნაურია! — წამოვიძახე მე — სულამით!

— რა არის უცნაური? — მეკითხება ქალი.

— რომ თქვენ სულამით გქვიათ. მე ამ სახელმა „ქებათა ქება" მომაგონა.

— რომელი ადგილი მოგაგონათ? — ისევ მეკითხება ქალი. — მე ზეპირად ვიცი ქებათა-ქება.

და მე ვუთხარი ზეპირად:

„თმანი მისნი ხუჭუჭნი შავნი, ვითარცა ყორანი"...

„ეგ შენი ტანი წააგავს ფინიკს,

შენი ძუძუნი მტევნებსა ყურძნის"...

— თქვენ, ქართველმა, საიდან იცით ურიასტანის მეფე — მგოსნის სიტყვები? — მეკითხება სულამით.

— ჩვენ, ქართველები, მუდამ ვეძებთ სიცილსა და სიყვარულს. ხოლო სიცილითა და სიყვარულით სავსეა სოლომონის „ქება-ქებათა". — ვეუბნები მე.

— კიდევ რა იცით მისი? — და სულამითის გრძელ წამწამიანი ქუთუთოებიდან ორმა მზემ გამოიღიმა.

— აი რა ვიცი:

„მოვიფიქრე მე: ავალ ფინიკზე.

ჩავეჭიდები მისსა ტოტებსა.

და დაე მეყოს ძუძუნი შენნი

მტევნებათ ვაზის.

და სუნთქვა შენი ვით სურნელი ვაშლთა"...

გარეთ წვიმდა, ჰქროდა ქარი და საშინლად ბნელოდა. სულამით ადგა, მიხურა ფანჯრის დარაბები.

მე ვგრძნობდი, ძნელი იყო ჩემი დარჩენა ამ ქალთან. მისი ტანი, ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი მისი მიხვრა-

მოხვრა, ყოველი მისი კუნთი და ნაკვთი მართლაც რომ მაგონებდენ მეფე-მგოსნის ფინიკის ხეს, მისს ტოტებსა, ვაზის ტევნებსა და ვაშლის სუნსა. ვგრძნობდი, რაღაცა მათრობდა და გადავწყვიტე წასვლა. ქუდი ავიღე. ქალს თავი დავუკარი და კარებისაკენ გავემართე.

— ნუ წახვალთ... — არა, ქალმა კი არა სთქვა ეგ სიტყვები. არამედ გახურებულ საბერველიდან ამოხეთქა ცხელმა ჰაერმა და დამწვა.

— მე ბევრი მსმენია ქართველების შესახებ, — ამბობს სულამით. — მეფურად ამაყი ხართ და სულ მაღალი. მე თქვენ მიხსენით სიკვდილისაგან და ისე მიდიხართ, რომ მადლობაც არ მიგაქვთ. შემდეგ სულამითმა კილო შეიცვალა და ჩურჩულით მიბძანა:

— თავი ასწიეთ!

როდესაც თავი ავსწიე, დავინახე ორი ცეცხლის მფრქველი თვალი და იმ ცეცხლში დაიწვა ის ღამე. ღამე სავსე სიცილით, სიხარულით და ნეტარებით.

მას შემდეგ გავიდა მრავალი წელი და ისეთი ბიბლიური სიხარული ღამის გაშლილ თმებში მე აღარ მიგვრძნია.

— თაშუნი, მიხვდი რატომ? — ვეკითხები ღამის სიჩუმეში თაშუნის.

— მივხვდი! — მესმის ღამის სიჩუმეში და ქალის ლბილი ხელები ჩემს თმებს თითებით ვარცხნიან....

IV

ყველაზე გმირული.

— შენ უნდა მითხრა ყველაზე გმირული. — მეუბნება თაშუნა და თან ხელები უთრთის. ვხედავ: ძლივს, ძლივს აღებს თვალებს, თითქოს იმ უნაპირობასა და უსაზღვროს, რაც სწევს დაბლა მისს ქუთუთოებს, სურს დაუხუჭოს თვალები.

— სწორედ აქედან იწყება გმირული — ვეუბნები მე თაშუნას, — ქართულმა პურმა შემინარჩუნა სიცოცხლე.

— როგორ?

— აი, როგორ. ერთხელ სამოქალაქო ომის დროს მე ტყვეთ ჩაუვარდი თეთრებს.

— არ მიყვარს, როდესაც შენ ამბობ „თეთრები“, „წითლები“... — მეუბნება თაშუნა. — ნუ თუ სხვა დაყოფა არ არსებობს ადამიანისათვის?

— ყოველ დროს თავისი საზომი აქვს ადამიანისათვის. ისტორიამ და რევოლიუციამ ასე განსაჯეს, თაშუნა! დღეს მთელი მსოფლიო ორადაა დაყოფილი: თეთრი და წითელი... ჰო, ყური მიგდე: რამოდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მთავარმა ძალებმა უკან დაიხიეს. მე შტაბის უფროსმა მიბრძანა: თქვენი რაზმი აქ უნდა დარჩეს, აშკარად გეტყვით, თქვენ ვერ დაიხევთ, აქ უნდა დარჩეთ შუა დღემდე და სანამ თქვენ აქ იბრძოლებთ ჩვენი მთავარი ძალები სამშვიდობოს გავლენ. გესმით?

— მესმის! — ვუპასუხე მე.

— გარდა იმისა, რომ თქვენ რევოლიუციონერი ხართ, გახსოვდეთ, თქვენ ქართველი ხართ. აქ დარჩენა გმირობაა.

— მესმის! — უპასუხე მე.

— მშვიდობით! — მეუბნება უფროსი და მკოცნის. ის უფროსი ჩემი მეგობარი იყო.

— თაშუნა! გამოგიცდია უკანასკნელი გამოთხოვება? გამოგიცდია ისეთი გამოთხოვება, როდესაც იცი, რომ ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ ნახავ მეგობარს ან საყვარელ ადამიანს? არა, ეგ ცოტაა. მე გეუბნები ისეთ გამოთხოვებაზე, როდესაც შენ იცი, რომ მიმავალი ცოცხალი დარჩება. შენ კი მოკვდები, მოგკლავენ. ასეთ დროს დაცარიელებულია თავი, გამოფიტულია სული, რაღაცა გტკივა მკერდში და გინდა ჩქარა დასრულდეს ყოველივე ეს. აღსასრულის მოლოდინი ყველა ტკივილზე ძნელია, და მწარე. სიკვდილის შეგრძნობა ადუნებს ხუთივე გრძნობას და იბადება ახალი გრძნობა, მეექვსე გრძნობა. ეს არის მხოლოდ სივრცის გრძნობა. თითქოს ყოველივე მოკვდა, ყველაფერი გაჰქრა და დარჩა მარტოოდენ სივრცე. ცარიელი სივრცე. ხედავ შორეულ ცის კიდურს, ხედავ წინ გაშლილ არეს და ასე გგონია შენ ერთს ადგილზე კი არა ხარ, არა-

შედ ყველგან ხარ. უკვე დაშლილი ხარ და ერთი არსება არა ხარ.

მე მაგონდება ყოველივე ეს და ვკანკალებ. თაშუნაც კანკალებს, მეკვრება.

— თაშუნა! როდესაც მე ჩემი რაზმით მარტო დავრჩი, დავრწმუნდი განწირული ვიყავი. რაზმიც დარწმუნდა ამაში. განწირულისათვის არსებობს მხოლოდ ორი გზა: უსაზღვრო სილაჩრე და უსაზღვრო სიმამაცე. და ჩვენ განწირულნი სიმამაცით ვიგერებდით მტერს. დილიდან შუადღემდე შევაჩერეთ მტრის რაზმი. შუადღისას კი მტერს ორი ჯავშნიანი მატარებელი მოუვიდა და ვერ ავიტანეთ მტრის ყუმბარები. გადავწყვიტეთ შეჯგუფებულად წავსულიყავით იერიშით, რომ ყველანი ერთად დავხოცილიყავით. ჯგუფურად სიკვდილი ყოველთვის იოლია. ჩვენ დავალება შევასრულეთ: შუა დღე გადავიდა, ჩვენები სამშვიდობოს გავიდოდენ, ჩვენ დასახევი გზა არა გვქონდა.

— ჩემო კარგო! — მოსწყდა თაშუნას ტუჩებსა.

— ჰო, გადავედით შეტევაზე. როდესაც წავედით, ვიგრძენი, რაღაცამ ფრთა დაარხია ჩემს თავზე და თმები შემირხია. ეს სიკვდილის მოახლოვება იყო. უცბად აცივდა ჩემს გარშემო. ზაფხული იყო, მაგრამ ხელები გამეყინა და ვგრძნობდი სადღაც შორს, შორს უსაზღვრო სივრცეში მივექანებოდი. ვხედავ ჩემს გარშემო მხოლოდ რამოდენიმე კაცილა დარჩენილა. წავიქეცი. ავდექი. ისევ სივრცეში მივდივარ. ისევ წავიქეცი და ვხედავ, ხელი და მკერდი სისხლში მაქვს ამოსვრილი. —

როცა გონს მოვედი, მიწაზე ვეგდე. დაჭრილი ვიყავი და ტყვეთ წაუყვანივართ.

— გონს მოვიდა? — მესმის სიძულვილით სავსე ხმა.— ხესთან!

მიმაყენეს ხესთან.

— რამდენმა ათასმა დაიხია უკან? — მეკითხებიან. დავაკვირდი ჩეჩნები არიან და ყაზახები.

— შენ გეკითხებიან! — ბრაზით გამიმეორეს.

არა! პასუხის მიცემა არ შეიძლება.

— საით წავიდენ? — ისევ მეკითხებიან.

არა! ეგ ხომ სამხედრო საიდუმლოების გაცემა იქნება!

— გარდა იმისა, რომ თქვენ რევოლიუციონერი ხართ, გახსოვდეთ: თქვენ ქართველი ხართ! ვილაცამ მითხრა ყურში.

და მე ვეუბნები მათ:

— არ ვიცი.

თოფის ლულა ჩამიდეს პირში.

— იტყვი?

თავს ვაქნევ მარჯვნიდან მარცხნით.

ყურის ძირას რევოლვერის ტყვიამ გაიზუზუნა.

— იტყვი?

ვსდუმვარ.

— იტყვი?

ვსდუმვარ. აბა როგორ შეიძლება რევოლიუციის ლალატი! ვილაცამ თოფის კონდახი მკრა მკერდში, წავიქეცი. გულზე ფეხი დამაბიჯეს. მეკითხებიან:

— იტყვი?

შევხედე ცას. მზე გადახრილა. ალერსით დამტკბარ ქალივით იღიმებოდა, ჯეჯილზე ქარი დაცურავდა, მე კი სისხლით ამოსვრილ მტვერში ვეგდე.

— გასავალში! — ბრძანა ვილაცამ.

ამაყენეს. მიმაყენეს ხეზე.

— ებრაელია, მამაძაღლი! — სთქვა ერთმა ყაზახმა.

— ჩქარა, გაათავეთ! — გაიმეორეს ბრძანება.

— მე ქართველი ვარ. — ძლივს ამოვიგლიჯე ეს სიტყვები.

— ებრაელია!

— ქართველი ვარ.

— ყმაწვილებო! ახლავე გავიგებთ თუ ქართველია — სთქვა ერთმა ჩეჩენმა. დამიზნული თოფი დაბლა დასწია და მკითხა ქართულად:

— მართლა ქართველი ხართ?

როგორ გამეხარდა... თითქოს საშინელი სიზმრისაგან გამომეღვიძა.

— ქართველი ვარ. — ვუპასუხე ქართულად.

— ტფილისში გიცხოვრია?

— კი.

ჩეჩენი მიუბრუნდა ამხანაგებს და უთხრა:

— ქართველი ყოფილა. ქართველები კარგი ხალხია. ნუ მოვკლავთ. მე მიცხოვრია ტფილისში.

მახსოვს მათი პურ-ღვინო.

და ამ რიგად გადავრჩი.

აი, თაშუნი: შენი თხოვნა შევასრულე, გაჰქრენ ავი ლანდები?

თაშუნის ხელები კისერზე მეხვევიან, ვნებით დატვირთული ქუთუთოებიდან ანათებენ ფართე თვალები და სქელ ტუჩებს მოსწყდნენ მარგალიტები!

— შენმა სამებამ გააქრო ავი ლანდები... შენი ჭირიმე.

და ლაშემაც გაიმეორა.

— შენი ჭირიმე...

— : —

ალექსანდრე ქუთათელი.

ბ ე ს ლ ე ს.

I

1910 წელი....

ახალუხის ამარა მოსული მამაკაცები ქაქანებდენ გვალვის შესახებ წმ. გიორგის ტაძრის გალავანთან, ცაცხვის ჩრდილში.

გვალვა მართლაც განაგრძობდა მძვინვარებას:

ჭალად დამშრალი არხები ველარ შევლოდენ ყანას. ნათესია ძირებს ხრავდა თაგვი და მახრა.

საქონლები ველარ ახერხებდენ უილაჯოდ მოქნეული ყბის ძვლებით ბალახისა და ჩალის ღერის ხრახნას.

ხარებსა — ფურ-კამეჩებს უჭრიდენ ძარღვს, აცლიდენ დაავადებულ შავ სისხლს, მაგრამ ვერც ეს შველოდა საქმესა და ვერც კუდიანი. მოხუცი დედაკაცის — აღათის მიერ ჭირისა და ფოლორცის გამოლოცვა.

ღორებს უხურდათ ქვასავით გამაგრებული რძიანი ძუძუები და უჩნდებოდათ წყლისა.

უზომოდ გავრცელდენ ურწმუნონი, ქვეწარმავალნი;

ველარ სძლებდენ გახურებულ დედამიწის სოროებში;

ედებოდენ ტყე-ველსა, იჭრებოდენ ქოხში, მოჰყვებოდენ ბირკვილებს; სვეტებით აივანზე მოცოცავდენ.

ისმოდა სოფლად შეშინებულ ბავშთა ტირილი და დედაკაცების მოთქმა, ქაქანი:

— გუშინ ჭალაში მურზამ თოხის ყუით უსახელოს თავი გაუსრისა!

მოწითალო ფერი ნაქონა იმ წყეულს!

— თავზე დიდი რქა ნაბამა!

— ნეტა რავაა ერისტოს ბოვში, გველმა რო დაკბინა?

— ქუთეისში წასულარიენ!

ჭორიკანობენ ჩერია-საჩეჩელზე და ოჯახში მომუშავე დედაკაცები ბაგეზე თითის მიდებით:

— მაკრინე, ხურცოულში უნდა დამაბელიო ბჟოლები. ან და შენი ხელით დამკალი.

— ვა, შე ქალო, რავა შამოგლევია საქმე! ხურცოული კი არადა არ დამიტოვებია ზვარბელო, ქვასაბერტყელა, გოშოურა. ქარჩხაბი, კუხი, მათხოჯი, დედალოური და საწულუკიძო.... მერე რა?! მთლათ ერთიანათ დახრუკულია ფოთოლი. გაყვითლებული გამხმარ თუთუნივით იფშვნება.

— ტყვილია. აწი ველარაფერი უშველის აბრეშუმის ჭიას: გაშავდა, დაკოინდა, დაჭკნა. რასა გავს? დალუპე იქით!

— ნახევარზე მეტს ჭინჭველე დეესია!

— აბსუს: რვა ჩელტი მქონდა გამართული! მერე რა ჩელტი? სოლ მთავარ-მთავარი ჩელტები დალობა საწყალობელმა ვალიკომ.

— მაკრინე, არ გეწყინოს და ძაან ქე აწვალებ მაგ შენ ვალიკოს.

— ვაწვალებ რა! ჩემი შვილი შენ უფრო გებრალება თუ მე?

— მამისული არ წამიწყდეს. საწყენად არ გეუბნები — კაცო, არ შეუძლია მაგ შენ ხროიკიან ვალიკოს ამდენი, ხედავ რა ლანტეიანია? მე მაგის საცოდაობა ვნახე, ყანას რო რწყავდა... დედია, მკვდარი იყო კაცი თელათ!..

— აპა, ვინ არის ჩვენი მშველელი? კიდოც რომ ჩავკვდეთ მეტი რა გზაა?!

— ყანამ ხომ შენი ჭირი წეიღო! ჩაერია ლაპარაკში ვალიკო — ახლა ბოსტანს არ იკითხავ? ღმერთმანი ჭა დავაშვრეთ მისი რწყვით. მარა რათ გინდა მერე — არასფერმა არ უშველა... არც პამიდორი, არც ბადრიჯანი, არც სუნელი, არაფერმა არ ივარგა... ერთი კიტრი, ნესვი ან ხაბურზაკი მაინც შენახა თვალით... ავთხარე და ღობეს მივაყვერე.

— რა ჩამოდგა, შენი ჭირიმე, ეს გაგანია!? იტყოდა ერთი.

— რა ამბავია, დიდება შენ სახელს!

— შიმშილობა დაგვიდგება!

აღმოსავლეთიდან დაუბერა ხვარტიანმა ნიავმა. ქალებს მუცელში ალხი ჩაუვარდათ, ხახა მოკუმეს და პირსაჯვარის სახვით ერთმანეთს განცვიფრებული მიაჩერდენ.

ქვაზე წამოსკუპულს ქრისტინეს თავშალი გადუვარდა ფარფატით. ჭაკუების მოდგმის თავჯორკო ქალი წააგავს, მართლადაც, თეთრი სოკოებით დაფარულს გადაჭრილ ხის ბებერ კუნძს; პირჯვარისსახვა გაათავა და გააფურთხა:

— რა ღვთის რისხვაა, ბეჩა, ეს ჩვენს თავზე?

— რავა არ იქნება ჭირიმე?! ხომ ხედავ: წამხდარია დროება, ალარც ღმერთი ახსოვლარიენ და ალარც ხატი!? — დაიწყო როდაიამ როდინში ჩარჭობილ ქვასანაყივით სიტყვების ცემა როყროყი.

— მაინც ეს ნასწავლი ხალხი სულ გასაწყვეტია! შევნიშნა ალათიმ ხეპრეთ.

— ღმერთი რო ტიგნიცა ბიჭების დასაცინი გახდა, მაშინ ა'შენდა ქვეყანა!? — ჩაერია ლაპარაკში დონჯშემოყრილი თეკლე. მას შემდეგ რაც მიაბა გაძვალტყავებული თხა სიცხით ამყლნარს ანწლებში და ფერაფერებში.

— გაგონილა, გენაცვალე, ამისთანა ამბავი?! ჰკვიროობდა ქვიქვირ ჩამოგდებული, მსუქანი დონდოზა დედაკაცი კატო. იგი მოვიდა ეხლახან აჩქარებულის ნაბიჯით, კაბადაკარწახებული: ახლომახლო მეზობლები მოგროვდნენ. მამაკაცებს დედაკაცები სჭარბობდენ.

— ლოციალისტები მთლად ქვეყნის დამაქცევარი შეიქნენ: ღმერთი ჩვენ თითონ ვართო, ღმერთი ბუნება არისო. დაიწყეს საუბარი და დავა მამაკაცებმა.

— ქვეყანას მაგენი გააწორებენ?

ალც მდიდარი და ალც ღარიბიო!

— ქვეყანას მაგენი გაასწორებენ?

— 'შენ რაფერად გამანდიდრებ მე, თუ კაცი ხარ მითხარი ერთი?

— რატომ? ზოგს მაგენი მართალს უნობენ! ლარიბის დახმარებას ქრისტეც ქადაგობდა!

— კაცო, ქადაგობდა მართალია, მარა მეიცა, მაცალე, ეხლავეს გაგანტყუნებ: ვთქვათ შენ წევ ათ ფუთს, მე კი სამს, რაფერად უნდა დეგეწიო მე შენ? შენ ჩემზე უფრო მეტი ჭკუა და ლონე გაქვს და მეტიც გიშონია — შეგიძენია...

— კი მაგრამ, ვისაც ბევრი უშოვნია და შეუძენია ცოტა გლახა და ლარიბისათვისაც უნდა ჩამოერთვას.

— შენ მოგცემს რასმეს მდიდარი? მიაკითხე აბა დიმიტრიას. თუ კუდით ქვა არ გასროლიოს?! გაჭირვებული კაცის მდგომარეობაში ისევე გაჭივრებული უფრო შევა, ვიდრე დალხინებული.. მაცალე კაცო.. რასაა რომ უნობ?! მაგი შენ მე მკითხე. შენ მე რას მომცემ თუ ჩემი მარჯვენის იმედი არ დევიკავე! რაც შენ გაქ იგი მე მინდა საკუთრათო, ასე იტყვი... კაცის ამბავი არ გნაცოდნა შენ. კაცი, „ყველაფერი მე მინდა და მინდაო" იძახის; შენაც თუ გინდა ამას არ კითხულობს. ხედამ რა ხვადაგია კაცი?!. პიროუტყვია თელად!

— რემელიცხა მდიდარია, მაინც მდიდარი დარჩება! ჩაილაპარიკა ვილაცამ.

— აბა, შეხედე: შვანა თითი და ნეკი რეიზა არ გოუჩენია ლმერთს ერთნაირი?

— წორია! ჩაიქნია თავი ხალხმა.

მზე აჭერდა. ჭიჭინობელა განუწყვეტლივ ჭიჭინებდა. შიშველ თავიან გლეხების საფეთქლებზე სძგერდა დაჭინთული, სისხლით სავსე ძარღვი; კვინიხამდე გველის ტანივით ადიოდა და იხლართებოდა:

— ხარება დღეს რო მიწას ხნავენ, მარიობას კი ტყეს ჭრიან. მიტომაცაა ეს უბედურება და ღვთის რისხვა ჩვენს თავზე: სიძვირე, შიმშილი, გვალვა!

ხალხი გაურიავდა! სთქვა ვარდომ. ამ სიტყვების გაგონებაზე დურგალ იულომაც გადასწყვიტა ლაპარაკში ჩარევა.

* * *

იულომ შალაშინიდან ბურბუშალა ამოიღო. სული ჩაჰბერა, ხარიხაზე გადებულს ლარძაყინიდან დაბლა ჩა-

ქოვილა; ცალ ხელში თხასავით აქიცინებული ჭალარა წვერი დაიკავა, ფიცარივით გაშალშინებული გათხელებული ტანი ლობეზე გადაჰხარა, მიჭყუტული თვალები ეშმაკურად შეათამაშა და ქალებს უკბილო ტუჩების ცმაცუნით მიჰმართა, თითქოს დიდ საიდუმლოებას ამხელსო.

— ურიე გეიმარჯვებს!

ალათის ქვედა ყბის ძვალი ჩამოუვარდა, ხახა ყუნწმიწყვეტილ ხოკობა ხაპივით მოეწოუპნა და, სხვა ქალებთან ერთად, მიწაზე ჩოჩვით იულოს მოუახლოვდა:

— ვინ თქუა?

— ასე უყერია! უპასუხა იულომ, შუა და საჩვენებელი თითი ბიოდაბიოვით გაიქნია.

— ურიე აბა და წითელ კაცზე კი ნამდვილათ ნაწერა! ამბობდა წერაკითხვაში და საღმთოწერილში ცოტაოდენ გაგებული, მოხუცი აზნაურის ქალი გულქანა.

— დედია! უკვირდათ ქალებს.

— სად უწერია?

— სად და ანდრია სალოსში! უპასუხა გულქანამ ქალებს.

— რაიო?

— რაიო და — მოპოებულ ცოდნის გამო ამაყის სახით და ფეხების ბაკუნით დაიწყო გულქანმა:

— ნამეტანი ცუდი დროება დადგესო, ხალხმა ღმერთი სულ დაივიწყესო, ბოროტება, სიძვა-სიმრუშე და კაცის კვლა გავრცელდესო; მისცეს ძმამან ძმა სიკვდილად და მამამან შვილნი და აღსდგეს შვილნი მამა-დედათა ზედა და მოკვლიდენ მათო...

— რალა აკლია? პირდაპირ ჩვენი დროება ნაწერა! შეჰნიშნა სინდუხტიმ.

— ძრავალი შზისა აღმოსავლით და დასავლით მოვიდოდიან ომისა და სისხლის ღვრისათვისო. — განაგრძობდა ისევ გულქანი და ყოველ წინადადების დამთავრებისას მარჯვენა ხელის საჩვენებელს, ჩუოჩხელასავით დაჯღარკულ, ბებერ თითს მარცხენა ხელისგულზე იცემდა, თითქოს ყოველ წინადადებას სათვალავში აგდებსო:

ისეთი დროება დადგება, რომ ქვეყანა დაემგვანება ეშმაკეულთა მოვლინებასო, — ისროდა გაგონილს და გაზეპირებულ წიხადადებას გულქანა — მაშინ ადგეს კაცი ვინმე, ზღვა და ხმელეთი მოიაროს, მოიაროს და მოსჭლიტოსო, სისხლის ზღვა დგებოდესო. მამაკაცები სულ გაწყდესო წეროია...

— აგერ ნახამ შენ თუ ყველაფერი არ ასრულდეს! აშინებდა მეზობელ დედაკაცებს აღათი.

— წეროია! უპასუხებდა მეზობელი სროლის დარწმუნებით.

— მერე წეროია სწორეთ იმ ანდრია სალოსის წიგნში, რომ მამაკაცთა გაწყვეტის შემდეგ, მარტო ქალები დარჩენო, დადიოდენ და მამაკაცთ ინატროდენო, მაგრამ მამაკაცნი აღარსად იყონო; ისმოდეს ხმა ქალთა გოდებისა და ტირილისო... აღიღებდენ ნაპოვნსა ჯოხსა და სასოებით ჰკოცნიდენო: „ვინ იცის იქნებ შენ იყავ ყოვარჯენი მამაკაცისო" — წეროია სწორეთ იმ ანდრია სალოსში! გაათავა გულქანმა.

ქალები თანაგრძნობის ნიშნად იულოს გაჰხედავდენ, რომელიც გამარჯვებულის და მოლიმარის სახით ადასტურებდა გულქანის სიტყვებს:

— კი, კი, არ გითხარი?! აქიცინებდა თავს იულო. გულდათუთქული ქალები მკერდზე ჯიღს იცემდნენ:

— უიმე. ეს რა ნაწერა შენ გენაცვალე!

II

წმ. გიორგის უძველეს ტაძრის სამრეკლოდან დიაკვანი მელიტონი განუწყვეტლივ რეკდა ზარებს.

მლვდლები — ერმოლოზ, მარკოზ, პლატონი და კოტე აშბობდნენ ლოცვას ხატის წინაშე მუხლმოყრილნი. ლოცვის დროს ერთმანეთს ესაუბრებიან ჩურჩულით; ერმილოზს კუბოსავით დახურულ და გაბელატებულ კეფიდან ალმური ასდის. ქსინავს და მისი ცხვირის დაბეღილი ნესტოები კიდევ უფრო იბერებიან:

— არ უნდა დაეკარგოს ხალხის თვალში ძალა ხატს!

მარკოზს თვალის ჭუთუთოები დასწითლებია:

— ხალხი დაუყონებლივ მოითხოვს სასწაულს! პლატონს შუბლსა და სახეზე ოფლი ღვარღვარად ჩამოსდის:

— სასწაული უნდა მოხდეს!

ერმოლოზი ისწორებს ჭალარა წვერს და ჯვარს, თითქოს ეხლა იგრძნო მისი მნიშვნელობა, ძალა და სიმძიმე. ერმოლოზი საოსტატო სემინარიის მასწავლებელი, ყველაზედ უფრო განათლებული მღვდელია მთელს დაბაში. მას კარგად ესმის თუ რა გავლენას ახდენს „პური ჩვენი არსობისა" ხალხზე და როგორი მიმართება მათ შორის. ღმერთი და ხატიც ხალხმა მიიღო თავის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და გაჭივრებათა შესამსუბუქებლად.

„ღმერთო მოჰხედე ტანჯულთა,

უშველე, შაიწყალეო.

კარგი კარგია მაინცა. —

ბერავი შაიყვარეო!" ასე ამბობს ვაჟა და ასე იტყვის ხალხიც. მაგრამ ღმერთისა და ხატისაგან ხალხი ხშირად მოტყუებული რჩება. ტყული არ უნდა გახდეს ხელეშესახები. ეს სახიფათოა. ამისთვის იტყოდა ხოლმე პლატონი:

— სასწაული უნდა მოხდეს!

ერმოლოზი იმედებს ამყარებს ხვალინდელ დღეზე. მაგრამ საიდან იცის მან, რომ სწორედ ხვალ გასჭრის წმ. გიორგის ხატის ძალა და მადლი არ შაირყევა ავტორიტეტი და მოვა წვიმა? ამ მცოდნეობის მოწამეა სემინარიის დირექტორის პავლოვსკის კაბინეთი. ჰაერში მომხდარ აფეთქებისფერულ ცვლილებათა გამზომი, გამოგონილი ადამიანის გონების მიერ. საოცარია ადამიანის გონება და მისი ძალა დაპირისპირებული ღმერთისა და ხატის ძალასთან! მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორი მწყემსი ჰყავს ხალხს? თუ მწყემსი დოსტატებულია. შესაძლოა დაპირისპირება დაქვემდებარებით დასრულდეს...

ჩურჩულებენ მღვდლები.

მღვდლების ჩურჩული ხალხის ყურს არ მიწვდომია: საკითხს ბარომეტრი გადასჭრის.

ხალხი მოდიოდა ყოველის მხრიდან.

მუხლი მოეყარათ და თაყვანსა სცემდენ აღსავლის კარებისაკენ მიმავალს კიბეებით წმ. გიორგის სასწაულმოქმედს ხატს.

მათი ყაჭივით თეთრი, გრძელი წვერი ნათალ ქვებიდან, კიბეთა საფეხურიდან და ხატებიდან ჰხვეტდენ საუკუნეთა მტვერს.

თვალები სავსეა სასოებით, რწმენით, წუხილითა და ლალადით.

ვნახე სახენი ბიბლიური, როგორც ფრესკები, ამოჭრილნი ტაძრის კედლებზე, კოზმიდზე, სვეტზე.

ვნახე სახენი დასვრეტილნი ძველისძველ ქვასავით, სახე გამოქარული თიხასავით ნაოჭებით დაბზარული!

ამ მუხლმოყრილ ხალხის გაყვითლებულმა, დახეთქილმა და მიწაშეგნესილ ფეხის ტერფმა გადმოიარეს ალმოსავლეთის (ეხილი ველები. ესახლებოდენ. ჰხნავდენ გუთანით დედამიწის გულს; აშენებდენ ქალაქებს და ამაგრებდენ ქვითკირის ციხე-გალავნით, საგაჭროებს დარაბებით; იგერებდენ თურქებს. არაბებს, მონგოლთ... არ იშრიტებოდა შემოქმედებითი ძალა; ჰქმნიდენ რელიგიას, ცრუმორწმუნოებას, ენას, შეხედულებებს, ადათებს...

ასე ვიდოდა ხალხი, ხალხი წელმაგარი და არ გამწყდარა. დღესაც, ვით წინად ჰხნავენ და სთესენ, მიწაში ჰყრიან ხეს ვაზის, დარკინულ ვეება ქვევრებს და საწნახელიდან ისმება გამოულევი ტკბილი ჩქეფი, ამბოხი... ისმის ჰოროველა, ნადური, ხელხვავი და მრავალჟამიერი...

ეგ სიცხით დაჭინთული კისრის ძარღვები ყაჭივით თეთრი წვერი და მზით გატრუსული, შიშველი თავის ქალა ქალდეადან მოდის, მოვიდა — არ უჩანს დასასრული ადამიანის მოდგმათა სვლას!

დედამიწიდან ასული ალმური და სანთლების შუქი ანათებთ სახეზე მლოცველთ. სახეებზე იყო დაწერილი: ლალადი, ალტკინება რწმენით, თავდათრობა.

გაისმა სიტყვები წაკითხული სახარებიდან:

„არა ყოველმან, რომელმან მარქვას მე: უფალო! უფალო! შევიდეს იგი სასუფეველთა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა“...

ხალხი გულმჯიღისცემით იცქერებოდა:

— იესო მაცხოვარ, შენ გვიშველე!

IV

წმ. გიორგის ძვირფასის ქვებით მოოჭვილი ვერცხლის პირიანი ხატი. ჩვეულებისამებრ, ასწია ასი წლის უხუცესმა გიორგი ბახტაძემ, ზედმეტსახელად „კურატანად“ წოდებულმა...

გამოჩნდენ დროშები, ბაირალები... ხატი...

ხალხი ზღვასავით იორხეოდა გალავან'ში.

ნაშუადღევის სამი საათია.

ხელიხელ ჩაკიდებულნი, ჩოხა დაკაპიწებული მამაკაცები და დედაკაცები მიდიან სამ ვერსით მოშორებულს მდინარე ცხენისწყლისაკენ.

შიშველ ფეხის ტერფებს ჰდაგავს გორახიანი გახურებული დედამიწა, ქვიშა და ქვა.

თვალებს უსერავთ მზისაგან დაღვარული სინათლე.

იმღერიან —

..... ვერცხლის პირიანო, წმინდავ გიორგი, შენ იცოდე ალარ გვინდა მზის თვალი; აშორე ჭალას, ვენახს და ხეხილს სეტყვა—ხორხოშელა; მოიყვანე წვიმა ზომიერი...

წმინდა გიორგი, შენ გვიშუამდგომლე..!

ჩამოუარეს ცაცხვებს, ომლის ტანს ძლივს შემოერტყმიან ხუთი ვაჟკაცის მკლავები.

ერთი ცაცხვი, დროთა ვითარების გამო, მეტად დაბერებული შუაზე გაპობილა, ტოტები სცვივიან. გამხმარი, უფოთლო, როგორც ოთხმოცი წლის ბებიას ძვალზე ტყავგადაკრული დამჭკნარი ხელები, — კვდება დაჩონდილი ბუნებრივის სიკვდილით.

გველეშაპივით დაღრეჩილს და აბედაკიდულს ფულუროს უჩნდება ბოლი მზის სხივისაგან წაკიდული; აქვე უზარმაზარ ჯერ კიდევ სასიცოცხლოდ მდგარ ჩინარის

ფულუროდან ამოწვდილა დიდი თუთის ხე, მასში შემთხვევით აღზრდილი; ისინი გადახლართულან სიყვარულით, თითქოს უმხელდენ ერთიმეორეს ბუნების ძალას, რომელიც იცქირება ლაშებ-დაღრენილის ლიმილით ჩაშავებულს ფულუროში განრინული.

აუარეს ამ ცაცხვებს; იმღეროიან ძველისძველ წარსულიდან წამოსულ სიმღერას წმ. გიორგიზე....

მოდიან და მოდიან საკვირვლად წოდებული მოხუცნი:
კურატანები; გლეჯია, ჯიშიტები; ცხრა-ოჯულა,
ჯაკუები; ჯომერი, გლუერჯები; ბურჩია,
ბუნგეები; უდრეკა, ბაკუხები.....
პაწია, კისრები; მარტია, კიკანები;
უტვიპინე, ჭიკოშები; კვატიშა, ხირაგები და სხვა მრავალნი....

— წმინდა გიორგო! — გაისმოდა გამყივანის ხმა.

— ო, ჰო, ჰო!... — უპასუხებენ გუგუნით ბანები.

მიჰყვებიან მტვერიანს და ალმურიან ნოვალალევ-მარტვილის გზას; ელავენ: ქვასაბერტყელა, ზვარბელო, გოშოურა, ქარჩხაბს, კუხიდან და სხვა და სხვა კუთხიდან მოსულთა ანთებული თვალები.

უდრეკსა და ურყევ განწყობილებას დამორჩილებია ამდენი ხალხი და ძმები უდრეკები თავგამოდებით იმღეროიან; მათ მოჰყვებიან ზაქვით ჩაჟანგულის მაგარი კისერით: კისრები ახოვანი ტანის: კურატანები; ჯიშიანი მოხუცნი:ჯიშიტები; და ბურთის გატანაში და ძალით შეჯიბრებაში ყველა სოფლელთა მაჯობარნი: ჯიქურ-მარბენალნი — გლეჯიები...

V

გამოჩნდა სანატრელი მდინარე ცხენისწყალი.

წელამდე შიშველი მამაკაცები ჩამდგარან წყალში და წიოვა-ლოცვით განბანეს ხატი.

ოიყედან ჩაეშვა ბანჯგვლიანი ათასი ხელი; ავსებდენ ლიტრას და კოკებს ნაკურთხი წყლით და ამ დროს გაისმა ტოკვა, ჩოჩქოლი:

დასავლეთიდან იზრდებოდენ ლრუბლები შავიზღვისა: მოესმათ შორეული გმინვა: აღტაცებული ხალხი, ვით აწეული ხშირი ტყე ათოთლილ რტოებიანი ხელებით ცას მიჰმართავდა.

თითქოს ისმინა ცამ ხალხთა გლოვა და ჩივილი გვალვაზე!? იწვიმა —

დასოვლდენ მამლეონალნი:

ნიალვარების ჩამოდგა ლვარი:

ამღვრეული ღელენი ერთვიან ცხენისწყალს:

ლაჟვალითა და კუდის ქნევით მისცურავენ ლლავივით გრძელი თევზები...

იყო სიხარული, აღტაცება; ულოცავდენ ერთიმეორეს:

— ვენაცვალე წმინდი გიორგის მადლსა და ძალსა!

— რა სასწაული მოახდინა, მისი სახელის ჭირიმე!?

— ღვთის ძალა არ არისო!

— ნაქონა თუ არა, ახლა შეხედოსკენ!?

— გაატკვერია ნახშირი ტინგიცა ბიჭებს!

— ჯერ კიდევ არ ვართ ღვთისაგან განწირული!

— დიდება მის სახელს!

დედაკაცები თითით უჩვენებდენ ერთმანეთს ლეჩხუმისა და სვანეთის მთებისაკენ მიმავალს ლრუბლებზე ასახულ ცისარტყელას: ცისარტყელა დაეცა მარტვილის მონასტერს.

— დედია, ბეჩა, ეგი რაია დია! რამხელაა! ლრუბლებიდან მოისმა გმინვა:

— ელიას ეტლია! — ჩიბჩიბობდა მოხუცი დედაკაცი...

გვალვა გადატყდა... მთები ჩამოირეცხა. ცხენის წყალი ადიდდა. სიმიდის ყანები იშლებიან გრილი შრიალით და წვიმით მონათლული ლომისა და პურის თავთავი ცისაკენ.

სამადლობელ სიმღერებით უახლოვდებიან წმ. გიორგის ტაძარს... ისევ მოდიან საკვირლად წოდებული გლეხები: კიკანა, ხირაგა, უტვიპინე, კურატანები.. მათი სახეები სავსეა წარმართთულის სიხარულით, ლიმილით... ივიძებენ წარსული დროებანი:

ლხინი — ჯარი — დაუღი ასულები...
იქნება: ოქონობა, კვიროკობა... ლამისთევა!
ხარის რქასავით ამოწვერა ტყის გალმა მთვარემ...
ჰაერი გაიპო ხალხის აღვსილი სმღერით:
— „ჰეი-ოდა — გიხაროდეს!“

— : —

ნიკოლოზ მიწიშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲔᲚᲘ.

თავი მეთოთხმეტე.

ვიზა...

იცით თვენ რას ნიშნავს ეს სიტყვა?

არა, თქვენ არ იცით რას ნიშნავს სიტყვა — ვიზა. შეიძლება ამ სიტყვის შინაარსი დასტურ იცოდეთ. შეიძლება იცოდეთ, რომ ვიზაა — ნებართვა, რომელსაც ესა თუ ის სახელმწიფო აძლევს მეორე სახელმწიფოს მოქალაქეს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს უფლება მიეცეს ვიზის მიმცემ სახელმწიფოში შესვლისა. დიახ, ეს მართლა ვიზაა, მაგრამ განა მარტო ამით ამოიწურება მისი შინაარსი?

სრულიადაც არა.

ვიზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით ჩვენს დროს, როცა ევროპის რუქა ისეა აჭრელებული, როგორც სპარსული ნოხი. პირადათ ჩემს ცხოვრებაში ვიზამ უდიდესი როლი ითამაშა. და რომ ვიზას არა-შესაძლებელია არ დაწეროილიყო არც ეს წიგნი. და გარდა ამისა, თუ მე დღეს ზოგიერთ საკითხებში უფრო რადიკალურად ვაზროვნებ, ვიდრე მომეთხოვება — ნაწილობრივ ამის მიზეზი უთუოდ ვიზაა, რომელიც მთელი თავისი სიგრძე სიგანით ჩემს წინაშე მხოლოდ სტამბოლში წამოიჭრა.

...ეს ჩემი პირველი ვიზიტი იყო საფრანგეთის საკონსულოში ვიზის გულისათვის. იდგა აგვისტოს დღე-ცხელი, მტვრიანი, ოფლიანი და მყრალი. სტამბოლი კი ყარს კლასიკურად და განსაკუთრებით მყრალია სტამბოლის ის უბანი, რომელსაც გალატა ეწოდება. გალატაში კი, ზღვის

ნაპირზე, აშენებულია საფრანგეთის საკონსულო. მე გადაჭრით არ შემიძლია ვსთქვა — ყარს თუ არა თვით საკონსულო, მაგრამ შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ უთუოდ საკონსულოსაც დაჰკრავს მყრალი სუნი.

საკონსულოს გარშემო ბევრი საუცფათო ფოტოგრაფიული აპარატი სდგას. თოთხმეტ პიასტრათ ათ წუთში ამოაცურებენ მღვრია წყალიდან შენს სურათს, მაგრამ ვაი მის შემხედავს! თუ გვერდში ვინმე ნაცნობი არა გყავს, რომელიც დაბეჯითებით დაადასტურებს, რომ ამ სურათის გადაღების დროს აპარატის ტუჩი მართლა შენზე იყო მიშვერილი — შეუძლებელია გამოიცნო საკუთარი თავი იმ სოველ ნამოქმედარზე, რომელსაც ათ წუთში ჩაგაბარებს ბერძენი ფოტოგრაფი საფრანგეთის საკონსულოს წინ.

მეც გადავიღე სავალდებულო სურათი, შევავსებინე საკონსულოს კანცელარიაში მჯდომ რუსის ქალს ფრანგული ანკეტა და ჩავდექი რიგში.

რიგის კუდი ქუჩაში სწყდება, ხოლო მისი თავი კონსულის კაბინეტზეა მიბჯენილი. მწკრივია გაბმული ასიოდე კაცისაგან. ჩემი ნომერია 132.

ხუთი საათის რიგში დგომის შემდეგ ჩემი პირველი ვიზიტი საფრანგეთის კონსულთან უშედეგოთ თავდება. ვინაიდან კონსულამდე ვერ მივაღწიე.

მეორე დილით უფრო ადრე მოვედი, ენერგიულათ ვეცი კარის კაცს, მივიღე ნომერი 25 და მოვექეცი კუდში მთხოვნელთა წყებას.

ვინაიდან კონსულთან მთხოვნელებს წყვილად უშვებდენ — კონსულის კაბინეტში მოვხვდი ვილაც რუსის ოფიცერთან ერთად.

მე ბევრი საშიში წუთები გამივლია ჩემს ცხოვრებაში, ბევრჯელ სიკვდილისებური გზები გაშლილა ჩემს წინ, მაგრამ არასოდეს ჩემი გული ისეთი შიშით არ აძგერებულა, როგორც მაშინ როცა პირველად შევდგი ფეხი საფრანგეთის კონსულის კაბინეტში. არა, გული კი არ აძგერდა—გული დამუნჯდა. შემდეგ აიწყვიტა. აგრიალდა, ამო-

აწვა ქვევიდან ისეთნაირად, რომ გაშეშებული ენა კინალამ პირიდამ ამომვარდა.

კონსული იყო Monsieur Rossèt.

ძველათ მგონი ადესაში ყოფილა საფრანგეთის რწმუნებულად. არის რუსეთისა და რუსულის მცოდნე. მოტეხილი აქვს ცალი ფეხი. აცვია ევროპიულათ და ფიჯაკზე მიკრული აქვს საპატიო ლეგიონის წითელი ნიშანი. ტანათ დაბალია და მოხრილი. სახე-გამშრალი და უფერული, შეკრეჭილი ჩალის ფერი ულვაშებით.

კაბინეტში ზის მარტო.

— მე ისევ ვიზის შესახებ მინდა გკითხოთ,—ამბობს მოკრძალებით რუსის ოფიცერი. ხომ არ მიგიღიათ, ბატონო კონსულო, რაიმე განკარგულება ჩემი ვიზის შესახებ?

— არა, არ არის! მოსჭრა ბატონმა კონსულმა. — არ არის. თქვენ რა გნებავთ? გადმომხედა მე.

მე წავდგი ნაბიჯი წინ მაგრამ.

— Но позвольте, — თავდაჭერილი აღელვებით განაგრძობს ოფიცერი. წარმოუდგენელია ამდენი ცდა. ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩვენი მოთმინებაც არაა უსაზღვრო. თქვენ ხედავთ, როგორ გვიჭირს, რა ყოფაშიცა ვართ. ჩვენ, რუსის მხედრობას არ დაგვიმსახურებია ასეთი მოპყრობა... თქვენ არ უნდა დაივიწყოთ ჩვენი ბრძოლა, ჩვენი თავდადება... საერთო საქმისათვის... საფრანგეთისათვის... ჩვენ ვიბრძოდით...

— როგორ? უეცრად აპილპილდა კონსული-როგორ? ვიბრძოდითო?! ჩვენ ვიცით, როგორც იბრძოდით თქვენ, მოწყალეო. ხელმწიფევ. ვიცით. ჩვენც ვიბრძოდით, მაგრამ არა ისე, როგორც თქვენ. უკაცრავად, ნურას უკაცრავად! თქვენ გეტყობათ, როგორც იბრძოდით... გთხოვთ დასტოვოთ კაბინეთი და შემდეგ აღარ შეიწუხოთ თავი აქ მოსვლით. თუ რამ იქნა — წერილობით შეგატყობინებთ...

— მაგრამ... მაგრამ — უკან დახევით წაილაპარაკა ოფიცერმა — მე აქ... შიმშილით ვკვდები. მე აქ ცოლშვილი მელოდება... მე უმუშევარი ვარ... მე გამათხოვრებული ვარ ამ საშინელ ქალაქში და ნუთუ ეს დამცირება

არაა საკმარისი... მე არაფერი ალარ დამრჩა. მე მივდივარ მარსელში, რომ მივიღო შავი სამუშაო... ნუთუ ამაშიდაც უარი მეთქმის. ნუთუ წყალში უნდა გადავარდე ჯანმრთელი კაცი....

ოფიცერს ეცვა ძველი ფრენჩი-ამერიკულ კომიტეტში ძიღებული და ჩექმები — ძალზე შელანძღული. შეიძლება იყო 35 წლის. მაღალი, ახოვანი ვაჟკაცი. ზურგით მიეჯინა ის კარებს და პაუზის შემდეგ ისტერიულის ხმით, ყელში ჩასრესილი ტირილითა სთქვა.

— და ყველაფერი ეს თქვენთვის, თქვენი გულისათვის...

— გრაფ, გთხოვთ დასტოვოთ კაბინეტი—მშრალათ მოსწყვიტა კონსულმა და როცა ოფიცერი გავიდა — ისევ მობრუნდა ჩემსკენ.

— თქვენ რა გნებავთ?

მე გაშეშებულ ხელში — მოსაკითხივით შემრჩა ჩემი პასპორტი და აჭრელებული ანკეტები. უხმოდ დაუდე წინ ეს ქაღალდები და მოუყევი: ერთი კვირაა, რაც სტამბოლში ჩამოვედი. ტფილისელი ვარ. საფრანგეთში მივდივარ ნათესავებთან. სწავლა მინდა. ფული ცოტა მაქვს და სტამბოლში დიდხანს გაჩერება უფრო გამაღარიბებს. თუ შეიძლება, როგორმე... მისაშველეთ ვიზა, ბატონო კონსულო...

— შემოიარეთ ერთი კვირის შემდეგ. მე გავგზავნი პარიზში შეკითხვას თქვენს შესახებ.

— როგორც გენებოთ. გიახლებით ერთი კვირის შემდეგ... და გავიწიე კარებისაკენ.

— თქვენ გიცნობთ აქაური ქართული საკონსულო? გამომადევნა კონსულმა სიტყვა.

— დიახ, მიცნობს.

თავი დახარა და ოღიაც დააწერა ჩემს ქაღალდს. მე წავედი. კარებში შევეხეჩე მეორე წყვილს-ბავშვიან დედაკაცს და ჩოხიან მთიულს.

გამოვედი.

საკონსულოს ეზოში — კიბესთან თვალი მოვკარი ოფიცერს. კონსულთან რომ შეხვდა ფსიამოვნო ლაპარაკი

მე შევჩერდი. თვალი ავარიდე. ის იდგა ქუჩის პირას მოხრილი, შეწუხებული და სასოწარკვეთილი. ელაპარაკებოდა ქალს, რომელსაც გვერდზე ეკოდა ოთხი თუ ხუთი წლის პატარა გოგო.

ვინ იყო ეს ცოლქმარი? მრავალთაგანი — ყირიმიდან გამოქცეულთა შორის. ოფიცერი — ლამაზი და მდიდარი ახალგაზრდა, რომელიმე გამოჩენილი რუსული გვარისა და მოსამსახურე ასეთივე წარჩინებულსა და გამოჩენილ პოლკში. შეხვედრია და გაცნობია პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოებაში. მოკლე რომანი, საზეიმო ქორწინება და მოკლე სიზმარი, ბედნიერი ცხოვრების მსგავსი.

რომანი ფუჭდება ყირიმში. ეხვევა ევაკუაციის კოშმარებში და თავდება სტამბოლში. ესე იგი, ამ საკონსულოს წინ იწერება ამ რომანის უკანასკნელი თავი და სად დაიწერება მისი ეპილოგი — ვინ იცის?

დადუმებული სდგას ცოლ-ქმარი საკონსულოს წინ. მისჩერებიან საკონსულოს რუხ კედლებს და მათსავითვე განიავებულ ხალხს — ვიზას რომ უცდიან და ელიან ხსნას — საფრანგეთში: ზოგი მარსელის ახლო დაწყებულ დიდი არხის სამუშაოზე დადგომით, ზოგი რენოსა და სიტროენის საავტომობილო ქარხნებში, ზოგი ვერდენის მიდამოებში დაავლუნ მაგთუნეების ამომთხრელ მუშათა ჯგუფებში. და კიდევ ვინ იცის სად და რა გზით.

აქ, ამ საკონსულოსთან ყოველდღე ფუსფუსებს თეთრი, ფრთამოტეხილი რუსეთი. მოდის აქ დილით — ვიზის იმედით გულში და ბრუნდება შუადღეზე — იმედდაკარგული. დამწვარი გულით, დამწვარი სხეულით, დამწვარი კუჭით და ავსებული — ბრაზითა და ბოღმით ყველაფერის წინააღმდეგ და პირველად ყოვლისა — წინააღმდეგ საკუთარი თავისა.

ნელის ნაბიჯით, უხმოდ სტოვებს ცოლ-ქმარი საკონსულოს კარებს და მიყვება საბაჟოს ქუჩას ზღვის პირზე. უკან მისდევს პატარა ბავშვი, რომელიც მაგრად მიკვრია დედის გახუნებულ შავ კაბას და მისძახის:

— Мамочка, я хочу слойку. Купите, мама, слойку.

მაგრამ არც დედა, არც მამა ყურადღებას არ აქცევს ბავშის ძახილს, თითქო ეს მათი შვილი არ იყოს, თითქო არ არსებობდეს იგი და არ ითხოვდეს ტკბილ, დაშაქრულ „სლოიკას“, რომელიც ღირს ორი პიასტრი.

მიდიან ნელის ნაბიჯით და მწუხარებით გამოშტერებული მათი თვალები არ ეძებენ გზას. ვგრძნობ — ისინი არამც თუ ხედავენ რასმე — (ისინი არაფერს არ ხედავენ), არაფერსაც არ ფიქრობენ ისინი ამ წუთში, ისეა გაცივებული მათი გონება და ნებისყოფა — დაჩლუნგებული.

ცოლ-ქმარი ჩერდება გალატას ტუნელთან. იქ, სადაც ქუჩის კუთხეში იყიდება შეკერილი ტანსაცმელი.

მე ვჯდები ფუნიკულიორზე და ვბრუნდები შინ.

ვბრუნდები და თან მიმაქვს მარაგი იმედისა, რომელიც კონსულმა გამომატანა მთელი კვირის საზრდოთ.

თავი მეხუთმეტე.

— ემელიან, — ვეუბნები მე ლომთათიძეს, როცა საფრანგეთის კონსულმა კიდევ ერთი კვირით გადამიდო ვიზის საკითხი, — ემელიან, ვატყობ, რომ ცუდათაა ჩემი საქმე და ჩემი სტამბოლიდან გასვლა ძალიან რთულდება. სტამბოლში ჩარჩენა ხომ შენც კარგად იცი რას ნიშნავს. არა და რა ვქნა, რა გავაწყო, მირჩიე ერთი თუ კაცი ხარ.

— ფულზე რავა ხარ? — მეკითხება ის.

— დღეს გადავთვალე ჩემი ქონება — უპასუხებ მე — მიუმატე ყველა ჩამორჩენილი პიასტრები და შეიქნა სრული ოცდაათი ლირა.

— უი, შე საცოდავო! — ვერ შეიკავა განცვიფრება ლომთათიძემ, მაგრამ უცბათ შენიშნა, რომ ეს წამოძახილი ცუდათ მოუვიდა. შეატყო, რომ შევშინდი ამ სიტყვებზე და გამოასწორა...

— ჰო, თანხა. რასაკვირველია, მცირედია, მაგრამ ერთი თვე ამითი როგორმე გასტან. ერთ თვეში როგორ გაწყრება ღმერთი, რა დააკავებს შენს ვიზას. მდივანიც მგონია გუშინწინ გაემგზავრა პარიზში. მეცადინეობას არც

ის დააკლებს. მისწერე დღესვე კიდევ. ჩხიკვიშვილსაც მისწერე — ის ხომ პოეტებს კარგათ გიცნობთ. მისწერე, რომ ყველა დაგეხმაროს გარეშე საქმეთა სამინისტროში. შემდეგ...

— შემდეგ, ძმაო კიდევა მაქვს ერთი გამოსავალი და ამის შესახებაც მირჩიე. მე ამოვიღე ორი კონვერტი ალექსანდრე ჯაყელის სახელზე. — ეს ჩემი ვარაუდი ამ წეროლებშია დაბეჭდილი. ერთია მოწერილი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის მიერ ჯაყელის სახელზე. ამ წერილის შინაარსი მე ვიცი. ის იწერება, რომ ნიკო მიწიშვილი ნიჭიერი ყმაწვილია, მწერლობაში იმედებს იძლევა, შენ ქართველი კაცი ხარ და მიეშველეო. მეორე წერილი ჯაყელისავე მეგობრის მიერაა მოწერილი იმავე შინაარსისა. რას ფიქრობ შენ ამაზე? გასჭრის თუ არ გასჭრის? გამოვა რამე ამ საქმიდან, თუ ბარემ ეხლავე გავანებო თავი და რამე სხვა გამოსავალი მოვიფიქრო? თუმცა ის კი უნდა გითხრა, რომ საქართველოდან წამოსვლისას დიდი იმედი მქონდა ამ ორი წერილისა და სხვა რაღა მოვიფიქრო ალარ ვიცი ამ თათრების ხელში. დამრჩა შაქრო მდივანის იმედი. მაგრამ ის უკვე საფრანგეთშია, მე — სათათრეთში და მისთვის ძნელია ყველა იმ კეთილი სურვილების განხორციელება, რომლითაც მდივანი განწყობილია ჩემდამი...

ემელიანეს გაეხარდა ეს ამბავი. მის თვალში ჩემი საქმის შანსებმა ერთი ორათ იმატა და ჩვენი ღრმა გასაუბრების შედეგად გამოთქვა მტკიცე იმედი, რომ ჯაყელი დამეხმარება და სტიპენდიასაც კი დამინიშნავს. და თუ სტიპენდია არ მოხერხდა, ერთდროულ რამეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს ხომ იქნება და იქნება. ეჭვი არაა, მითხრა ემელიანემ.

გამოირკვა ისიც, რომ ჯაყელი და ხოშტარია სტამბოლში მეფეებათ გრძნობენ თავს გადმოხიზნულ ქართველთა შორის, ვინაიდან ამ ორ კაცს ჰქონდა ფული, სხვებს კი ფული არ ჰქონდათ და ეს უბრალო არითმეტიკა სწყვეტდა ყველაფერს.

შემდეგ მე ბევრჯელ მქონდა შემთხვევა მომესმინა საუბარი ამ ორი მდიდარი ქართველის შესახებ ემიგრანტების წრეში. გამიგონია მათზე ბევრი ცუდი და კარგიც გამიგონია, თუმცა მართალი უნდა ვსთქვა — უფრო მეტი გამიგონია ცუდი.

უცხოეთში ადამიანი განსაკუთრებულის გამახვილებით იმახსოვრებს ყველაფერს უმთავრესად პირველ ხანებში და ჩემს გულშიაც ყოველივე ნათქვამი და გაგონილი იმ დროს რაღაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებით რჩებოდა. და როცა ეხლა ვიგონებ განცდილს — შიში მიპყრობს იმ სახიფათო უფსკრულისა, რომელზედაც მე დავდიოდი. მე ბევრი არ დამკლებია, რომ დამეკარგა რწმენა საკუთარი თავის და ადამიანისადმი პატივისცემა.

კაცის კაცობა უნდა გწამდეს. უნდა იყო დაჯერებული იმაში, რომ თუნდაც ყოვლად დაკოჟრებულ სულში მოიპოვება უკეთილშობილესი, შეურყვნელი და სპეტაკი კუთხეები, სადაც დაფარულად სთვლემს თვისება, რომელიც ამაღლებს, ამშვენებს ადამიანს და უფლებას აძლევს მას დაუძლეველი იყოს ბუნების წიაღში. თუ ადამიანი არა გწამს, თუ არ გჯერა, რომ უდიდეს გაჭირვების დროს შენთან მოვა შენი მტერი და ხელს გამოგიწვდის ძმობისა და მეგობრობისათვის — ისე ამ ქვეყანაზე ცხოვრება უაზროა და შეუძლებელი.

და თუ შენ ადამიანი არა გწამს, უთუოდ გეეჭვება საკუთარი თავიც და აღარც მისი გამარჯვების გჯერა. ურწმუნო გული ვერ გაიმარჯვებს. და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთნაირ გულს ღირსებოდეს გამარჯვება და საბოლოო სიხარული.

ეს გული აღარ ჰქონდა ჩემს თანამემამულეებს უცხოეთში. არც მდიდარს, არც ღარიბს. და არც ერთ მათგანს ადამიანის კაი კაცობა აღარ სჯეროდა.

მათ მოქმედებას საფუძვლად არ ედო რაიმე მორალური ფუძე. ყოველი საქციელი გამოწვეული იყო იმით, რომ ეს ამ წუთში საჭირო იყო. საჭირო იყო ფულის შოვნა და სთხოვდენ ხოშტარიას. სთხოვდენ ჯაყელსაც, თუნდაც საჭირო ყოფილიყო თავმოყვარეობაზე გადატარება. ხოშტა-

რია მისცემდა ფულს ისე, რომ არაფერი ემატებოდა მის კეთილშობილებას მიმღების თვალში. და ასე სიცალიერეზე შენდებოდა უმიწაწყლო ხალხის ურთიერთობა. ამიტომ მიმღებიც და მიმცემიც დედას იგინებოდა და ადამიანი არსად სჩანდა. მოყვრობის დროსაც ისინი იდგენ ერთი მეორის წინაშე როგორც მტერი და შემაერთებელი ხიდი მათ შორის არ სუფევდა.

განა ჩემს ლაპარაკში დავცინო მინდა ვინმეს? ან და ჩემი საუბარი გმობა არის მათი, ვინც მე ვნახე და ვისაც შემეშინდა ერთ დროს? არც იმიტომ გავიხსენე ეს ამბავი რომ ხელი ვკრა ვინმეს — ეს მოყვა სიტყვას იმის შესახებ რომ უცხოეთში ადამიანი, განსაკუთრებით სამშობლოს მოწყვეტილი, ადვილად კარგავს კაცობას, თავმოყვარეობას და იმას რასაც უბრალოდ ადამიანობა ჰქვია. ქონება ისე არსად არ მოსჩანს, როგორც უცხოეთში. და სილატაკე არსად ისე არ ყვირის, როგორც იქ. ევროპა აუთოვებს ადამიანის ბუნებას ისე, რომ სისხლისა და სინდისის ცვარი მასში ალარ რჩება.

და როდესაც ორი წერილით ხელში მე მივადექი ჯაყელის ბინას — ყველაფერმა, რაც ზევით ვსთქვი და უფრო მეტმა, რაც აქ ვერ მოვათავსე — გაიელვა ჩემს თავში ზარის რაწკუნის ჩაქრობამდე.

— არ მიგიღებს, — მეუბნებოდა ლომთათიძე. და თუ მიგიღო — ხელცარიელი არ გამოგიშვებს. ეცადე რომ მიგიღოს და ცოტა მაგრათაც ქე მიადექი...

— მიმიღებს, — ვფიქრობდი მე გულში. უთუოდ მიმიღებს და არც ხელცარიელი გამომიშვებს... მაგრამ ე კარს რომ არ მიღებენ?!.

გააღო ქალმა კარი და შევაგზავნე წერილები.

მიმიღო.

მიმიღო და შემპირდა. შემპირდა და სთქვა, რომ —

„სიამოვნებით ეცდება შეასრულოს ჩემი თხოვნა და განსაკუთრებით — თხოვნა ბატონი კოტე მაყაშვილისა"...

ჭიათურელმა ვაჭარმა დამიფასა მაყაშვილი სტამბოლში. ალბათ მწერლობაც დააფასა რამოდენიმეთ. ნოე რა-

მიშვილმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე საქართველოში ვერ დააფასა და კაბინეტიდან გამოაგდო:

კონფლიქტები არასოდეს არ იწყება პრინციპიალურ საკითხებიდან.

თავი მეთექვსმეტე.

ოქროს რქაზე ბევრი გემი სდგას. და ყველაზე დიდია მათ შორის გემი — „ვლადიმირ". ამ გემს ოცდა ათი წლის ისტორია აქვს. მაგრამ ამბავი, რომელმაც ის მაგრად მიაბა „ოქროს რქაზე" — მეტად შემზარავი და დრამატიული ამბავია.

...ყირიმის ნახევარ კუნძულზე უკანასკნელად მოისმის ჩაწყვეტილი თოფის ხმა. ზღვის ნაპირებზე უგზო-უკვლოდ უპატრონოდ და ულვთოდ იზილება წითლების მიერ დარბეული ვრანგელის ჯარი; განადგურებული, დამარცხებული, იმედგაცრუებული და მოტყუებული მათ მიერ, ვინც წაეჩხუბა რუსეთში ოქტომბრის ძალას.

ღამეა. ნავთსადგურში ბნელა და ნავთსადგური მდუმარეა სიკვდილის მოლოდინში. დილით კი-გარიჟრაჟზე, როცა მზის სხივები თანდათან ფარდას ხდიან საბოლოოდ დალუპულ თეთრ საქმეს — პატარა ქალაქში იწყება პანიკა. პანიკა პირს აღებს, როგორც გაუმაძღარი ვეშაპი და ამ ვეშაპის პირში თვალდახუჭული მიისწრაფვის ყველა: ღენერალი, ოფიცერი, ყაზახ-რუსი, სალდათი, ქალი, ბავშვი; ავეჯი და ტანსაცმელი, სურათი და ღვინის ბოჭკა, ნოხი და პიანინო. და ყველაფერი ეს მიექანება, როგორც წყალი წისქვილის ღარში — გემისკენ — „ვლადიმირზე".

ორი ათას კაცზე მეტი დაიტია „ვლადიმირმა" იმ ზამთრის დილით, როცა ვრანგელის ჯარი საბოლოოდ დამარცხდა და წითლების მიერ დევნილი, მიენარცხა შავი ღზვის ნაპირს.

— ჰო და, აუშვით გემი, — მიამბობდა „ვლადიმირის" ბოცმანი — უკრაინელი ნიკიფორე. ზამთარია და საშინელი ღელვა. „ვლადიმერზე" ოცდა ხუთი წელიწადია ვმუშაობ. დიდი ქარიშხლები მინახავს ინდოეთის ოკეანეში.

ოხოტსკის ზღვაში, ბისკაიაზე. ამ უზარმაზარ შენობას ერთი აქედან შემოკრავს ტალღა და გადაუარს თავზე, მეორეს იქიდან და — გადმოუარს. გადახედეთ რამდენი საჟენი აქვს სიმაღლე ამ გემს. ჰო და, ეს გემი ისე გაწვება ღელვის დროს, რომ პალუბა ზღვის ზედაპირს ხეხავს. ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს. გამოცდილი მყავს „ვლადიმირი" — მაგარი გემია. გამტანია. ცხადია — ინგლისშია გაკეთებული. ჰო და, ატყდა ზღვა. რა ეშველება ამდენ ხალხს? ყველაფერი არეულია და ისეა დალაგებული, რომ თუ მაგარი ზღვა შეგხვდა — ასეთნაირად დატვირთული გემი უთუოდ გადაბრუნდება და მორჩა...

მაგრამ ზღვის ამბავი არაა საინტერესო.

თქვენ ის უნდა გაიგოთ, რომ ფეხისალაგის რიგში დილით ჩამდგარი კაცი საღამომდე ვერ ელირსებოდა საშველს... აირია ერთმანეთში ღენერალი და სალდათი, ქალი და კაცი, ყველა აწვა და აჯდა ერთი-მეორეს; ყველა ერთი-მეორეს სჭამდა, აგინებდა, სრესდა. იყო ტირილი და უბედურება. ზოგი მოდიოდა სულ ულუკმაპურობდ — თოფით ხელში. ზოგს ცოლი ნაპირზე დარჩა და შვილი შერჩა ხელში. ზოგის ცოლი გემზე მოხვდა — ქმარი კი დარჩა ნაპირზე. ტირილი, ვიში და უბედურება ტრიალებდა „ვლადიმირზე". ვიმოგზაურეთ ათი დღე სტამბოლამდე, როცა მესამე დღეს შეიძლებოდა მისვლა. გაჩნდა შიმშილობა გემზე. ამასთანავე გავრცელდა ხმა, რომ სევასტოპოლიდან დაგვედევნა ბოლშევიკების წყალქვეშა ნავები... შემდეგ გაგვიფუჭდა მანქანა და სწორედ ამ დროს შუა ზღვაში უეცრად წყალქვეშა ნავიც გამოჩნდა. წარმოგიდგენიათ, რა ამბავი დატრიალდა გემზე? შეიქნა ზრიალი, კივილი და საშინელი მოთქმა. როგორც მეორეთ მოსვლის დროს — თითქოს დადგა აღსასრული. წყალქვეშა ნავი ჯერ შორს გამოჩნდა. შენდეგ ჩაყვინთა და „ვლადიმირის" ცხვირთან ამოყო თავი. შეუძლებელია გადმოგცეთ, რა შიში და უბედურება დატრიალდა იმ დროს. წყალქვეშა ნავი კი გაქრა. მაგრამ შიშმა დიდხანს გასტანა მაინც. დალლილი, დაქანცული, მშიერ-მწყურვალე ხალხი ეყარა

დაწყვეტილი ნერვებით. პატარა სიგნალი, თუ გემის კივილი, იწვევდა პანიკასა და სასოწარკვეთილებას.

მაგრამ უარესი იყო წინ...

სანამ სტამბოლში შევიდოდით კავკაში გაგვაჩერეს. გემს შემოეხვია თათრის მენავეები. ნავები სავსე იყო სურსათით და შეიქნა საშინელი, წარმოუდგენელი ვაჭრობა. გაიძრობს ჯარის-კაცი ჩექმებს, მოაბამს ბაწარს და ჩაუშვებს მენავესთან. ქვევიდან თათარი იმავე ბაწარზე გამოაბამს პურის ნაჭერს. ესე იგი გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს. ჩადის თათრის ნავებში ტუჟურკები, პერანგები, ჩექმები, საცვლები, პალტოები, ოქროს ბეჭდები და ყოველგვარი ნივთი — და ამოდის ქვევიდან პური, ხმელი ლელვი, თუთუნი და პაპიროსი...

გაძარცვეს ამ თათრებმა ლტოლვილები. გაფცქვნეს. პურში წაიღეს ყველაფერი. ღენერლებსა და ვაჭრებს ეს არ სჭირდებოდათ, მაგრამ ასეთები „ვლადიმერზე" არც ისე ბევრი იყო. უმთავრესად მოდიოდა ღარიბი ხალხი. სამი დღის ნაშრომევი — ისვროდენ წყალში ყველაფერს, ოღონდ კი ნატეხი პური ეშოვნათ და სული მოებრუნებინათ. ასე ჩამოვედით სტამბოლში.

ჯარისკაცები გალიპოლის ლაგერში წაიყვანეს, (თქვენ ალბად გაგიგონიათ რა არის გალიპოლი), ღენერლები და თავადები კი სტამბოლში დარჩენ, მაგრამ მათაც მალე ჩამოყარეს ყურები. ეხლა ისინიც გატყაული დადიან სტამბოლის ქუჩებზე, ყიდიან გაზეთებს და ტარაკანებს აჭიდავებენ...

ივარგა „ვლადიმირმა" იმ ხანებში... სასწაული იყო ამდენი ხალხის ჩამოყვანა...

და მის შემდეგ მიბმული ვართ კასიმ-ფაშასთან. ეხლა ამბობენ, რომ „ვლადიმირი" ისევ აიშვებსო, მაგრამ ჯერ არაფერი ეტყობა. კარგი გემი კი იყო. მშვენიერი გემი იყო, — ამბობს ბოცმანი ნიკიფორე.

მე კი გულში ვამბობ, რომ „ვლადიმირი" უთუოდ კარგი გემია. ამასთანავე ცალიერიცაა და ჯერ-ჯეროობით არსად მიემგზავრება. და ვფიქრობ, რომ უთუოდ არაფერი არ უჭირს რომ ამ გემზე იცხოვროს კაცმა. რალაც კომბი-

ნაციების წყალობით ამ ჟამად ალექსანდრე ჯაყელი ამ გემის პატრონივითაა და მე ვსთხოვ მას ნებართვას ამ გემზე ცხოვრებისას. თვეში ათ ლირას ვიხდი ოთახის ქირას და ეს ათი ლირა მაინც შემრჩება. მთავარი კი ისაა, რომ ერთი კვირის შემდეგ მე ერთი პიასტრიც აღარ მექნება და თუ ამ ერთ კვირეში რაიმე რადიკალური ცვლილება არ მოვახდინე ჩემს ცხოვრებაში — გათავდა. შინ დასაბრუნებელი ფულიც აღარ მექნება და გრიგორ ლალიძის დიპირება უკვე ოდესღარ გამოსავლად მეჩვენება ხანდიხან (ფულს გამოგიგზავნიო შემპირდა).

აღარ მახსოვს მივიღე თუ არა გარკვეული პასუხი ჩემს თხოვნაზე ჯაყელისაგან. ვიცი რომ რამდენიმე დღის შემდეგ მე მივადექი ჩემი მოჩელტული ჩემოდანით „ვლადიმირის" ტრაპს. უკანასკნელი ათი პიასტრი მივეცით მენავეს და მოვსწყვიტე ხმელეთზე გასავალი გზა...

— იწყება ნიკოლოზ ჩემო, იწყება. — ვეუბნები მე საკუთარ თავს და ვალაგებ მეორე კლასის ცალფა კაიუტაში ჩემს ბარგს.

რა იწყება? არ ვიცი რა იწყება. იწყება ის, რომ ჯიუტი გაჭირვება ისევ კარზე მომადგა და ისევ შემადგა ფეხი. რას იზამ. ასეთია ცხოვრება. ვიცი, რომ ასეთია, მაგრამ ძნელია მუდამ წელმოხრილი სიარული. უკვე ოცდა ხუთი წელიწადია ეს გაჭირვება ზურგზე მაზის. შემჯდომია, როგორც ჩავლადარი — მთიულ ცხენს და მიმაქანებს. მეთაკილება. მათრახს არ დავირტყამ, ვითმენ, ავიტან, მაგრამ როდემდის? ერთი ხომ უნდა ჩამოჰკრას საათმა, როცა გადავეშვები მალალ თხრილს და უკან მიტოვებულ ნაპირზე გავშხლართავ ჩემს დაუნდობელ მხედარს! როდის იქნება ეს დრო, და იქნება კი როდესმე? არა და ეხლაც აჩრდილივით ამომიდგა გვერდში ეგ დაუნდობელი ამ უზარმაზარ გემზე და ხელახლა მოითხოვს ძველი უფლების განახლებას: მე მისი ყმა ვარ, თუმცა ყმობა არ მსურს.

ასეთია ცხოვრება...

და გენანება კაცს საკუთარი თავი, ბავშობა, სიყმაწვილე, გატარებული ცივად და გაუთბობელად. გწყენს, როცა ხედავ, რომ ახალგაზრდობაც თავდება ასეთი მკაცრი,

ქარიშხლიანი დღით და ღამეც ასევე ცივად და გაუნათებლად დაგიღამდება...

— ჩემს მხარეში ამტანი ხალხია და მართალი, — ვიჯუგეშებ მე თავს, — და რწმენა მათი შეულახველია ჯერ-ჯეროობით. გულიც მთელია მათი, როგორც სავსე თხილი. შეიძლება მიშველოს მე დედა-ჩემის ლოცვამ, რადგან მას ბეჯითად სწამს ღმერთი და ყოველდღე ახსენებს ხახულისა ღვთისმშობელს ჩემი გულისათვის... შეიძლება ღმერთი ალარ იყოს და წმინდა გიორგიც ალარ ძლევამოსილობდეს ძველებურის ძალითა და იერით, მაგრამ რა დააშავა დედა-ჩემმა, ან რა დავაშავე მე. და ნუ თუ ტყვილა უნდა ჩაიკარგოს ამდენი ლოცვა და ამდენი სიმხურვალე მართალი გულისა? ვინმემ, სადმე უთუოდ უნდა გაიგონოს ყველაფერი ეს. და უთუოდ უნდა სთქვას თავისი სიტყვა. არა, არ უნდა დაიკარგოს. რაღაც სამართალი ანაწილებს ქვეყანაზე ტკბილსა და მწარეს და ქვეყანაზე არ იკარგება არც ერთი წვეთი ცრემლისა. არიან ველნი, სადაც ცრემლნი ოქროს თავთავებად იქცევიან და ნიავი თბილი სიხარულისა ალალანებენ ობლის ყანას. ასეა. უთუოდ ასეა, ვინაიდან ცალგვერდა შეიქნებოდა ქვეყანა უამისოდ და გადასწონიდა მას დალუპვისაკენ — ზედმეტი ბედიც. ზედმეტი უბედურებაც ადამიანისა. ისე, როგორც უთანასწოროდ დატვირთულ გემს — მოტბორებული ტალღა.

მე ვსწევარ „ვლადიმირის" სამუსიკო ზალაში. აქვე კედელზე მიმაგრებულ პიანინოს მისჯდომია ინჟინერი აპალონ კობახიძე და ანადგურებს უსათნოეს ქართულ მოტივს

„განუსვენე შენ უფალო
სულსა მონისა ამის შენისასა...

— ვერ მოგართვეს, აპალონ ჩემო, ვერ მოგართვეს. რამდენიც გინდა იმდენი განისვენე შენი მოფხეკილი თავით. მე კი-სიცოცხლე მინდა, ცხოვრება მინდა, არ მოვკვდები, არ მოვკვდები. აჰა...

მევსება თვალები ცრემლებით.

ფეხაკრებით ვიპარები გარეთ და ავდივარ კაპიტანის ხიდზე.

თავი მეჩვიდმეტე.

გადის სექტემბერი. ბოსფორიდან ჰქრის შემოდგომის ქარი და მე კი ისევ კონსტანტინეპოლში ვარ. ბევრი ჩამოვიდა საქართველოდან ამ თვეებში. ბევრი გაემგზავრა — პარიზში, ბერლინში, პრაგაში. ყველამ გზა ნახა. ყველამ თავს უშველა: არ იქნა მხოლოდ ჩემი საშველი. აშკარა ხდება, რომ საფრანგეთის მთავრობა ნებართვას არ მაძლევს...

ამაოა ვიზიტები კონსულთან. უშედეგოა თხოვნა და შუამდგომლობა — არაფერი არ სჭრის და არაფერი არ ალბობს ფეხმოტეხილი კონსულის დაკოჭლებულ გულს.

მიდიან უფერული დღები გემზე. საჭმელს ვჭამ დღეგამოშვებით: პურსა და შაქარს. არის დღეები, როცა პური მენატრება ისე, როგორც ავადმყოფ იმერელს.

ვდგები რიჟრაჟზე. ვკითხულობ ჯერ კიდევ სოველ პალუბაზე მეფე თეიმურაზსა და გურამიშვილს და ინტერვალებში ვადგენ სიას იმ პოეტებისას, სამშობლოს გარეთ რომ დაიხოცენ — საქართველოს ნახვის ნატვრაში.

შემდეგ გავყურებ კასიმ-ფაშას და უთვალთვალებ გალატის მხრიდან მომავალ ნავებს — იქნება ვინმე ნაცნობი მოადგეს ჩვენს გემს, რომ გამოვართვა ათი პიასტრი: ნავის ფული, ნაპირზე რომ გამიყვანოს სანადიროდ.

მაგრამ ვის რა საქმე აქვს ამ გამოყრუებულ გემზე?

ისევ ჩავდივარ ჩემს სოროში — ცალფა კაიუტაში. ვლეჭავ გამომწვარ ყალიონს და ვწერ „შავ ვარსკვლავს"...

...კიდევ კვირა და ჯაყელი მაძლევს გზის ფულს. ის მპირდება „ჩემო"ს გემზე მოთავსებას ჰოლანდიაში წასასვლელად. იქ უფრო ადვილი ყოფილა ფრანგული ვიზის შოვნა.

ეს — ვალიკო მგალობლიშვილისა და კოლია მასხარაშვილის მუშაობაა. იყო ორი ქართველი კაცი, რომელთაც „ვლადიმირზე" მიმეგობრეს და ამაგი დამდვეს ოსმალეთში

ეხლა, როდესაც ვფურცლავ სტამბოლის პერიოდის შენიშვნებს უბის წიგნში — ვკითხულობ: „ვალიკოს — ხუთი

ლირა". კოლიას — ათი პიასტრი, ხუთი, რვა, ერთი ლირა, ორი, პიასტრი"...

ეს ძველი ვალია ჩემზე — დღემდე გაუსტუმრებელი.

გადვიხდი, ბიჭებო, გადვიხდი. ქვეყანა არც ისე დიდია მე რო მეგონა.

მაგრამ — ჰოლანდია...

მაშასადამე, ღზვით სიარული ევროპის გარშემო ჰაგამდე. ესე იგი ერთ თვეზე მეტი ხეტიალი გაშლილ ზღვაზე. რაღაც კოლუმბისებური ჩემს მოგზაურობაში, მაგრამ ჩემთვის უფრო მძიმე და ძნელი, ვინაიდან მე არ ვეძებ ამერიკას...

ნიდერლანდების დედოფალი ვილჰელმინა! ქალო, რომელიც გევხარ კარაქითა და რძით ავსებულ ჰოლანდიას. მე ვერ ველირსე ჰაგაში მისვლას და ვერ გამოვიყენე შენი თავაზიანი სტუმართ-მოყვარეობა: ჰოლანდიის ვიზა მივიღე. მაგრამ ინგლისელმა კაპიტანმა, რომლის გემი, მარგანეცით სავსე, ბოსფორის ყელში დადგა — არ ისურვა ჩემი წამოყვანა...

მე ვიწონიდი სამ ფუთსა და შვიდ გირვანქას. ვინაიდან ცამეტი გირვანქა წაიღო სტამბოლში დარდმა, ფიქრმა და აიმშილობამ. მე ვიწონიდი სამ ფუთსა და შვიდ გირვანქას და გემი „შეფილდი" იტევდა ოთხმოცი ათას ფუთ შავ ქვას. შევეყოლებინე იმ ოთხმოცი ათას ფუთში, იმ ურჯულო კაპიტანს, რა იქნებოდა... არ ქნა. მოიმიზეზა, რომ ზღვა ეხლა თანდათან ფუჭდება და ბისკაის ლელვას ვერ აიტანს ასეთი სუსტი ყმაწვილი. რა იცოდა მან, რომ ჩემი გული ატლანტიკასავით აზვირთებული იყო — ათრენილის ოცნებითა და სურვილებით და რომ მე მზად ვიყავი განმეცადა ბისკაის ლელვაც. არ ქნა. მოჭაჩა კოთხოსავით ლრმა ჩიბუხი, გადააპურჭყა მთელ საჟენზე, მიიღო ფოსტა და გაუდგა გზას.

...მე დავითვერი იმ დღეს რესტორან „იაკორში". პერაზე დავიწყე „ინტერნაციონალის" მღერა, მაგრამ კარპე მოდებაძის ყოფილმა შოფერმა დროზე გამაჩერა, ვინაიდან გამოჩნდა ჯოხიანი ინგლისელი პოლისმენი.

— როდისმე ვიმღერებ მე ინტერნაციონალს „შეფილდის" გემზე და ისე მივალ ედინბურგში, — ჩავაყვირე წინდახედულ შორაპნელ ბიჭს და გავბრუნდი ნაწყენი „ვლადიმირზე".

შაბათი იყო. გემზე დამხვდა ნაშაბაშევი ქართველი მუშები.

— შე საწყალო, კიდო ვერ გეეტიე აქედან?, — გაკვირვებით მეკითხება წაბლის წვერა ვექილი.

— ნებართვას არავინ მაძლევს და რა ვქნა, — ვუპასუხებ მე და უერთდები მოსაუბრეთა ჯგუფს.

— რა გითხრა იცი, —ჩუმათ მეუბნება ცოტა ხნის შემდეგ ნაცნობი ინჟინერი. — შენ ჩემო ძმაო, ასე თუ გაყევი — ჩალპები ამ სტამბოლში და ის იქნება. ნუ თუ ვერ ხვდები, რომ ეს ყველაფერი ჩვენი საკონსულოს საქმეა. ისინი შენ ბოლშევიკების კაცად გთვლიან და უთუოდ ასეთი ცნობა აქვთ შენს შესახებ ფრანგებისთვის მიცემული. სხვანაირად შეუძლებელია. მესამე თვეა აქა ხარ და ამდენ ხანში თვლა არაა იმდენმა ვიგინდარამ ჩაიარა ეს დარდანელი. რალა შენზე გაწყრა ღმერთი? აქ რალაც სხვა ამბავია. ფრანგები მაგენს უჯერებენ ამისთანა საქმეში და შენი აქ ჩარჩენა უთუოდ მაგათი საქმეა.

— მე არ ვფიქრობ, რომ ასე გარეცხილი იყოს ჩვენი საკონსულო სინდის-ნამუსისაგან.

— როგორ თუ გარეცხილი! აბა რას იზამენ, ჩამოდი თუ არა — მოხსენი პირი და შექენი ძახილი: რას კვდებით აქანა შიმშილით, სახლში წადით, საქართველოში თხა და მგელი ერთად სძოვსო. ჰო და, როგორ ფიქრობ. ასეთი აზრების გავრცელება მენშევიკებს ეამებათ, თუ როგორ...

— კი, მაგრამ, რა ჩემი ბრალია. მკითხავდენ და ვუპასუხებდი, როგორც ვიცი და რაც ვიცი. მე ხომ ბოლშევიკი არა ვარ.

— მით უარესი, რომ ბოლშევიკი არა ხარ. მიტომ უფრო დაგიჯერებს ყველა, რომ ბოლშევიკი არა ხარ. ასეა, დამიჯერე. დროზე მოუარე თავს, ან და უკანვე დაბრუნდი თუ არა ეს „ვლადიმირი" სადაცაა ქე წავა და მერე ვისი ყველაის იმაში შეყოფ თავს — ალარ ვიცი.

სიცილმა დაფარა ჩვენი იდუმალი საუბარი.
ლაპარაკობდა წაბლის ფერა ვექილი.

— გამომძიებლად ვიყავი. და გორის მაზრაში გავყევი დამფუძნებელი კრების წევრს მიტინგის მოსაწვევად. მოაწყდა დიდძალი ხალხი, აივსო კანცელარიის ეზო და გაიხარეთ სიტყვები. დასასრულ მთავრობის წარმომადგენელმა სთხოვა ხალხს გამოეთქვა სურვილი და თავისი გაჭირვება. ხმა არავინ ამოიღო. ასე იყო გასუდრული ხალხი კაიხანს. შემდეგ წამოდგა ერთი ხნიერი გლეხი და დაიწყო.

ხალხი იმას თხოულობს რომაო, ერთი სათხოვარი გვაქ, თქვენი ჭირიმეო. ნიკოლოზის დროსაო ჩვენი სოფლიდან გორამდისინ ჩვიდმეტი ვერსი იყოვო. ეხლა მოვიდენ თქვენი „ზემლებრები", გაზომესო და ოცდა ორი ვერსი გამოიყვანესო. უკაცრავათ კი ვართო, მაგრამ ჩვენი თხოვნა იქნებაო, რომ ძველებურათვე გორსა და ჩვენ სოფელ შორის ისევ ჩვიდმეტი ვერსი დარჩესო. და ხუთი ვერსი მოგვაშორონო. ვინაიდან საწყალი ხალხი ვართო და ამოწყდა ამდენი სიარულით გლეხობაო. შეგვიმოკლეთ გზაო და მეტის არაფრის მთხოვნელი არა ვართო...

სიცილს სიცილი დაემატა. ვილაცამ „დუზიკო" გახსნა. (არაყი) ვილაცამ ამ საქმის მოწყობა უფრო ორგანიზაციულად მოინდომა და ხუთმეტი წუთის შემდეგ კასიმ-ფაშაზე დატვირთული ნავი სურსათითა და ლუდებით მოადგა გემს.

კაიუტ — კამპანიაში გაჩაღდა სმა.

დღეს ყველანი ერთი ამბის შთაბეჭდილების ქვეშ იყვენ. „ფანართან" თუ „ე-იუპში" იდგა ერთი დაჟანგული გემი. ამ გემზე მუშაობდა ქართველი ოფიცერი ჩხეიძე. შუა დღეზე დასვენების დროს საცვლების ამარა და ფეხშიშველი, ჩხეიძე გასულა ნაპირზე პაპიროსის საყიდლად. თათრები ბერჩაი დახარბებული არიან პიასტრებზე და როცა დაუნახავს მედუქნეს უცხოელი გატყაული მუშა — ხუთ პიასტრიანი პაპიროსი შვიდ ნახევრად დაუფასებია. ჩხეიძეს, როგორც თუთუნის მწევარს, ფასი სცოდნია. დაუწყვია დაზგაზე ხუთი პიასტრი, აუღია პაპიროსი და გამობრუნებულა. მაგრამ ამ დროს თათარს უცბად ჩხეიძესთვის ხელი

წაუვლია და პაპიროსის წართმევა მოუნდომებია. უარზე დამდგარ ჩხეიძისათვის თათარს შემოუკრავს. შემოკვრაზე ჩხეიძეს ისე ჩაუფვარებია, რომ თათარი გრძნობა დაკარგული ჩაკეცილა. ყვირილზე ადგილობრივი თათრები შემოკრებილან და ატეხილა საშინელი კრივი. ჩხეიძე გარედ გამოსულა; აკვრია ზურგით კედელს, ხელში დაუჭერია პატარა სკამი და მისდგომია თათრებს, მაგრამ ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიან იტყვიან. ხუთმეტიოდე კაცი — ქვით, ჯოხით, მუშტით და ყოველი საშუალებით დასევია ჩხეიძეს. ჩხეიძე ვაჟკაცია და არ წამხდარა. სდგას თურმე კაკალი კაცი თავგამოდებული. გაკრავს ერთ-წააქცევს. მოვარდება მეორე. წაიქცევა მეორე — მესამე შემოუტევს. სცემია ვილაც ბიჭი, რომლისთვისაც ჩხიძეს ისეთი წიხლი უკრავს, რომ ბიჭი იქვე უსულოდ დავარდნილა. თათრები ამას უფრო გადურევია და საქმე მისულა იქამდე, რომ ჩხეიძის უსიკვდილოდ გამოსვლა შეუძლებელი გამხდარა.

ჩხეიძეს დაუშავებია ათიოდე კაცი.

იქვე მდგარა ინგლისური პატრული, რომელიც თურმე თავიდან დასწრებია ამ სცენას. დიდს აღტაცებაში მოსულა ჩხეიძის ვაჟკაცობით, მაგრამ საშველად და მოსახმარებლად ხელიც არ გაუნძრევია. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩხეიძე თავგატეხილი ჩაკეცილა და თათრები მივარდნილან მოსაკლავად, — ინგლისელებს ერთი დაუსტვენიათ, თათრები იმ წუთშივე გაქცეულან და ბრძოლა შეწყვეტილა.

ცოცხალ-მკვდარი ჩხეიძე ინგლისელებს გონზე მოუყვანიათ, ჭრილობა შეუხვევიათ, ჩაუჯენიათ ნავში და მაგრად ჩამოურთმევიათ ხელი — ყოჩაღ, ბიჭო, ვაჟკაცი ყოფილხარო.

ეხლა ჩხეიძე, თურმე, სწევს და მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა.

ყველა აღტაცებულია ჩხეიძის ვაჟკაცობით და იმით, რომ ხუთმეტ კაცს გაუძლო ერთმა კაცმა მთელი საათის განმავლობაში და „ქართველების სახელი არ შეარცხვინა".

ლუდი ჩვენ კაცზე ნაკლებად მოქმედობს. და ლაპარაკსაც არა აქვს გადამთვრალი იერი „ვლადიმირის" კაიუტ-კამპანიაში.

„სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა“...
გაიძახის მაღალი მეგრელი და ყოფილი დეპუტატი, — გაუმარჯოს საქართველოს!..

ყველანი ფეხზე დგება. იმღერიან „დიდებას“ და სვამენ სადღეგრძელოს.

— რა ქვეყანა დავკარგეთ, ბიჭო, რა ქვეყანა, — ამბობს თმახუჭუჭა მენშევიკი, — რა ქვეყანა დავკარგეთ!..

ამ წამოძახილზე არავინ არაფერს ამბობს და უნებლიეთ მდუმარება ჩამოვარდება სუფრაზე. ღია ილიუმინატორებიდან შემოდის შეგრილებული სიო და იქვე, გემის ახლოს გაისმის „ფანარისაკენ“ მიმავალი „შერკეთის“ სირენა.

— გამხიარულდით ბიჭებო. აბა ერთი „მრავალჟამიერი“ დასძახეთ ჩვენებურად. აბა-ჰე, — იძახის ტოლუმბაში. და მრავალჟამიერი იწყება.

ეს აკლდა ამ გემს და ესეც გაიგონა.

— არა, ის როგორ იყო ამბობს ვექილი. ბერძნის დეკანოზი რომ გააცურა...

მე ვკითხულობ, თუ ვინ გააცურა ბერძნის დეკანოზი, ან და რა ამბავია ეს.

თურმე ერთ ცნობილ თავადს სტამბოლში მოუკვდა ცოლი. ცოლი გაასვენა მართლმადიდებელი ეკლესიის წესით — ბერძნულ სასაფლაოზე. გასვენების შემდეგ შეწუხებული ქმარი ყოველდღე მიდიოდა ბერძნების საყდარში. დაიჩოქებდა და საათობით ლოცულობდა. მისმა სათნოებამ მოიზიდა ბერძენი დეკანოზის გული, რომელიც განიმსჭვალა დაქვრივებული ქართველისადმი ულრმესი და უსათნოესი პატივისცემით. თითქმის ერთი თვე გასტანა საყდარში ლოცვა-მეტანიამ და შემდეგ დეკანოზსა და მწუხარე კაცის შორის გაიმართა დიალოგი:

— მწუხარებასაც საზღვარი აქვს, შვილო ჩემო, — ამბობს დეკანოზი. გაიქარვე მწუხარება შენი. რამეთუ შვილნი ვართ სოფლისა და მომაკვდავნი...

— მამაო ჩემო, მკლავს ფიქრი, რომ ჩემი საყვარელი მეუღლე ცივ სამარეში სწევს და მალე მოვა სუსხიანი

ზამთარი. ქარი და წვიმა გაასწორებს მის საფლავს, წარიშლება ნიშნები ჩემი სიყვარულისა და ვინძლო — გაზაფხულზე ველარც კი მოვნახო იგი სხვა საფლავთა შორის. ვწუხვარ. მამაო ჩემო, რომ ვერ დავადგი ლირსეული ძეგლი იმისა გამო, რომ ჩემმა რწმუნებულმა პარიზში ხელსაყრელად ვერ გაყიდა ჩემი ნავთის აქციები. როგორ უნდა შევხვდე მე ჩემ საყვარელ მეუღლეს საიქიოს და რა პასუხი უნდა გავსცე მას!..

— ნუ თუ მაგან შეგაწუხა, შვილო ჩემო. ყოველ მართ-ლმორწმუნეს ეხმარება მართლ-მადიდებელი ეკლესია და თქვენისთანა კეთილქრიატიანეს როგორ არ უნდა შევუწყოთ ხელი გაჭირვებასა შინა? როგორ ფიქრობთ, ხუთასი ლირა ლირსეულად დაამშვენებდა თქვენი საყვარელი მეუღლის საფლავს?!..

— რა მოგახსენოთ ლირსეულო მამაო... გამოცდილება არ მაქვს ამისა, ხოლო ამ საქმეში, რასაკვირველია, თქვენი გამოცდილება იშვიათია...

მართლმადიდებელმა ქრისტიანმა აიღო მართალი ხუთასი ლირა და უსამართლოდ დახარჯა იგი სტამბოლის ქაზინოსა და ტერაპიას აგარაკზე. —

ნაწილი კარტში და ნაწილი ღვინოში.

— შემოელია ლირები თავადიშვილს, — განაგრძობს ქალალი მეგრელი, — და კაიხნის შიმშილობის შემდეგ...

— არა ერთი მითხარი, ვაწყვეტინებ მე, — დეკანოზი, რა ქნა დეკანოზმა.

— დეკანოზმა ის ქნა, რომ ანათემას მისცა მართლ-მორწმუნე თავადის ურწმუნო თავი და მოციქული მიუგზავნა მას. მაგრამ ამას მიუტყამს, რომ, როგორ გეკადრებათ... ან მე როგორ ვიკადრებ... დამაცადეთ... გაიყიდოს ჩემი აქციებიო.

აქციები დღემდე იყიდება, მაგრამ სადაა აქციები? რისი აქციები — ჰაერია მხოლოდ. ჰო და, იმას ვამბობდი, კაიხნის შიმშილობის შემდეგ გამოაქვეყნა ამერიკულ „ბრაჩნი გაზეთაში" — თავისი სურათი და ბიოგრაფია. ვარ ასეთი

და ასეთი, მენავთე, მემამულე, ბოლშევიკებისგან დარბეულია. ვფიქრობ ცოლის შერთვასო.

— მაქ შარშანაც ქე გააგზავნა მგონია, ამბობს ერთი,— მაგრამ პასუხი არ მოსულა.

— მოსულა, შენ წარმოიდგინე, მოსულა. ეს გუშინწინ სთქვეს პერაზე. ითონ ნესტორ ერისთავმა მითხრა. პასუხი მოსულა ვიღაც ფილადელფიელ ქალისაგან. ქალიც ქვრივი ყოფილა, შეძლებული — მილიონ დოლარამდე ამბობენ... დადის ახლა ჩვენი თავადი თურმე, დააქვს ეს პასუხი და აგროვებს ფულს ამერიკაში წასასვლელად. გაგამდიდრებთ ყველასო, ამბობს თურმე, ოღონდ ფილადელფიამდე ჩამაწევინეთო...

— შენ არ მომიკვდე, მაგან ამერიკამდე ვერ ჩააწიოს. აქვე შესჭამს ყველაფერს.

— არა, წავა.

— რას წავა. ვერსად ვერ წავა...

— თურმე ჩვენი ბიჭები პარიზსა და გერმანიაში სულ თავადისშვილობენ. კნიაზები ვართ, ლატიფუნდიების პატრონები ვიყავით და ბოლშევიკებს გამოვექეცითო. საცაა მალე დავბრუნდებით და მაშინ ჩვენ ვიცითო. და ზოგიერთი ქე გამორკვეულან მდიდარ ქალებში...

— დურაკები ყველგან მოიპოვება, მარა ამ ჩვენ ყბამოხეულს რო უქნია გუშინწინ — ის მართლა რო ჩასაწერი ამბავია, — მეუბნება წაბლის ფერა გამომძიებელი.

— უთხარი, უთხარი და მოათავე, სადღეგრძელო მოდის, — გაიძახის ტოლუმბაში.

რა მომხდარა?

ყოფილა ერთი კაცი. თუ როდისმე ამ წიგნს სტამბოლში ნამყოფი ვინმე წაიკითხავს, — ის მიხვდება ვინც არის იგი. ეს კაცი სარგებლობდა მრავალთა სიუხვითა და

შემწეობით. მას შედგენილი ქონია იმ პირთა სია, ვისაც ოდესმე რაიმე დახმარება აღმოუჩენია. მისთვის და როდესაც თურმე, ამ სიაში აღინიშნა ასიოდე გვარი, — ამ კაცმა წაიკითხა სია „ჩაიხანეში“, გაუსვა მას ქვევიდან ლურჯი ხაზი და მიაწერა —

— ყველასი დედაც...

სია გააკრა იქვე კედელზე და ყველა გააფრთხილა: დედას გიტირებთ, ხელი არავინ ახლოთო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

— — : —

ლექსები

ბაჩანას ლექსები

მუხა

1

მუხავ, მიყვარხარ ტიალო
გამარტოებით მდგომარე
ერთი შენ გნახე გულისა
ქვეყანა შემოვიარე..
დალონებული, მტირალი,
მიწავ, შენკენ ვარ მოარე.
მე მიყვარს შენი სიბერე
მუდმივი დარეჯილობა
დახავსებული ტოტები.
სიმტკიცე ფოთოლთ შლილობა.
შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო,
ბუნების ფერის ცვლილობა.
რაც უნდა ქარი შხიოდეს
და ელვა იკლაკნებოდეს,
მთაბარი იოეგვნებოდეს,
ხილ-ხული იხოშებოდეს,
ლერწამი მიწას ეკვროდეს,
შველი ტყეს ინაბებოდეს
ზარდაცემული ბწკალზედა
ვეფხვი კლდის ეშხით ღმუოდეს,
ამაყად ელი ავდარსა
ქარს არ უყადრებ თავსაო
ელვა და ჭექა ქუხილი
ვერ შეგიხრიან წარბსაო

არ ივლებ ბაიბუადა
ხალხის ულმერთოდ ჭრასაო.
საფლავიც აუყვავდება
ვინაც გვაუწყა ცნებაო:
— კაცი იშობის ერთ დღესა
და ისევ ერთ დღეს კვდებაო.
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა
არროს არ შეუდრკებაო.

1884 წ.

ვუძღვნი ჩემი ძმის ვაჟა-ფშაველას ხსოვნას.

2

სიკვდილი ალარ მახსოვდა
წუხელ ძმა ვნახე მომრჩალი
ცხენით აფხუშოს მოვიდა
გამოვეგებე საწყალი.
ძალიან დაწუხებული,
როგორც მზისათვის დამზრალი
ხელი მოვხვიე, ვაკოცე
უნდა დამესვა მაშვრალი.
უეცრად გრიალი დადგა
ხალხით აივსო სახლკარი
ეძგერენ შესაპყრობადა
იმან მანიშნა: „დაჰკარი“.
— გაუშვით, თორემ თავზედა
დაგეცით სისხლის ავდარი
დავჭყივლე გაცოფებულმა
ამოვიწადე ხანჯარი.
ძალს მე და ძალსა ისინი
გაგვიხდა ჯობნებაზედა
უცებ ყორანი მოფრინდა
ვაჟა შეისვა მხარზედა
და ცისა სივრცეში გაჰქრა

ეროთის თვალისა წამზედა.
მაინც წამართვეს მაინცა
აუგ დამედვა თავზედა
ვერ მოვიხმარე ხანჯარი
სისხლი ამესხა ფხაზედა.
როსნამდე უნდა გიგონო
მიწა მიყრილი ტანზედა?
მუდამ მოუვალს გელოდო,
თვალი მეჭიროს გზაზედა.
ცხადათ და მალვით ვიტირო,
გული ვაბჯინო ქვაზედა...

1915 წ.

ვარლამ რუხაძე.

საუბარი მიწასთან.

(კაპიტალისტურ ქვეყანას).

როდემდე უნდა
ზიდო ცოდვები
შენ, დედამიწავ,
სივრცეში მსრბოლო:
სავსე ხარ სისხლით,
ცრემლით, გოდებით
და შხამიან წლებს
არ უჩანს ბოლო.
ქვეყანას შია,
იხრჩობა ბრაზით,
შენ კი სავსე გაქვს
პურით ბელლები;
ჰკეტავ ოქროებს
ფოლადის რაზით,
რომ ჩვენ გროშისთვის
კლდეებს ვეხლებით.
მაგრამ შენ, მიწავ,
უბედურთ კვნესა
ისე მოგესმის,
როგორც ყრმას ნანა...
თოფისწამალთან
ტალსა რომ ჰკვესავ,
რომ აფეთქდება
არ იცი განა?!
მაგ შენს სივრცეზე

არაა კუთხე,
სადმე ყოველ წუთს
არ ჰქუხდეს ომი.
მიწავ! დაჭლექდი:
ტყვიებს აფურთხებ
და გელის ბედი
უთუოდ რომის!
ვერ ხედავ განა,
რომ არ გასვენებს
ნიალვარები
და მიწის ძვრები?
მიწავ! შენ წყევლა
გადაგასვენებს
როცა დაგახრჩობს
ლეში და ძვლები!
რომ სერავ ჰაერს
ასე თავხედათ
და ისვრი დღეებს, —
ყოფის შავ ქულებს, —
ნუთუ სიზმარში
მაინც ვერ ხედავ
მილიონობით
დაფლეთილ გულებს?!
არ ვიცი, მიწავ,
შენ ყრუ ხარ მართლა,
თუ იხშობ სმენას
განგებ თითებით,
როცა სიკვდილი
ზარბაზნებს მართავს,
წინააღმდეგათ
რომ არ ინთები?
არ გვინდა ომი!
ჩვენ, შრომის შვილებს,
გვიყვარს შრომა და
შემოქმედება:
ახალ ქვეყანას

ელექტრო-ლილებს
ვაკლებთ და წინსვლის
ცეცხლი გვედება.
გვინდა მოვკვეთოთ
შხამის სათავე,
გვინდა ცხოვრება
ვაქციოთ თავლათ,
რომ აღარ იყოს
მუდამ სადაო:
თავისუფლება,
სიტყვა და ტაბლა!
მაგრამ შენ, მიწავ,
მოცულო ნისლით,
არ გესმის, ალბათ,
ჩვენი სურვილი;
გახელებულხარ
და გინდა სისხლით,
რომ გაანელო
ნდომა წყურვილის...
მიწავ! მე შენი
გეზი მაოცებს:
სანამ შავ საქმით
თალხავ დღეს მზიანს,
ნუთუ არ იცი,
რომ არ გაკოცებს
მგოსნის ალერსი
და პოეზია?!

20/XI — 27.

— : —

ტიციან ტაბიძე.

ციკლიდან: „მოსკოვი“.

შეხვედრები კ. ბალმონტთან მოსკოვში
და ლესნოი გოროდოკში.

მახსოვს რუსული ყანა და ქერი,
მოგუვები ბავში, როგორც ჯადოქარს.
შენ კი მისცურავ, როგორც ნამქერი
შენ როგორც ქრისტე მიყვები ამ ქარს.
Я был в России, грачи кричали,
Весна смеялась в мое лице..
და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა
იშლება შენი თმა თაფლის ფერი
და სტირის ყვავი... ყვავი ყვანჩალა
ლექსებით ასე რომ მოეფერე.
Я был в России, грачи кричали!
Грачи кричали: Зачем? Зачем?
შენთან ვიყავი... ყვავი სტიროდა.
რაზე სტიროდა მე ვიცი განა?
მეც ხომ მდუღარე ცრემლი მდიოდა,
მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა.
მართლა დამწველი ცამეტი წელი
ვერ დამავიწყებს მაშინდელ ზაფხულს;
ამდენხანს ასე თუ გავუძელი
ამდენ სიყვარულს, ამდენ სიხარულს.
იმ ზაფხულს მოკვდა ვაჟა-ფშაველა,
მახსოვს ცრემლებით შენ ეს გითხარი.
ის სიკვდილის წინ ითხოვდა ბალახს,
გახელებული წყურვილით ხარი.

მას შემდეგ დამრჩა გრძნობა ასეთი,
რომ ერთად ორ მზეს თვალი შევასწრე,
მოხიბლული ვარ ამ სინაზეთი
და სიკვდილამდე დავრჩები ასე...
გავიარ ისევ „ძალლის მოედანს“
და მივადგები ნიკოლას საყდარს.
კარზე დარეკვას ხელი ვერ ბედავს.
ამ სახლს ვუყურებ როგორც ნატახტარს:
აქ სცხოვრობს გრუშკა ჩვენი დეკანი,
აქ კრიაბინი ებრძოდა სიკვდილს.
მე რუსთაველის მომაქვს დედანი
და შუბლზე ცივი ოფლი გაღმომდის.
გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებს
და თეთრი თოვლით სავსეა ქუჩა.
მშობელი მიწის ვიყნოსავ ფესვებს,
ჩემ ზამთრის სულში ჰყვავის ალუჩა.
თითქო ჩათვლიმა ბალტრუშაიტისს,
ვოლოშინს ჰშვენის ლომის ფაფარი.
და რუსთაველის მგზნებარე შაირსს
ზამთრის სინაზე გადაეფარა.

* *
*

ფუტურისტები მაშინაც ისე
ლაზღანდარობდენ ყვითელ კოფტებში.
ჩვენ ძველი დაგვრჩა მაინც სინდისი
და სიყვარულით გულში მოვკვდებით...

16 — 11 — 926 წ.

ტფილისი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

შემოდგომა.

(კარმენსიტას წარმოდგენის შემდეგ).

დამჭკნარ ფოთლების ბუტაფორია
მაგონებს სცენას სპექტაკლის შემდეგ.
და მსახიობი მაინც ორია:
კაცი და ქალი — მტერები დღემდე.

ბალი არ არის მთლად გაძარცული.
ცივი ქარების ჰქრის ირონია.
ო, დაივიწყოს გულმა წარსული,
თუ ის ამოდ მოსაგონია!

ჩვენ გაზაფხული გვიყვარდა ყველას,
ყველამ ვიგემეთ მისი სხეული.
ალარ გვიქადის სუსხისგან შველას
ეს გარდამოხსნა ცრემლმორეული.

კრთიან ტოტები დასალეწავი.
შოდის ზამთარი დონ-ხოზეს დანით.
ეს შემოდგომა არის მეძავი
ბედშავ კარმენის დაფლეთილ ტანით!

—— : ——

ილია მოსაშვილი.

უცნობთან.

ბაგე სისხლივით შეღებილი, წარბი ნამგალი.
თხელი ხალათი და თვალებში ქურდი ცდუნება.
ხელში თითების დასვენება და დადუნება...
შემხვდები ხშირად პირზე ლიმით ქუჩის ანგალი.

რას სანათურებს მოერევა კრთიმა, კანკალი,
ჩაივლი კაფეს შესახვევთან ცივი, უნებო.
გინდა შეხვიდე, გინდა კარის დაკაკუნება,
მაგრამ გრცხვენიან, რას იტყვიან კაცი, ან ქალი?..

მიგიპატიჟე მაგიდასთან, ვიყავი მარტო.
კეთილი იყოს ეს გაცნობა, ორივე ლოთის...
მინდა ანთებულს შეგეჯიბრო, მინდა გაგართო!..
მსახური ქალი ჭიქებს გვივსებს „ნაფარეული“-თ...
გულში სისხლია, ტანში მარტის ავდარი მოდის
და როგორც ვერხვი ალაზნისა თრთის ეგ სხეული...

1922 წ.

— : —

საფო მგელაძე.

*
* *

მყავდა ბაბუა, მედლები ჰქონდა
ზოგი პატარა, ზოგი მოდიდო,
და ხშირად სტუმრებს ის უამბობდა
რა დროს რა ომში მიიღო ჯილდოდ.

მე ვიჯექ ჩუმად დედოფალასთან,
მაგრამ იმათკენ მეჭირა ყური,
ვფიქრობდი: რატომ გახვრიტეს ფარა,
ნუთუ არ სჯობდა ეყიდათ პური?!

*
* *

შორიდან შენ ჩემს ლიმილებს ზვერავ.
თუმც ეს ნაძვნარი ულრანი ტყეა,
და ჩემმა ცივმა სასტიკმა მზერამ
შენ დაგჭრა, როგორც ფოლადის ტყვიამ.

დაჭრილი გული მკერდით მიგქონდა,
იყო ნაღველი ხმალივით მკვეთრი,
და იმ ყვავილებს, ხელში რომ მქონდა,
დაეცა ცრემლი ბროლივით თეთრი.

სულის სიმაღლე რამ დაგიკარგა,
როს გარეგნულად ამგვარად ჰშვენი?
რატომ არა ხარ ისეთი კარგი,
რომ სიყვარული შემეძლოს შენი?!

—— : ——

ს. წეველი.

ნასაკირალის სერები.

თენგიზ ელენტს.

გალმა-გამოლმა ტევრები,
გადაკეცილი შარები.
გულები-ნასატევრები,
გულები-უშიშარები.

მტრის კვალზე გადასაფრული,
როგორც გაჭრილი ფირალი.
უცნაური და ზლაპრული —
მრისხანე ნასაკირალი.

ჩამოდენილი სერებით
მესაიდუმლე ზრახვისა.
ვაჟკაცთა სისხლის ჩქერებით
ნალები-წყალი ბახვისა.

აჯანყებულთა რაზმები,
სოფლები დარაზმულები.
ბრძოლაში ნახვარაზმევი,
ბრძოლაში ხვარაზმულები.

დღესაც კი, როგორც ფერია
იკაზმებიან შქერები:
მარსელიოზას მღერიან
ნასაკირალის სერები.